ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№294 (353) 25 ნოემბერი-2 დეკემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

წარსულის გახსენება წარსულში ჩარჩენას არ ნიშნავს

(დაიბეჭდა 2005 წელს)

– დიახ, ეს 7-8 წლის წინანდელი სტატიაა, რომელშიც ვეცადე ე. წ. ქართული ინტელიგენციის ავანგარდის ყურადღება მიმექცია იმისთვის, რომ ქვეყნისთვის დამღუპველი პროცესების მიმართ პასიური დამკვირვებლის პოზიცია დაუშვებელია. ვწერდი, რომ შევარდნაძის პოლიტიკა მიგვიყვანს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების სრულ განადგურებამდე, ეროვნული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების სრულ დევალვაციამდე და, საბოლოოდ, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, დეგრადაციამდე. ინტელიგენციას მოვუწოდე, გაეხსენებინა საკუთარი ზნეობრივი მისია ქართული საზოგადოების წინაშე, ხმა აემაღლებინა, დამდგარიყო ერის სასიცოცხლო ინტერესების, მისი მომავლის დასაცავად. შევუძახე ქართველ მწერლებს, აკადემიკოსებს, ვეცადე ამეხსნა, რომ მალე მათი წიგნების წამკითხავი, მათი სამეცნიერო მიღწევებით მოამაყე აღარავინ დარჩებოდა, რადგან საქართველოში აღარ იქნება უნივერსიტეტები, აკადემიური ინსტიტუტები, განათლებული საზოგადოების ფართო წრე და ელემენტარულად, წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობაც კი. მაშინ მეგონა, რომ ფერებს ვამუქებ, მაგრამ სინამდვილემ ყველაზე მძიმე წინათგრძნობასაც კი გადააჭარბა. იმ სტატიის პასუხად პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, მათ შორის კოლექტიურიც, რომელსაც ხელს ინტელიგენციის ტიტულოვანი წარმომადგენლები აწერდნენ. ამ წერილებში **«კრემლის აგენტს»** (რა შუაში იყო კრემლი?), ქართული სახელმწიფოებრიობის მტერს, სინამდვილის გამყალბებელს მიწოდებდნენ, რომელიც ხელს უშლის პრეზიდენტს ქვეყნის ევროპაში შეყვანის საქმეში.

რაც შეეხება უკანასკნელ მოვლენებს თბილისის უნივერსიტეტში, ეს ქართული ინტელიგენციის მრავალწლიანი მდუმარების კანონზომიერი შედეგი და, ამავე დროს, ბევრი ჩვენი ინტელიგენტის შინაგანი არსის გამოვლინებაც არის. აღმოჩნდა, რომ მათი აღშფოთება მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნასა და ხელფასის დაკარგვას შეუძლია. შევარდნაძემ კარგად იცოდა მათი ბუნება და სარგებლობდა ამით. განსაკუთრებით ეს ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ეხებოდა. ზოგს სამარშრუტო ტაქსების ხაზი ჰქონდა, ზოგს – კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, ზოგსაც – რაიმე გრანტი. საბჭოთა დროში ეს იყო ბინები, მანქანები, საზღვარგარეთ მოგზაურობები, მათი ნაწარმოებების მრავალათასიანი ტირაჟები და ა.შ. ასე ხერხდებოდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტის ლოიალობის ყიდვა, რაც, თავის მხრივ, შესაბამისად ზემოქმედებდა ინტელიგენციის სხვა ფენებზე. სიტყვამ მოიტანა და ვხედავ, რომ შევარდნაძის მიმკვიდრეებმა წარმატებით აითვისეს მათი მასწავლებლის გაკვეთილები. ყურადღება მიაქციეთ: უნივერსიტეტის რექტორმა პროტესტის გამომხატველებისგან გამოყო ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული პროფესორები, უბოძა თანამდებობები, მაღალი ხელფასიც დაუნიშნა და მათაც მაშინვე შეწყვიტეს პროტესტი. ასაკოვანი ხალხია და არც კი შერცხვათ...

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის პედაგოგებს შორის ბევრია პრინციპული ადამიანი, რომელთაც მეცნიერებისა და განათლების **“რეფორმის”** დამღუპველობა ესმით. მათ გვიან, მაგრამ მაინც დაიწყეს ბრძოლა ერის მომავლისთვის. საპროტესტო განწყობილებებს სახელისუფლო სტრუქტურების შეურაცხმყოფელი ქცევაც უწყობს ხელს. საბჭოთა დროს მილიციის თანამშრომლებს უფლება არ ჰქონდათ, უნივერსიტეტის შენობაში ფორმით შესულიყვნენ. დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებიც კი, რომლებიც მილიციაში მუშაობდნენ, უნივერსიტეტში სამოქალაქო ტანსაცმლით უნდა გამოცხადებულიყვნენ. დღეს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში პოლიციელები კინწისკვრით ყრიან პროფესორებს უნივერსიტეტიდან, განათლების მინისტრი კი იმავე პროფესორებს ხულიგნებს უწოდებს!

– თქვენ მრავალი წლის განმავლობაში მოუწოდებდით ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისკენ, რის გამოც პრორუსული პოლიტიკოსის რეპუტაციაც დაიმსახურეთ. ეს ხშირად ვნებდა თქვენს იმიჯს. ისევ იმ აზრზე ხართ?

– იმავე აზრზე ვარ, უპირობოდ, რადგან საქართველოს პატრიოტად ვრჩები. რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ყველაზე პროქართული პოლიტიკაა. არასოდეს მიზრუნია საკუთარ პოლიტიკურ იმიჯზე და ამიტომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, მაშინაც კი, როცა ეს სიმართლე არაპოპულარული იყო. სამწუხაროდ, ზოგჯერ საზოგადოება ტკბილ სიცრუეს ამჯობინებს, ვიდრე მწარე სიმართლეს. დავიღალე იმის გამეორებით, რომ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომლის კეთილ ნებაზეც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა დამოკიდებული. მის ბაზარში შესვლაზეა დამოკიდებული საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარება. სწორედ რუსეთში ცხოვრობს მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე, რომელთათვისაც საქართველოში ადგილი არ მოიძებნა. ისინი, საკუთარი თავის გარდა, ნათესავებსა და მეგობრებს არჩენენ სამშობლოში; მათ მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი ნაღდი ვალუტა უზრუნველყოფს ქვეყანაში ფულის ბრუნვის უმეტეს ნაწილს. მითხარით, განა ნორმალური ადამიანი, პატრიოტი შეიძლება ასეთ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გამწვავებას ესწრაფვოდეს? გარდა ამისა, რუსეთთან ჩვენ საერთო ისტორიული ბედი, ერთი სარწმუნოება, ათასობით კულტურული, სამეცნიერო, პირადი ურთიერთობის ძაფი გვაკავშირებს, რაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. რაც უნდა ილაპარაკონ, ჩვენ, ქართველები, რუსეთშიც და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც შინაურები ვართ, შესაძლოა ყველგან ძველებურად მეგობრებად არა, მაგრამ კარგ ნაცნობებად მაინც დავრჩით. მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის კი ჩვენ უცხოები ვართ. ბევრი მიმოგზაურია მსოფლიოში და ვიცი. სად მიდის ქართველი სამუშაოდ, ან ბიზნესის ასაწყობად? რუსეთში. სად მიჰყავს სამკურნალოდ თავისი მძიმედ ავადმყოფი ნათესავი? რუსეთში. სად არიან პოპულარული ქართველი მომღერლები, ქართული სამზარეულო, ქართული ღვინო? რუსეთში და **დსთ**-ს ქვეყნებში. სხვაგან მათ შესახებ არაფერი იციან. რატომ უნდა დავკარგოთ ეს ყველაფერი და მტრად მოვიკიდოთ უზარმაზარი, უმდიდრესი მეზობელი სახელმწიფო? ნუთუ ეს საქართველოს ინტერესებშია? ჩვენი უვიცი პოლიტიკოსები 15 წლის განმავლობაში ამტკიცებენ, რომ რუსეთის აღსასრული სულ მალე დადგება, დაიშლება, ქაოსში გადავარდება და ა.შ. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რუსეთის დაშლა საქართველოსთვის სიკეთეა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს საქართველოსთვის რუსეთისგან გაუკონტროლებელი ჩრდილოეთ კავკასია? პარლამენტართა შორის განათლებულობა იშვიათი ხილია, მაგრამ ხალხმა ხომ იცის საკუთარი ისტორია. მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთთან ქართული სამეფოების შეერთების პროცესი დაიწყო, აღმოსავლეთ საქართველოში 240 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთში – 500 ათასამდე, ანუ სულ 740 ათასი ადამიანი. მათგან რამდენი იყო ეთნიკურად ქართველი? დავუშვათ, ნახევარი მილიონი. ეს უნდა გვახსოვდეს.

თანამედროვე რუსეთის ისტორიაში იყო დეგრადაციისა და გახრწნის 10-წლიანი პერიოდი, როდესაც ხელისუფლებაში კორუმპირებულ კოსმოპოლიტთა ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფი მოვიდა. მათ მთლიანად აკონტროლებდნენ ამერიკული პოლიტიკური და საერთაშორისო საფინანსო წრეები. ამ ჯგუფმა უდიდესი ზიანი მიაყენა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, ისევე, როგორც რუსეთის ურთიერთობებს სხვა ახლო ქვეყნებთან, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ზიანი ამ ჯგუფმა თავად რუსეთს და რუს ხალხს მიაყენა. რუსეთის ისტორიის ეს სამარცხვინო პერიოდი დასრულდა, თუმცა დარჩა მრავალრიცხოვანი რეციდივები, მაგრამ გადაიჭრა მთავარი პრობლემა, რომელიც რუსეთის ისტორიას ახასიათებს – ლიდერის პრობლემა. დღეს ქვეყნის სათავეში ეროვნულად ორიენტირებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძლიერი ლიდერია, რომელმაც უმოკლეს ვადაში მოახერხა ამოუწურავი შიდა რესურსების მობილიზება და ქვეყნის ფეხზე დაყენება. მას უმძიმს, ბევრი მტერი ჰყავს როგორც მსოფლიოში, ისე ქვეყანაშიც, მაგრამ განუხრელად აკეთებს თავის საკეთებელს. სწორედ ამას ვეუბნებოდი თავის დროზე ქართულ საზოგადოებას: რუსეთში პოლიტიკური ნების დეფიციტია, მაგრამ გამოჩნდება ღირსეული ლიდერი და ქვეყანა აღორძინდება. ამ აღორძინებულმა ქვეყანამ ჩვენში მტრულად განწყობილი სახელმწიფო არ უნდა დაინახოს. არადა, საბჭოთა კავშირის არც ერთ ხალხს არ ჰქონია ისეთი მტკიცე პოზიციები რუსეთში, როგორც ქართველებს. ჩვენ კი თითქმის ყველაფერი დავკარგეთ, ისე, რომ საქართველოს სასიკეთოდ ვერაფრით ვიხეირეთ. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ჩვენ განვლილმა წლებმა ვერაფერი გვასწავლა და ისევ კონფრონტაციის კურსს ვაგრძელებთ. ეს არის პროქართული პოლიტიკა, ჩემი პოზიცია კი – პრორუსული?

თუ საკუთარი ისტორია ვერაფერს გვასწავლის, სხვა ქვეყნებისა და ხალხების გამოცდილებას მივუბრუნდეთ. მაგალითად, ფინეთი ავიღოთ, საქართველოს დარი ქვეყანა როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით, ბუნებრივი რესურსებით და რუსეთთან მეზობლობით. 1918 წლამდე იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო (მანამდე – შვედეთის ნაწილი, საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა). 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ლენინისგან დამოუკიდებლობა მიიღო და ეროვნული სახელმწიფოებრიობა ჩამოაყალიბა. 30-იან წლებში საბჭოთა კავშირთან მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, 1939 წელს იომეს კიდეც და ტერიტორიები დაკარგეს. მიწის ეს ზოლი სასიცოცხლო იყო ლენინგრადის მომავალი თავდაცვისთვის. სტალინი მის სანაცვლოდ ოქროს უზარმაზარ რაოდენობას სთავაზობდა, შემდეგ – სამჯერ მეტ ტერიტორიას, მაგრამ გერმანელების ზეწოლით ფინეთმა ამაზე უარი თქვა. სტალინმა ომი დაიწყო და ტერიტორია ძალით წაართვა. მეორე მსოფლიო ომის დროს ფინელები, მწარე გამოცდილებით, ძალიან თავშეკავებულად იქცეოდნენ და ამიტომ სტალინს ისინი არ დაუსჯია. **ნატო**-ს, მოგვიანებით კი ვარშავის ბლოკის შექმნის შემდეგ, დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მზარდი დაპირისპირებისას, ფინეთმა უარი თქვა **ნატო**-ში შესვლაზე და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ქვეყანა მონაწილეობდა დასავლურ ეკონომიკურ პროექტებში, იღებდა დასავლურ ინვესტიციებს, მაგრამ პარალელურად საბჭოთა კავშირთან ხაზგასმით მეგობრულ პოლიტიკას ატარებდა. სამაგიეროდ, შეუზღუდავად მიიღო უზარმაზარი საბჭოთა ბაზარი. ფინური საქონელი ვერ აკმაყოფილებდა ევროპულ სტანდარტს და დასავლეთში ვერ იყიდებოდა. საბჭოთა კავშირი კი ყველაფერს შეუზღუდავი რაოდენობით ყიდულობდა. შედეგად, რამდენიმე წელიწადში ფინეთი მდიდარი, სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო გახდა. განა ეს მაგალითი არ უნდა იყოს საქართველოსთვის?

ძალიან ვშიშობ, რომ საქართველო ვერ მოასწრებს, ისარგებლოს პუტინის პერიოდით რუსეთის ისტორიაში – როგორც მისი პირადი მეტად პოზიტიური დამოკიდებულებით საქართველოსა და ქართველების მიმართ, ისე რუსი პოლიტიკოსების ახლანდელი თაობის მენტალობით, რომელთათვისაც ჩვენ უცხონი არ ვართ. რუსული ელიტის შემდეგი თაობა (როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული და სამეცნიერო) ისევე იქნება განწყობილი საქართველოს მიმართ, როგორც ტაჯიკეთის, მონღოლეთის ან ზიმბაბვესადმი. იმ პოლიტიკოსებისგან ვედარ მოისმენ იმ სიტყვებს, რომლებიც პუტინმა თქვა: **“ქართველები ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ხალხია”.** რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური გაძლიერება კი აუცილებლად მოიტანს გავლენის სფეროთა გადანაწილებას ევრაზიაში. რუსეთი და დასავლეთი კვლავ მოილაპარაკებენ და დასავლეთი წავა სამხრეთ კავკასიიდან. ამერიკელები წავლენ ისევე, როგორც 1921 წელს გარბოდნენ ინგლისელები, გერმანელები და საკუთარ ქართველ ცოლებსაც კი ტოვებდნენ. ჩვენ ისევ ერთი-ერთზე დავრჩებით რუსეთთან. და ეს აღარ იქნება მეგობრული რუსეთი. იმ რუსეთის სათავეში იქნება თაობა, რომლისთვისაც ჩვენ უცხონი ვართ. რომელი საერთაშორისო პროექტის გამტარებელი იქნება ის რუსეთი? ღმერთმა არ ქნას, რომ ეს ჩუბაისის **“ლიბერალური იმპერიის”** პროექტი იყოს, ანუ ამერიკული ტიპის იმპერია, რომელსაც აშშ 50-60-იან წლებში ლათინურ ამერიკაში ქმნიდა. აი, მაშინ კი მივხვდებით, რას ნიშნავს, – იყო კოლონია და მეორეხარისხოვანი ერი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ მთას სოფ. ეკისთავზე ეკიშ გოლა//უნაგერა ეწოდება და საზიარაა სახარბედიოსთან, ლეკოკაიესთან, საწულეისკირიოსთან, უფალკართან და სახარბედიოსთან. ამასთანავე, ონანგერეში//უნანგერეში ეწოდება სერს კვარჩხიღალსა (ძველი სენაკის თემი) და ძველ სენაკს შუა. სენაკიდან ჯვარისაკენ მიმავალი გზა სწორედ ამ სერზე არსებულ უღელტეხილზე გადადიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაფერი ნათელია და სადაოც არაფერი არ უნდა იყოს, ქართულ ისტორიოგრაფიაში მაინც არის მცდელობა **„უნაგირას მთის“** სხვაგან, კერძოდ, ცხენისწყლის ხეობაში ლოკალიზაციისა. მხედველობაში გვაქვს ავთანდილ ფაილოძის მიერ არაერთგზის დაჟინებით გამოთქმული თვალსაზრისი, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული, ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება ონოგურისი და უნაგირა საძიებელია ცხენისწყლის ხეობაში. ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ხუნწის **„ნაჯიხუ“** (ნაციხარი), რაც უნაგირას მთაზეა აღმართული, წერილობითი წყაროების **„ონოგურისი“** უნდა იყოს. იგი ვრცლად მიმოიხილავს **„ონოგურისის“** გარშემო არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას და დაასკვნის: უნაგირას ქედი იწყება ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, მათხოჯის პირდაპირ, ზემო ხუნწის გორაკებით. მაშასადამე, ჰონოგურის-უნაგირა ისტორიული მოხირისის გარეთაა და აგათიასეული აღწერილობა ზუსტად შეესაბამება ქვემო ხუნწში, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირიდან 600-700 ნაბიჯით დაშორებულ უნაგირას მთას. ა. ფაილოძე შენიშნავს, რომ მის მოსაზრებას ბიზანტიელ ავტორთა ცნობების გარდა ადასტურებს მიდამოს გეოგრაფია, ტოპონიმია, ნაციხარის მასშტაბი და სხვა გარემოებანი. გ. ელიავას ნაშრომზე მითითებით კი დასძენს, რომ ადგილობრივნი ამ მთას **„ნაჯიხუს“** (ნაციხარს) უწოდებენ.

ხუნწი მდებარეობს სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. ციხის ნაშთი დგას ქვემო ხუნწში, ეხაჟომიესა და ქუქითს შუა, ოხვამეკარის გვერდით. პარალელური სახელწოდებაა ნაციხვარი//ნაჯიხ(ო)უ.

„ონოგურისი“ პირველად ბიზანტიელმა პოეტმა და ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა (დაახლ. 536-582 წწ.) ახსენა თავის საისტორიო თხზულებაში – „ისტორიები“ ანუ **„იუსტინიანეს მეფობისათვის“**, ეხებოდა რა იმპერატორ იუსტინიანეს დროის ლაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე ირანსა და ბიზანტიას შორის 552-558 წლებში წარმოებულ ომებს; თუმცა ციხის დაზუსტებული ლოკალიზაცია მოცემული არა აქვს (გეორგიკა III, 1936: 41). აგათიას ცნობაზე დაყრდნობით ს. ყაუხჩვილმა გამოთქვა მოსაზრება **„ონოგურისის“** ცხენისწყლის დასავლეთით, არქეოპოლისის მიდამოებში, უნაგირას მთაზე ლოკალიზების შესახებ (იქვე: 62).

უნაგირას მთა, როგორც აღვნიშნეთ, აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფს წარმოადგენს. სწორედ ამ მთის ფერდობზეა აგებული ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს დედაქალაქი არქეოპოლისი-ნაქალაქევი. პ. ზაქარაიას მიაჩნდა, რომ ონოგურისი იგივე აბედათის ციხეა. **„სწორედ ამ უნაგირას მთების გაგრძელებაზე, ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ აბედათის მთაზე მდებარეობს ის ციხე, რომელიც ონოგურისად მივიჩნიეთ. სხვა ციხე თუ ნაციხარი ამ მიდამოებში არსად ჩანს. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა“,** – წერს იგი (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 128-129).

ამდენად, ა. ფაილოძის მოსაზრება **„ონოგურისის“** ხუნწში არსებულ ციხის ნანგრევებთან იგივეობის შესახებ უმართებულოდ მიგვაჩნია. მისი ცნობით, მთა, რაზეც ხუნწის ციხეა აღმართული, უნაგირას სახელს ატარებს. მიუხედავად იმისა, ეს მაინც არ მოგვცემდა იმის მყარ საფუძველს, რომ ონოგურისის ციხის ხუნწში ლოკალიზაცია გვემტკიცებინა, იმდენად, რამდენადაც არქეოპოლისს (ახლანდელი ნაქალაქევი სენაკის რ-ნში) აღნიშნული ციხე დიდი მანძილითაა დაშორებული; აგათია სქოლასტიკოსის თქმით კი ონოგურისი **„არქეოპოლისის მიდამოებშია“** და ეგრისის სამეფოს დედაქალაქის **„სასიმაგრო საფარს“** წარმოადგენს.

ტოპონიმი **„უნაგირა“** და მისი ვარიანტები საქართველოში ბევრგან დასტურდება. გ. ელიავა მთებსშუა გადასასვლელი გზის სახელწოდებად **„უნაგირას“** ასახელებს **„გაჭედილის სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ჩამონათვალში; მაგრამ რა მთებსა და რა გზა-გადასასვლელზეა საუბარი, ჩვენთვის ამჯერად უცნობია (ელიავა 1977: 131). რამდენადაც უფრო დაზუსტებული ლოკალიზაცია მის ნაშრომში არაა მოცემული, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გ. ელიავა სწორედ აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფ იმ მთათა სისტემაზე მსჯელობს, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვედა ხუნწის **„ნაჯიხოუ“** გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVII სს.) ძეგლი უფროა, ვიდრე იმ ეპოქისა, რაზეც აგათიას თხზულებაშია საუბარი (553-554 წწ.). გიულდენშტედტი 1772 წლის მოგზაურობის დღიურში წერს: **„ხუნწი პატარა ციხე“** (გიულდენშტედტი I, 1962: 323). **„პატარა ციხეში“** სწორედ ხუნწის **„ნაჯიხ(ო)უ“** უნდა ვიგულისხმოთ. თუ ციხის მასშტაბებსაც გავითვალიწინებთ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ აგათიას თხზულებაში აღწერილი მასშტაბური ბრძოლა ონოგურისისა უნდა გამართულიყო სწორედ აბედათის ციხის მიდამოებში, რადგან თვით ციხის სიდიდეც ამის ერთ-ერთ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს (ციხის არქიტექტურის შესახებ იხ. ზაქარაია, კაპანაძე 1991: 128-137).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გ. ელიავა **„ეკის სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ორჯერ ასახელებს ადგილის სახელწოდებას **„უნანგერეშის“, „უნანგირეშის“, „ონანგურეშის“** ფორმით და განმარტავს, როგორც **„საუნაგიროს“**. მართალია, ტოპონიმის ასეთი თარგმანი უმართებულოა, მაგრამ მკვლევარს სხვა შემთხვევაში მოცემული აქვს სახელწოდების ზუსტი გააზრებაც: **„უნაგირის მსგავსად ჩაჭრილი“** (ელიავა 1989: 82, 87). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკი სწორედ უნაგირას მთით ემიჯნება ნაქალაქევს და მის ნაშრომში დამოწმებულ ტოპონიმურ პარალელებში წერილობით წყაროებში მოხსენიებული **„უნაგირა“** უნდა იგულისხმებოდეს. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ მთის ადგილობრივი არაოფიციალური და ზუსტი სახელწოდება იყო და დღესაც არის უნანგერეში//უნანგირეში. შდრ. ა. ქობალია: უნანგერა **„უნაგირი“**; უნანგერი **„უნაგირი“** (ქობალია 2010: 613).

ზემოთ ითქვა, რომ უნაგირას ლოკალიზაციის შესახებ სხვა სახის ხელშესახები ისტორიული წყარო არ არსებობს. ამ ფონზე ვახუშტის ნაშრომში დაცულ ცნობებს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. უნაგირას მთის ქვეშ ნაგულისხმევი ტერიტორიის მოცულობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ვახუშტის 1745 წლის რუკებიც, სადაც მთა ამ სახელწოდებით გამოსახულია ტეხურის მარჯვენა მხარეს (ვახუშტი 1997).

ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული უნაგირას მთა აღწევს თეკლათამდე, ციის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის **„დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს“**-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება ტეხურის მარჯვენა სანაპიროს. იგი ნაქალაქევის ციხიდან მდინარის მარცხენა მხარესაც ვრცელდება მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებამდე (ნაესუუ, ნახუნუუ, ლებაჩიე, თამაკონი).

ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში სალიპარტიანო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ირკვევა, რომ ლიპარტიანად იწოდებოდა სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეულის მფლობელი. განსაკუთრებული იყო სალიპარტიანოს როლი ეკონომიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისითაც. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფო, რის გამოც ეს ტერიტორია ფეოდალური დაპირისპირების ფონზე არაერთხელ ყოფილა ბრძოლის ასპარეზიც.

სალიპარტიანოს საზღვრების გარკვევას არაერთი მკვლევარი შეხებია (ს. მაკალათია, თ. ბერაძე, გ. ელიავა, შ. ჯღარკავა, ო. სოსელია...). გამოთქმულია მოსაზრება, რომ სალიპარტიანო ერთ დროს საერისთავოს წარმოადგენდა. ერისთავები იყვნენ ლიპარტიანები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ ტერიტორიას.

მოცემული. მეცნიერს ლიპარტიანთა საუფლისწულო მამული რუკაზე გამოუსახავს ჭყონდიდიდან დასავლეთით, უნაგირას მთისძირში მდებარე ტერიტორიის სახით, რაც ტეხურის მარჯვენა მხარეზეც გადადიოდა და შხეფამდე აღწევდა. მაშასადამე, ვახუშტის თქმით, სალიპარტიანო მდებარეობდა აბაშისა და ტეხურის ხეობების შუა წელზე, მაგრამ, როგორც აღვინიშნეთ, ადრინდელი და მოგვიანო ხანის წერილობითი წყაროების შეჯერებით შესაძლებელია გეოგრაფიული არეალის უფრო მეტად გაფართოება.

XVII-XIX სს. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ სალიპარტიანო მოიცავდა ტეხურსა და ცხენისწყალს შორის მდებარე ტერიტორიას (ბერაძე სიგკ, II, 1964: 126-128; ჯღარკავა №6, 1970: 78-79). XVI ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის პირველ მესამედში სალიპარტიანოს აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლამდე ვრცელდებოდა და ხუნწი, ნაგვაზაუ, ბონბოთი (ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლები) და კვაუთი (სენაკის მუნიციპ.) მის შემადგენლობაში შედიოდა (კაკაბაძე 1914: 18; მისივე II, 1921: 172).

ვახუშტის რუკებიდან ირკვევა, რომ სალიპარტიანოს შემადგენლობაში იყო შხეფი (შხეთი), სენაკი (ახლანდ. ძველი სენაკი) და ნაქალაქევი. ასევე სწორია ცნობა, რომ იგი წარმოადგენდა მთავართა და აზნაურთა სამფლობელოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოგვიანო ხანის (XIX ს.) ცნობა, რომ დადიანები ფლობდნენ ტეხურისა და აბაშის ზემო ნაწილში, შხეფიდან სალხინომდე მდებარე ტერიტორიას და ორი ათას კომლზე მეტ აზნაურსა და გლეხს (ბოროზდინი 1934: 242).

შხეფი და მისი შემოგარენი რომ მართლაც სადადიანო მამული (საუფლისწულო) იყო, ჩანს მოგვიანო ხანის, კერძოდ, სენაკის მაზრის სამიურატო მამულის 1871 წლის აღწერის მასალებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ შხეფელი დადიანების საუფლისწულო აერთიანებდა სენაკის მაზრის შემდეგ სოფლებს: შხეფს, ნოსირს, წყემს, კოტიანეთს, გეჯეთისა და ეკის ნაწილს, სქურდსა და ბალდას. იმავე აღწერის მიხედვით ნაქალაქევი, უშაფათი და სერგიეთი ნაქალაქეველი დადიანების საკუთრებაშია, ხოლო ბეთლემსა და უშაფათის ნაწილს ბეთლემელი დადიანები ფლობენ (ზსიემ, მთავრის ფონდი, №6494/18; ჯღარკავა 1970: 56).

IV. 4. ᲤᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲘᲐᲡᲢᲝᲛᲘ

ფოთი შავ ზღვასთან რიონის შესართავთან, ზ. დ. 1-3 მ-ზე მდებარეობს და თბილისს 312 კმ-ით არის დაშორებული. ქალაქს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ხობის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, სამხრეთით – პალიასტომის ტბა და მდ. კაპარჭინა.

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ბერძნულ წყაროებში ფასიდად//ფაზისად//ფასისად წოდებული ერთ-ერთი დაწინაურებული ზღვისპირა პუნქტი, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უძველესი დროიდან მნიშვნელოვან ქალაქს და ნავსადგურს წარმოადგენდა. ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობით, მილეტელების მიერ დაარსებული ქალაქი ფასისი მდებარეობს ფაზისის მარცხენა მხარეს.

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ფაზისის მდებარეობას ასე გადმოსცემს: **„ფაზისის პირას მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხური ემპირიონი, რომელსაც წინ უძღვის მდინარე, ტბა და ზღვა“**. სხვაგან აღნიშნავს: **„ფასისი ერთვის პონტოს. აქვს იმავე სახელის ქალაქი და შორიახლო ტბა“** (ბერძნიშვილი 1969: 135). მისივე ცნობით, კოლხების ამ სავაჭრო ქალაქში თავს იყრიდა 70 სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი (იქვე).

ფაზისის, როგორც დაწინაურებული ქალაქის შესახებ, ცნობები დაცულია ჰესიოდეს, ეპიმენიდეს, პინდარეს, ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოფანეს, ჰიპოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ჰერაკლიდე პონტოელის, აპოლონ როდოსელის, თეოკრიტეს, დიოდორ სიცილიელისა და სხვათა თხზულებებში (ბერძნიშვილი XXIII, 1942: 20; მიქავა 1963: 4-6; პაჭკორია 1967: 10).

სახელწოდებას **„ფოთის“** ფორმით პირველად VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის – ლევონდის თხზულებაში ვხვდებით. ლევონდი ვრცლად აღწერს ამ ქალაქის მდებარეობას და სამხედრო-სტრატეგიულ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობას. პირველი ქართული წერილობითი წყარო, სადაც ფოთი მოიხსენიება, თარიღდება 1074 წლით. ესაა ხელნაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებულ გიორგი ათონელს (მთაწმინდელს) ფოთამდე ნავით უმგზავრია, აქედან კი სახედრით გაუწევია ქუთაისისკენ. **„კეთილითა და ჰამოთა ნავითა მოვიწიენით ფოთს“** – აღნიშნავს გიორგი მთაწმინდელი.

აკად. ს. ჯანაშია იმოწმებს უცნობი ქართველი სქოლიასტის ცნობას, რომ **„ფასოი“** წარმოადგენს **„სოფელსა შინა მეგრელთასა“**, და იქვე განმარტავს: **„ფოთსა იტყვს“**-ო (ჯანაშია იქვე: 272).

ფაზისი-ფოთის ძველი ისტორიის პრობლემებს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ამიტომ აქ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ფოთი XV საუკუნისათვის ფოთი კვლავ ინარჩუნებდა ქალაქისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის სახელს.

ფოთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ზღვისპირა ქალაქების მკვეთრი დაკნინება განპირობებული იყო იმ დროისთვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ, ოსმალთა ბატონობის დამღუპველი შედეგებით. ამასთან დაკავშირებით არქანჯელო ლამბერტი შენიშნავდა: **„კოლხიდა, რამდენადაც წინათ იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთაც ხშირი მსვლელობა ჰქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და ვაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შორის შუა ჩადგა თურქეთი, რომელმაც თავისი ბარბაროსობით და მტარვალობით ვაჭრებსა და ცნობისმოყვარეებს გზა შეუკრა ამ ქვეყნისაკენ...“** (ლამბერტი 2011: ??).

ფოთის ქალაქობაზე არაფერს ამბობს ვახუშტი ბატონიშვილიც. ერთგან აღნიშნავს მხოლოდ: **„რიონის თუალზედ სამჰრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა... ნავსადგურობისათუის“** (იქვე: 789). მაშასადამე, ვახუშტის დროისთვის ფოთს უკვე დაკარგული ჰქონდა ქალაქის სახე და მხოლოდ ოსმალთა ციხე-სიმაგრესა და ნავსადგურს წარმოადგენდა, რაც მათ ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ცენტრად უქცევიათ (პაჭკორია 1967: 44).

ვახუშტი ბატონიშვილი ფოთის მდებარეობას ასე გადმოგვცემს: **„ისულეთს, ტეხურის შესადინარს ქუეით, სადაცა ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი“** (ვახუშტი IV, 1973: 777). ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე დაბის პირობითი ნიშნით ფოთი აღნიშნულია რიონ-ტეხურის შესართავის დასავლეთით, ოდიშ-გურიის საზღვარზე, რიონის ნაპირას. ამიტომ ვახუშტი სწორია, როცა წერს: ფოთი მდებარეობს სწორედ იქ, **„სადაც ერთვის რიონი ზღვას“**.

ოსმალთა მიერ ფოთში ციხის აშენების თარიღად მეცნიერი 1725 წელს მიუთითებს და წერს: **„აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ-ღკე** (ე. ი. 1725 წელს – ი. კ.), **ქართულსა უიგ, ნავსადგურობისათვს და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით“** (ვახუშტი IV 1973: 789-790). ვახუშტის ეს ცნობა არასწორია, ვინაიდან აქ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ეს თურქთა მიერ ფოთში ციხის პირველი აშენების დრო იყოს. სინამდვილეში ფოთში ციხე თავდაპირველად ოსმალებს 1578 წელს აუგიათ, ხოლო XVII საუკუნის შუა ხანებში ლევან II დადიანს მოუთხრია და ოსმალო მოძალადენი იქიდან გაუძევებია. ასე იყო 1723 წლამდე, ვიდრე ოსმალები კვლავ არ დაიკავებდნენ ფოთს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ფოთის ციხის აგებიდან სულ რაღაც 12-14 წლის შემდეგ შედგენილ ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკაზე, ფოთის ციხესთან გაკეთებული წარწერა გვამცნობს: **„ფოთის ციხე ქართულად, ძველად ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიან, ორი თუღიანი ფაშა ზის. 1723 ქკს ააშენეს თათართა. ორმოცდა ათი თოფი ძევს დიდი. ორასი კაცი დგას“** (ბურჯანაძე I, 1959: 188).

1578 წელს (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 1579 წელს) ფოთის ოსმალთა მიერ დაპყრობასა და იქ ციხის აგებაზე დაბეჯითებით მიუთითებენ არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე და სხვები. ლამბერტის ცნობით, ქუთაისის მახლობლად ქართველთა ლაშქართან ბრძოლაში დამარცხებული თურქები ფოთში გამაგრებულან და 1578 წელს იქ ციხე აუგიათ. **„ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული... თურქებმა ზემოხსენებულ კუნძულზე ააშენეს ციხე. ბევრი ხანი არ არის მას აქვთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი“,** – წერს არქანჯელო ლამბერტი.

ᲘᲑᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!

ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲘ Მ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ძვირფასო მკითხველო, თქვენის ნებართვით ვაგრძელებთ საგაზეთო სტატიებს, რომლის მესვეობითაც გვსურს მოგაწოდოთ უდიდესი ღვთიური ინფორმაცია, უსასრულო სამყაროსა და დედამიწაზე განათლების წარმოშობის შესახებ.

როგორც ადრე მოგახსენეთ ნებისმიერი ადამიანის მოსაზრება, მისი შეხედულება ყოველივეს მიმართ სწორია და გამართლებული მაშინ, თუ ის ღვთაებრივი ბიბლიისა და სახარების ადეკვატურ შინაარსობრივ სიზუსტეშია მოქცეული.

სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში აზრთა ნაირსახეობის ქაოსია გამეფებული, რომელიც სრული ტანჯვისა და წვალების მომტანია ხორციელი ადამიანისათვის, როგორც დედამიწაზე, ასევე მომდევნო ზეციურ სავანეებში.

„მაშინ ვინმემ რომ გითხრათ: აჰა, აქ არის ქრისტე, ან აქო – არ ერწყმოთ.

ვინაიდან აღდგებიან ცრუ ქრისტენი და ცრუ წინასწარმეტყველნი და მოახდენენ დიდ სასწაულებს და ნიშნებს, რათა რჩეულნიც შეაცდინონ თუკი შეძლებენ“. (მათე 24).

მეტი შემეცნებისათვის უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში, ოდითგანვე არსებობდა ორი სახის რელიგია, პირველი ღია რიტუალური აღმსარებლობითი რელიგია, დღევანდელი ეკლესია – სამღვდელოების სახით და მეორე, საიდუმლო მეცნიერული რელიგია, რომელსაც ემსახურებოდა ქურუმ-პატრიარქალური მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა.

სწორედ მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილია ეზოთერიკის და თეოლოგიის მ. ქართველის შემოქმედებითი კვლევები, რომელიც წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმის გაშიფვრას და უდიდესი საიდუმლო მეცნიერული რელიგიის თანამედროვე ენაზე მსოფლიოსათვის მიწოდებას.

სამყაროში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს ორი სახის პროგრამის აღსრულება.

დედამიწიერი ხორციელი სხეულში მყოფი ადამიანის მიერ დაანონსებული, დაკანონებული პროგრამა.

უსასრულო სამყაროში არსებული ბუნებრივი, ღვთაებრივი მარადცოცხალი ღვთის პროგრამა, რომლის ხელყოფაც შეუძლებელია.

ხორციელი ადამიანის მიერ შედგენილ პროგრამას ეწოდება ღმერთთან ჭიდილი, რომელიც ადამიანის მიწიერი სხეულის მსგავსად წარმავალია, არსებული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე მიწიერი ადამიანი ვალდებულია აღიაროს და ადიდოს სამყაროში მიმდინარე უწყვეტი მარადიული მოვლენები, რომელსაც მარადიული კოსმიური წესრიგი, ღვთის კანონი ეწოდება.

ღვთაებრივი ცნობიერებით მოსილმა ბიბლიურმა წინაპრებმა, ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს შესაცნობად კაცობრიობას დაუტოვეს ალეგორიულ-ქარაგმული, კოდური შიფრით შედგენილი ბიბლია და სახარება, ძველი და ახალი აღთქმის სახით, რომლის სწორი წაკითხვა ადამიანებს შეაცნობიერებს უსასრულო სამყაროს და ღმერთს, რომელეაც ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა ქვია!

„სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ციხქვეშ ხალხისათვის მოცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“ (საქმ. 4.12)

ავანთოთ ქრისტეს ცოდნის ლამპარი,
ჭეშმარიტების დავრისხოთ ზარი,
მონებს გავუღოთ სამოთხის კარი,
თავისუფლების ავღმართოთ ჯვარი.

ნოეს სრულყოფილი სამება დამწერლობიდან (ასომთავრული, ხუცური და მხედრული), მართლმადიდებლური რჯულის წიგნიდან და სასულიერო-საგანმანათლებლო პროგრამიდან გამოვიდა (შეიქმნა) სამი ხოლხური ცივილიზაცია. პატრიარქი ადამიდან ნოემდე სვანური ენით (ქამი) რვა (8) ათასი წლის განმავლობაში შეიქმნა პირველი კოლხური ცივილიზაცია, რომელმაც თანდათანობით მთელი დედამიწა მოიცვა. პატრიარქი სემიდან ფარნავაზ-ქუჯის ისტორიულ მოღვაწეობამდე 5500 წლის განმავლობაში მეგრული ენით (სემი) შეიქმნა მეორე კოლხური ცივილიზაცია, რომელმაც თანდათანობით მთელი დედამიწა მოიცვა, ხოლო ფარნავაზ-ქუჯის ისტორიული მოღვაწეობიდან მეოცე (XX) საუკუნის დასასრულამდე 2.500 წლის განმავლობაში იბერიული ენით (იაფეთი) შეიქმნა მესამე და დამამთავრებელი კოლხური ცივილიზაცია, საიდანაც დანარჩენებმა კაცობრიობამ ისწავლა წერა-კითხვა, შესაბამისად შექმნა სასულიერო ინსტიტუტები, მატერიალისტური განათლების სისტემები (ჩამოაყალიბეს ეროვნული სახელმწიფოები, შექმნეს ტექნიკური ცივილიზაციები, განავითარეს სოფლის მეურნეობა, მწერლობა, პოეზია, მუსიკა, არქიტექტურა, მშენებლობა და ყველაფერი ის, რაც კი გააჩნია თანამედროვე მსოფლიო-კაცობრიობას).

თანამედროვე მსოფლიოს სასულიერო პირები (სამღვდელოებები) და მეცნიერები ვერ ერკვევიან, თუ რას და ვის ნიშნავს ქამიტები, სემიტები და იაფეთიდები, ბიბლიის მიხედვით ქამი ნიშნავს ნოეს პირველ მართლმადიდებლურ რჯულს (წიგნს) და სვანურ-ქართულს (ლაზარეს); სემი ნიშნავს მოსეს მეორე მართლმადიდებლურ რჯულს (წიგნს) და მეგრულ ქართულს (ლაზარეს); იაფეთი ნიშნავს იესოს მესამე მართლმადიდებლურ რჯულს (წიგნს) და იბერიულ ქართულს (ლაზარეს).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოს ხალხები (ენები), რომლებიც მისდევდნენ ნოეს პირველ მართლმადიდებლურ რჯულს, თავიანთი სულიერი სიმწიფის ხარისხით არიან ქამიტები (სვანური ქართულის თანაფარდი სუბსტანციის მქონენი). ის ხალხები (ენები), რომლებიც მისდევდნენ მოსეს მეორე მართლმადიდებლურ რჯულს, თავიანთი სულის სიმწიფის ხარისხით არიან სემიტები (მეგრული ქართულის თანაფარდი სუბსტანციის მქონენი). ის ხალხები (ენები), რომლებიც მისდევენ იესოს მესამე მართლმადიდებლურ რჯულს, თავიანთი სულიერი სიმწიფის ხარისხით არიან იაფეთიდები (იბერიული ქართულის თანაფარდი სუბსტანციის მქონენი).

ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია: **„ესენი იყვნენ ნოეს შვილები, კიდობანიდან რომ გამოვიდნენ: სემი, ქამი და იაფეთი. ქამი** (სვანური ენა) **იყო ქანაანის მამამთავარი** (ე.ი. ნოეს მოღვაწეობის დროს ქვეყნიერების ერთადერთი სასულიერო-სამეცნიერო ენა იყო **ქამი** – სვანური ქართული ენა). **ეს სამნი იყვნენ ნოეს შვილები, მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული** (დიახ, საქართველოდან ნასწავლი წერა-კითხვით დასახლდა და შექმნა კაცობრიობამ სულიერ-მატერიალური ცივილიზაცია).

დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი (ვ-ენა-ხი ანუ გააშენა დამწერლობისა და სასულიერო ენის შემსწავლელი ინსტიტუტი, შესაბამისად შექმნა მართლმადიდებლური მოძღვრებით ხალხთა განათლების ინსტიტუტი). **შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში.** (მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი მევენახეა, დალიეთ ჩემი სისხლი, ღვინოა იგი, ჭამეთ ჩემი ხორცი, პურია იგი – სახარება), **დაინახა ქამმა, ქანაანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე და შეატყობინა გარეთ თავის ორ ძმას** (წმიდა წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ნოეს მოღვაწეობის დროს მეგრული ენა (სემი) და იბერიული ენა (იაფეთი) არ არსებობდა და, თუ არსებობდა, იგი არ იყო სასულიერო-სახელმწიფო ენა, ანუ იმყოფებოდა გარეთ და თავის მისიის მოსვლის ჟამს უცდიდა. ამინ! **აიღეს სემმა და იაფეთმა სამოსელი** (სა-მო-სელი), **მოისხეს მხრებზე, უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის სიშიშვლე. პირი უკან ჰქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ“.** (დაბადება თავი 6,7,8,9).

წმიდა ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ ნოეს მართლმადიდებლური წიგნი, წმიდა წერილი დაწერილია ქართული სამება დამწერლობითა და სვანური (ქამი) ენით. ამიტომ გვეუბნება წმიდა წერილი: **„დაინახა ქამმა, ქანაანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე ე.ი. ნოემ მისი სულის უხილავი ინფორმაცია გააშიშვლა და თვალით დასანახი გახადა, სვანურ ენაზე დაწერილი სიტყვით სვანური ენით დაწერილმა რჯულის წიგნმა (ნოეს ეფუთმა, ნოეს კიდობანმა) შეატყობინა სემსა და იაფეთს ღვთის სიტყვა. სემმა და იაფეთმა კი სვანურ ენაზე დაწერილი ნოეს რჯულის წიგნი დაფარეს და შეინახეს იესოს (მესიის) დედამიწაზე მეორედ მოსვლის დრომდე. ამინ“**

როგორც წმიდა ბიბლიიდან ირკვევა ნოეს სამ ძეში (შვილებში) იგულისხმება სამება ქართული დამწერლობა: მხედრული, ხუცური და ასომთავრული. სამება ქართული ენა, – სვანური ქართული (**ქამი**), მეგრული ქართული (**სემი**) და იბერიული ქართული (**იაფეთი**). აგრეთვე ნოეს სამ ძეში იგულისმება პირველი მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (ნოეს კიდობანი), მეორე მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (მოსეს კიდობანი), მესამე მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (ქრისტეს კიდობანი), რომელიც წარმოადგენს კოდური ინფორმაციის წიგნს, ღვთის სიტყვას, რაც კი, ამ სამ მართლმადიდებლურ წიგნშია შეტანილი (კიდობანშია შეყვანილი) გადაურჩება ცრუ და ბოროტი ინფორმაციის წყალდიდობას, რომელშიც მთლიანად ჩაიძირა თანამედროვე კაცობრიობა. ანუ ის ადამიანები, რომლებიც ფლობენ და სწამთ ღვთის მართალი სიტყვის კოდური ინფორმაციისა, გადარჩებიან, ხოლო დანარჩენები დაიხრჩობიან ცრუ (ბოროტი) სიტყვის თავისუფლების ოკეანეში.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲠᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ?

ჯარიმები პოლიციელის შეურაცხყოფაზე

თბილისში მოძრაობა იმდენად გადატვირთული და ქაოსურია, თუ გინდა, რომ თავზე კონტროლი არ დაკარგო, რკინის ნერვები უნდა გქონდეს. ნერვების მოთოკვა განსაკუთრებით რთული მაშინაა, როცა ჯოჯოხეთურ საცობში ხარ და ხედავ, რომ ვიღაც სასტიკად თავხედობს, სხვა მძღოლებს პატივს არ სცემს და, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ თავსაც აზარალებს. თუმცა ახლა მორალის კითხვას კი არ ვაპირებთ, არამედ სხვა საკითხზე გვსურს თქვენი ყურადღების გამახვილება.

პოლიციელისთვის შეურაცხყოფის მიყენება რომ არ შეიძლება, დაწერილი რომ არ იყოს, დაუწერელი კანონი იქნებოდა, თუმცა ასეთ დანაშაულს კანონიც არეგულირებს და ცხადია, გაინტერესებთ, რა ელის მას, ვინც პოლიციელს ვიზუალურ თუ ვერბალურ შეურაცხყოფას მიაყენებს.

იმისათვის, რომ ეს თემა თქვენთვის უფრო საინტერესო ყოფილიყო, მოვიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი ჯარიმებია პოლიციელის შეურაცხყოფაზე გერმანიაში, რაც საშუალებას მოგვცემს, პარალელები გავავლოთ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოსა და ჩვენს განვითარებად ქვეყანას შორის.

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ?

ზოგადად, გერმანიაში პიროვნების ნებისმიერი სახის შეურაცხყოფაზე კონკრეტული ჯარიმებია დაწესებული და კანონში შეურაცხყოფის ყველა შესაძლო ვარიანტზე კონკრეტული ჯარიმა არსებობს. ოღონდ, გერმანელები ყველა შემთხვევას მაინც ინდივიდუალურად უდგებიან და ითვალისწინებენ იმ ადამიანის ყოველთვიურ შემოსავალს, რომელსაც ჯარიმა უნდა დააკისრონ.

მაგალითად, ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა შტეფან ეფენბერგმა თავის დროზე პოლიციელს ყველასათვის კარგად ნაცნობი გერმანული სალანძღავი სიტყვა, Arschloch (ანალური ხვრელი) რომ უწოდა, 10 000 ევრო გადაახდევინეს. თუმცა ეფენბერგს ამხელა ჯარიმა იმიტომ გამოუვიდა, რომ მაღალი ანაზღაურება ჰქონდა. დაბალაზღაურებადი მოქალაქის შემთხვევაში კი ჯარიმა გაცილებით ნაკლებია.

მაგალითად: თუ გერმანიაში მამაკაცის შემოსავალი თვეში 2000 ევროა და მას ჰყავს ორი, ორიდან ოთხ წლამდე ასაკის შვილი და უმუშევარი მეუღლე, გერმანელები პოლიციელის შეურაცხყოფისთვის ჯარიმას ასე დაუთვლიან: 2000 ევროს მინუს ორჯერ 250 ევრო (ბავშვები) – რჩება 1500 ევრო. რაკი ამ კაცის მეუღლე უმუშევარია, 1500 ევროდან თავისუფალ შემოსავლად ამ თანხის 60 პროცენტს ჩაუთვლიან – გამოდის 900 ევრო. შემდეგ ამ 900 ევროს ყოფენ 30 დღეზე (ერთი თვის დღეები) და მივიღებთ დღეში 30 ევროს. ასეთი დათვლით ეფენბერგის ყოველდღიური შემოსავალი იმ მომენტში 500 ევრო იყო და ამიტომაც გადაიხადა 10 000 (500 გამრავლებული 20 სამუშაო დღეზე), ეს კაცი კი, ვისი შემოსავალიც დღეში 30 ევრო გამოვიდა, იგივე დარღვევისთვის მხოლოდ 600 ევროს გადაიხდიდა...

ᲕᲘᲖᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ

როგორც უკვე ვთქვით, გერმანიაში ჯარიმის ოდენობა დასაჯარიმებლის შემოსავალზეა დამოკიდებული, სტანდარტული ჯარიმები კი ვიზუალური ჟესტით შეურაცხყოფისთვის ასეთია:

ენის გამოყოფა – 150 ევრო;

საჩვენებელი თითის შუბლზე მიდება – 750 ევრო;

შუა თითის ჩვენება – 4000 ევრო;

ᲕᲔᲠᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ

მონაცემები დახარისხებულია გერმანიის სასამართლოებში გამოტანილი განაჩენების მიხედვით.

”სულელო ძროხა!” – 300 ევრო;

”ყაჩაღო!” – 450 ევრო;

”ასოციალურო!” – 550 ევრო;

”შენ აფრენ!” – 750 ევრო;

”ავადმყოფო!” – 800 ევრო;

”ონანისტო!” – 1000 ევრო;

”ბოზო!” – 1900 ევრო;

”ბებერო ღორო!” – 2500 ევრო;

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ?

საქართველოში პოლიციელისთვის შეურაცხყოფის მიყენებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი არეგულირებს, რომლის მიხედვითაც დამნაშავე პიროვნებას დააკავებენ და შემდეგ სასამართლო გამოიტანს განაჩენს: ჯარიმის ოდენობა 250 ლარიდან 2000 ლარამდე (ან პატიმრობა 15 დღით) განისაზღვრება.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ

ამბები სამეგრელოდან

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი მარტვილში

5 ნოემბერს, მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი მარტვილს ესტუმრა.

ტრიფონ ხუხუას კულტურის სახლის სცენაზე დარიო ფოს პიესის მიხედვით წარმოადგინეს სპექტაკლი **„თავისუფალი წყვილი“** (კომედია ერთ მოქმედებად) მონაწილეობდნენ: ნინელი ჭანკვეტაძე, პაატა ბარათაშვილი, ბექა ჯუმუტია. რეჟისორი ქეთი დოლიძე, დამდგმელი მხატვარი ეკა მუხაძე და სიმონ მაჩაბელი, კომპოზიტორი გოგი ძოძუაშვილი, ქორეოგრაფი კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე თამარ სესიაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძის კოსტუმების მხატვარი ავთანდილ ცქვიტინიძე.

სპექტაკლს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და საჯარო სკოლების უფროსკლასელები.

სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა.

მარტვილში ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მარტვილის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“** 621

000 ლარი გამოიყო. 1.500-ადგილიანი საფეხბურთო სტადიონი ფუნქციონირებას მალე დაიწყებს. მშენებარე სტადიონი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა ორი თვის წინ დაათვალიერა. სამუშაოებს შპს **„ტოტალი“** ასრულებს.

საქველმოქმედო აქცია სენაკში

საერთაშორისო ასოციაცია **”ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის”** ქალაქ სენაკს ესტუმრა. ასოციაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 16 პირს სტანდარტული ეტლები გადასცა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ინტეგრირებას ნებისმიერი კუთხით. 11 ეტლი ქალაქ სენაკის უნარშეზღუდულ მოქალაქეებს გადაეცათ, 5 კი – ზანის, ნოქალაქევის,

თეკლათისა და უშაფათის თემებში მცხოვრებლებზე გადანაწილდა. აქტიური ეტლი (რაფრაიდერი) მზადდება საქართველოში, კერძოდ **”ინვალიდთა ლიგაში”,** საამქროს ხელმძღვანელობს გია ძნელაძე. ასოციაციის საქმიანობა საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაცია ეტლების დამზადებას აფინანსებს. ამასთანავე ჰუმანიტარული ორგანიზაცია საერთაშორისო ასოციაციის მეშვეობით დახმარებას უწევს ტუბერკულიოზით დაავადებულ მოქალაქეებს. აღსანიშნავია, რომ ასოციაცია ”ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის” აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებებში. სენაკის ბავშვთა პანსიონატს ამერიკული ორგანიზაცია ასოციაციის მეშვეობით ამარაგებდა პროდუქტებით, ტანსაცმლებითა და მედიკამენტებით. საერთაშორისო ასოციაცია აგრძელებს თანამშრომლობას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, რომელიც კიდევ ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებებს განახორციელებს სენაკის მუნიციპალიტეტში.

„სამშვიდობო გადაძახილი აფხაზ ხალხს“ ხობიდან

ნოემბერში ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სპექტაკლი გამართა. სპექტაკლის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეები სცენაზე მსახიობებთან ერთად, განცდილი ტკივილით წერდნენ

სცენარს და ასრულებდნენ სხვადასხვა როლებს, რომელიც აფხაზეთსა და აფხაზებს უკავშირდებოდა. თითოეულ მოსწავლეს შეეძლო პოზიტიურად შეეცვალა წარმოდგენაში არსებული სიტუაცია. ფორუმ-თეატრის გუნდმა მაყურებელთან გამართა დისკუსია, რათა ეპოვათ წარმოდგენაში მოცემული კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზები.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი განათლებისა და განვითარების ცენტრ **„აკადემუსთან“** ერთად, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის „COBERM“-ის ფარგლებში ახორციელებს პროექტს **„სამშვიდობო გადაძახილი აფხაზ ხალხს“.**

სპექტაკლს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და ხობის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქ. ზუგდიდში ომის ვეტერანებთან შეხვედრა გაიმართა

1 ნოემბერს 15.00 საათზე ქ. ზუგდიდის ენგურქაღალდ კომბინატის კულტურის სახლში სამეგრელო-ზემო სვანეთში მცხოვრებ ომის ვეტერანებსა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელს ირაკლი შიხიაშვილს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლევან შონია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების გამგებლები დაესწრნენ.

„შემოდგომის ფოთოლცვენა“ საჯიჯაოში

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს კულტურის სახლში გაიმართა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია **„შემოდგომის ფოთოლცვენა“**. კონცერტში საჯიჯაოს ფოლკორის, თანამედროვე ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები და საჯიჯაოს საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კულტურის სახლის ფოიეში გამოფენილ იქნა ადგილობრივ ხელოვანთა მიერ შესრულებული სხვა და სხვა სახის სახვითი ხელოვნების ნამუშევრები.

ღონისძიებას დამსწრე საზოგადოებასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და მუნიციპალიტეტის სხვა თანამდებობის პირები ესწრებოდნენ.

სოფელ შავღელეში ახალი სამედიცინო ამბულატორია ფუნქციონირებს

ამბულატორიის მშენებლობის პროექტის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეში სამედიცინო ამბულატორიის ახალი შენობა გაიხსნა. ამბულატორიის გარე საინჟინრო კომუნიკაციების სამუშაოები შპს **„სახლმშენმა“** შეასრულა და მისი ღირებულება 18 331 ლარს შეადგენს. ამბულატორიის შენობის გამზადებული კონსტრუქცია **„მუნიციპალური განვითარების ფონდმა“** შეისყიდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით კი ნაგებობის დასამონტაჟებელი ფუნდამენტი და საკანალიზაციო სისტემა მოეწყო.

დედამიწას მეტეორი უახლოვდება, რომელმაც შესაძლოა, ევროპა გაანადგუროს



რუსეთში არსებულმა რობოტელესკოპების ქსელმა **”მასტერმა”** სახიფათო ასტეროიდი აღმოაჩინა, რომელიც 370 მეტრი ზომისაა. ის ცნობილ ასტეროიდ **”აპოფისზე”** დიდია. აპოფისი არის ასტეროიდი, რომელიც დედამიწისკენ მოიწევს და რომელიც არიზონაში 2004 წელს აღმოაჩინეს. მისი დიამეტრი 325 მეტრს შეადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ ასტეროიდი დედამიწას დაეცემა, აფეთქების სიმძლავრემ შეიძლება საგრძნობლად გადააჭარბოს ჩელიაბინსკის მეტეორის აფეთქებას, რომლის დიამეტრიც 17 მეტრი იყო.

დედამიწასთან მეტეორის შეჯახების შემთხვევაში, ის გამოიწვევს ძლიერ ცუნამებს ან გაანადგურებს მთელ ევროპას. ყველა ასტეროიდი სამ ჯგუფად იყოფა: ჩვეულებრივი ასტეროიდები, რომლებიც მარსის და იუპიტერის შუა დაფრინავენ, ახლო ასტეროიდები, რომლებიც მზის ორბიტის სიახლოვეს ჩაიფრენენ და პოტენციურად საშიშები, რომლებსაც შეუძლიათ დედამიწას დაეჯახონ. ახალი ასტეროიდი ამ უკანასკნელ ჯგუფს განეკუთვნება.

ასტეროიდის დაცემის საფრთხეები იმაზეა დამოკიდებული, თუ სად ჩამოვარდება ობიექტი. თუ ეს მოხდება ზღვაში, გამოიწვევს ძლიერ ცუნამებს, რომლებიც უახლოეს ქალაქებს გაანადგურებს. თუ მაგალითად, ატომურ ელექტროსადგურს დაეცემა, საფრთხე მთელ ევროპას დაემუქრება.

დედამიწასთან შეტაკების თარიღზე საუბარი ნაადრევია, რადგან ასტეროიდზე დაკვირვება მხოლოდ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ უახლოეს ორ წელიწადში ეს არ მოხდება.

ქართველი პატიმრები უკრაინაში იბრძვიან

საიდუმლო არ არის, რომ უკრაინის სამთავრობო ჯარების მხარეზე, **“ნაციონალური მოძრაობის”** მიერ ორგანიზებულ პროპაგანდისტულ პიარს აყოლილი, დაქირავებული ქართველი მებრძოლები ომობენ. ქართულ თუ უკრაინულ მედიაში უკვე არაერთხელ გაჟონა ინფორმაციამ ქართველი დაქირავებული **“ბოევიკების”** სპეციალური მომზადების შესახებ. ისიც მრავალგზის გაუღერდა, რომ მათ შერჩევას და მობილიზებას ახორციელებს არაოფიციალური პროტეჟე – ოპოზიციური პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** ახალგაზრდული ფრთა **„თავისუფალი ზონა“.**

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ უკრაინელების მხარეზე ბრძოლის მოსურნე ქართველების რეალური რიცხვი არც ისე დიდია და მათი რაოდენობა დღითიდღე მცირდება. წამოიჭრა საკითხი, თუ სად იპოვონ რეკრუტები და მოიძებნა პასუხიც – რეკრუტებს არც ისე შორეული ადგილებიდან ჩამოვიყვანთ. ამ მიზნით საქართველოში შემუშავდა შეწყალების მორიგი აქტი (მის შესახებ მალე შეიტყობთ), რომლის სიაშიც ჩართეს ბრძოლის მოსურნე პირები.

შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძის განცხადებით, კომისიამ განიხილა ასობით პატიმრის განცხადება. მათ შორის 321 პატიმრის საქმემ სრულად დააკმაყოფილა კომისიის ყველა მოთხოვნა და კრიტერიუმი.

„ზუსტი ციფრის დასახელების უფლება არ მაქვს, თუ რამდენს მივეცით მათ შორის რეკომენდაცია. შეწყალების შესახებ განცხადება დაწერეს ისეთმა პატიმრებმაც, რომლებიც მძიმე დანაშაულში არიან ბრალდებული!!!, მათ შორის ტერორიზმში, განზრახ მკვლელობაში, ნარკოტიკების შენახვა-გასაღებაში. რეკომენდაცია უკვე გადაეგზავნა პრეზიდენტს და შეწყალება უახლოეს დღეებში განხორციელდება“, – განაცხადა ზვიად ქორიძემ.

ლევან ბერიძე,
საქინფორმი



ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲝᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲔᲜ! ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ Ე. Წ. ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲛᲐᲪ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲗᲐᲡᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ!

ფოტოებზე წარმოდგენილი არიან გაურკვეველი სქესის ადამიანები. სავარაუდოდ, ამ ნატო-ელი ვალკირიების ნაწილი – ქალის ფორმაში გადაცმული მამაკაცია. ამ გზით ხორციელდება გარყვნილების პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ამგვარი გადაწყვეტილების ადექვატურობის თავსმოხვევა.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა მეზღვაურები, გადამწყვეტ იერიშზე გადასვლის წინ ე.წ. "ტელნიაშკებს" იხდიდნენ, წელსზევით შიშვლები ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს და ან გამარჯვებულები სტოვებდნენ ბრძოლის ველს, ან გულგანგმირულები ეცემოდნენ საომარ ასპარეზზე. წარმომიდგენია როგორ შეუტევენ მტერს ხელჩართულ ბრძოლაში ნატო-ს "ბიძია-ბიცოლა" ჯარისკაცები – უკუსვლით, ნიფხავჩახდილები. წაკუზულები...

ფუჰ!

მოკლედ, ოვერტონის ფანჯარა მოქმედებაშია!

ამრიგად, თუ ნატო-სკენ ბრმად ლტოლვას არ მოვიშლით, ამათი მსგავსი გულისამრევი "კონჩიტებით" და სულბინძური "ბიძია-ბიცოლებით" აგვევსება ქვეყანა.

განა ეს არ იქნება საქართველოს განადგურების დასაწყისი, რომელსაც ასე მიესწრაფოდნენ დაშნაკი მიხეილ სააკიანცი და მისი დაშნაკური ბანდა?

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ – "ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲗᲘ" ᲗᲣ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ?

რა მოხდა 1962 წელს "დუგლას DC-8-33"-ის ბორტზე?

1962 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ქართველი გინეკოლოგი და რეპროდუქტოლოგი იოსებ ჟორდანია. ბრაზილიაში საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციიდან სამშობლოში მომავალი ავიაკატასტროფას ემსხვერპლა. უცხოეთში გაფრენის წინ პროფესორმა მთელი დღე მეგობარ თენგიზ ბოლქვაძესთან და ვაჟთან, კირილე ჟორდანიასთან გაატარა. მაშინ ბიჭუნა ათი წლის ყოფილა. ბავშვს გულუბრყვილოდ უკითხავს მამისთვის, ცურვა რომ არ იცი, არ გეშინია? თვითმფრინავი რომ წყალში ჩავარდეს, ხომ დაიღუპებიო... ბავშვის ავი წინათგრძნობა გამართლდა – მოგვიანებით, პროფესორის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენეს...

იმ საბედისწერო დღეს, 20 ივნისს, თვითმფრინავი **"დუგლასი"** დაგეგმილ რეისს ასრულებდა ბუენოს-აირესიდან რიო-დე-ჟანეიროსა (გალეაოს აეროპორტი) და ლისაბონში. გალეაოს აეროპორტში მშვიდობით დაეშვა. 23 საათსა და 3 წუთზე ხომალდი ასაფრენად მოემზადა, რომ პილოტმა გამოაცხადა, პრობლემა გვაქვსო – თვითმფრინავის ცხვირი არ ტრიალებდა... პილოტი მიხვდა, რომ ხომალდი ბილიკის დარჩენილ ნაწილზე ვერ გაჩერდებოდა და მარჯვნივ გადაუხვია... შასის ბორბლები ქვიშაში ჩაეფლო, ოთხივე ძრავამ დაკარგა ეფექტორები და მობრუნების კონუსები, რამაც თვითმფრინავი ააჩქარა – დაეჯახა აეროპორტის კედელს, გადაკვეთა მეზობელი ბილიკი და საბოლოოდ ოკეანეში ჩაეშვა. ჯერ ნაპირთან ახლოს, 100 მეტრში დრეიფობდა, შემდეგ კი 8 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა. ერთი შეხედვით, მდგომარეობა არც ისე რთული იყო, რომ ვინმე დაღუპულიყო. მიუხედავად ამისა, ავიაკატასტროფას 15 ადამიანი ემსხვერპლა – ერთი ეკიპაჟის წევრი და 14 მგზავრი... გადარჩენილი მგზავრებიდან ერთ-ერთმა, აწ გარდაცვლილმა პროფესორმა პავლე შუშანიამ საზოგადოებას იოსებ ჟორდანიას უკანასკნელი წუთების შესახებ უამბო:

"როდესაც თვითმფრინავი წყალზე გაჩერდა, მგზავრებმა (რომ არ დამძიმებულიყვნენ და წყალში არ ჩაძირულიყვნენ) ტანსაცმელი გაიხადეს და მაშველ რგოლებს ეცნენ. მე და იოსებ ჟორდანია თვითმფრინავის ფრთაზე ვიდექით. ამაოდ ვეხვეწებოდი, მომეჯიდე და ნაპირამდე გაგიყვან-მეთქი. თავი გააქნია, ასე ორივე დავიხრჩობით, სჯობს, თავს უშველოო. მან არც ცურვა იცოდა და მაშველი რგოლიც არ ჰქონდა – თვითმფრინავის სალონიდან გამოსვლამდე პატარა გოგონას მისცა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, უბილეთო იყო და სავარაუდოდ, მაშველი რგოლიც ამიტომ არ ჰქონდა. ლაინერი თანდათან მიიწევდა ფსკერისკენ. ისღა დამრჩენოდა, მარტო გამეცურა ნაპირისკენ. ცურვა რომ სცოდნოდა და ცოტაც გაეძლო, მაშველი მასაც მიუსწრებდა".

კატასტროფის დროს სომეხი პროფესორი აშოტ აგარონოვიც დაიღუპა. ის და ჟორდანია ერთი ასაკის, 67 წლის იყვნენ. მოხუცმა პროფესორმა, იმ იმედით, რომ მაშველი მიუსწრებდა, არჩია თვითმფრინავში, სკამზე მიბმული დალოდებოდა ბედისწერას...

სამწუხაროდ, შუშანიამ არ იცოდა გადარჩენილი გოგონას ვინაობა. თენგიზ ბოლქვაძის მოგონებებში ვკითხულობთ: **"შუშანია ამბობდა, რომ ბავშვი დაახლოებით ექვსი წლის იყო. ეკიპაჟის წევრებისგან ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ გოგონა მათთვის ჩაუბარებინათ და უთქვამთ, რომ აეროპორტში დახვდებოდნენ...".**

მიუხედავად შუშანიას მონათხრობისა, ჟორდანიას დაღუპვიდან მალევე, საქართველოში გამოჩენილან სკეპტიკოსები, რომლებსაც პროფესორის გმირობაში ეჭვი შეუტანიათ. ამ ამბავთან დაკავშირებით დღემდე არსებობს მითქმა-მოთქმა. ჟორდანიას გმირობით რუსი ბლოგერიც დაინტერესდა. შეეცადა, დაედგინა, მართლა გადაარჩინა ქართველმა პროფესორმა უცნობი გოგონა, თუ ეს **"საბჭოთა ზღაპარი"** იყო. **"ლაივჟურნალში"** 2012 წელს დაბეჭდილ კვლევაში ბლოგერი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ჟორდანიას ამბავი ქართველებმა პროფესორის განსადიდებლად გამოვიგონეთ, მასთან ერთად დაღუპული ცნობილი პროფესორის, აშოტ აგარონოვის, თანამემამულე სომხებს კი მსგავსი **"ზღაპრის"** მოგონება არც უცდიათო...

ბლოგერი არა თვითმხილველებისგან მოსმენილ, არამედ ინტერნეტში მოძიებულ მწირ ინფორმაციას ეყრდნობა. ინტერნეტში არსებული ოფიციალური ცნობით არ ჩანს, რომ რიო-დე-ჟანეიროდან აფრენილი **"დუგლას DC-8-33"**-ის ბორტზე უბილეთო მცირეწლოვანი იყო...

შევეცადეთ გაგვერკვია, ვის შეეძლო ფაქტებზე დაყრდნობით მოეთხრო, რა მოხდა 1962 წლის 20 ივნისს. იოსებ ჟორდანიას ერთადერთი ვაჟი კირილი, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და ახლა მოსკოვში ცხოვრობს, მაშინ მცირეწლოვანი იყო, მოგვიანებით კი თავმდაბლობის გამო არ უცდია მამის გმირობის კვლევა... ყველაზე მეტი მისი საქმის ერთგულ გამგრძელებელს, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, არჩილ ხომასურიძეს სცოდნია. მას შემდეგ, რაც ჟორდანიას გმირობის გაქარწყლებას შეეცადნენ, პროფესორს კვლევა დაუწყია და მოსკოვშიც ჩასულა **"დუგლას DC-8-33"**-ის მგზავრების სანახავად.

არჩილ ხომასურიძე: – გადავწყვიტე, გავსაუბრებოდი იმ ადამიანებს, ვინც ბოლო წუთებში ჟორდანია თვითმფრინავის ბორტზე ნახა. მაშინ, 25 წლის წინ, ცოცხალი იყო სამი ქალბატონი, სამივე ცნობილი პროფესორი. მათ მიამბეს, რა გააკეთა ჟორდანიამ სიკვდილის წინ. როცა თვითმფრინავს რყევა დაუწყია, სალონში პანიკა ამტყდარა, დაბნეული ხალხი საავარიო გასასვლელს მისწყდომია. სწორედ ამ დროს ქალბატონებმა თვალი მოჰკრეს ატირებულ გოგონას, რომელსაც კამერა არ ჰქონდა და ირგვლივ მყოფთ საშველად უხმობდა... ჟორდანიამ პატარას თავისი კამერა უყოყმანოდ მისცა... იმის გამო, რომ თვითმფრინავი ნაპირთან ახლოს იყო, ამ ამბის შემსწრეთ უფიქრიათ, ალბათ, პროფესორი კარგად ცურავს და ამიტომაც დაუთმო რგოლი გოგონასო... მოგვიანებით გაიგეს, რომ ქართველი გმირი დაიხრჩო... იმ გოგონას ვერ მივაგენი, თუმცა, ქალბატონები იხსენებდნენ, რომ ტრაგედიიდან ათი წლის შემდეგ ტურისტად ჩამოსულა მოსკოვში და ჟორდანიას საფლავს ეძებდაო... ქალბატონებს არ ახსოვდათ მისი სახელი და გვარი...

ვინც იოსებ ჟორდანიას ცხოვრებას იცნობდა, არასდროს შეეპარებოდა ეჭვი პროფესორის გმირობაში. ის იყო ექიმი, რომელმაც ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობას არა მხოლოდ მთელი სიცოცხლე, სიკვდილიც კი მიუძღვნა. სამწუხაროა, რომ მისი ხსოვნის შებღალვა ჯერ საქართველოში სცადეს, შემდეგ სომხებმა და საბჭოთა ბიუროკრატებმა განაგრძეს. ვიღაცამ ვერ აიტანა, რომ მაშველი რგოლი პროფესორის გმირობის შარავანდედად იქცა..."

ᲔᲙᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ოთხი სათრეველა

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲡᲐᲬᲣᲮᲐᲠᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲪᲮᲐᲓᲘ

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲙᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲕᲐᲒᲚᲐᲮ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲮᲛᲐᲓ ᲛᲦᲐᲦᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡᲐᲓ.

ᲬᲣᲮᲔᲚ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘ ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲡ
ᲓᲐ ᲨᲔᲕᲦᲐᲦᲐᲓᲔ:
– ᲕᲐᲜᲝ, ᲓᲐᲒᲕᲩᲐᲒᲠᲔᲡ!
ᲫᲘᲚᲑᲣᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲕᲔᲦᲘᲠᲡᲔᲗ
ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲔᲑᲐᲡ
ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲔᲠᲘᲐᲡ
ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲠᲩᲘᲗ ᲕᲔᲠᲪ ᲯᲐᲧᲝᲡ ᲮᲘᲖᲜᲔᲑᲐᲓ.
ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲕᲔᲡᲘᲕᲜᲔᲜ ᲗᲔᲗᲠᲘ
ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲨᲘᲓᲐ-ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲝᲠᲙᲔᲡ
ᲛᲐᲒᲗᲣᲚᲑᲚᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ.
ᲬᲐᲑᲘᲚᲬᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲡᲐᲕᲘ,
„ᲧᲝᲤᲜᲐ-ᲐᲠᲧᲝᲤᲜᲐ“, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲐᲮᲚᲐ
ᲔᲡ ᲐᲠᲘ.
ᲛᲐᲜ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ:
– ᲕᲔᲠ ᲛᲘᲒᲘᲮᲕᲓᲘ, ᲔᲡ ᲠᲐᲓ ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ,
ᲜᲣᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ
ᲠᲐᲓ ᲘᲓᲒᲐ ᲡᲐᲙᲘᲠᲔ?
ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲪᲣᲚᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲐ,
ᲠᲝᲪᲐ ᲮᲔᲡ ᲭᲠᲘᲐᲜ, ᲡᲮᲕᲐ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲠᲐ
ᲛᲝᲡᲐᲢᲐᲜᲘᲐ?
ᲓᲐᲛᲪᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲫᲔᲑᲝ
ᲒᲔᲜᲘ ᲝᲡᲘᲡᲐ,
ᲙᲕᲐᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲕ ᲣᲑᲝᲠᲝᲢᲔᲡ ᲒᲔᲜᲘᲝ-
ᲡᲘᲡᲐ.
ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲙᲕᲔᲝᲓᲐ
ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲡ ᲠᲝᲙᲘᲡᲐᲡ,
ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲔᲚᲘ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲕᲐᲛ-
ᲞᲘᲠᲡ ᲠᲝᲙᲕᲘᲡᲐᲡ,
ᲯᲘᲚᲓᲝᲓ ᲚᲝᲙᲕᲘᲡᲐ, ᲩᲔᲥᲛᲘᲡ ᲚᲝᲙᲕᲘᲡᲐ!

* * *

ᲬᲣᲮᲔᲚ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘ ᲛᲐᲩᲐ-
ᲑᲔᲚᲡ
ᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲪᲐᲜᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ
ᲐᲠ ᲩᲐᲜᲓᲜᲔᲜ,
ᲗᲐᲜ ᲮᲛᲐ ᲩᲐᲛᲔᲡᲛᲐ ᲪᲮᲐᲓᲖᲔ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ,
ᲒᲐᲜᲐ ᲧᲣᲠᲛᲝᲙᲕᲠᲘᲗ:
– ᲟᲐᲛᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲚᲘᲥᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ
ᲚᲝᲙᲕᲘᲡ
ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ, ᲗᲐᲜ ᲫᲐ-
ᲚᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ:
ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲔᲫᲔᲑᲝᲡ
ᲛᲗᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲗᲝᲙᲘ,
ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲔᲡ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲠᲝᲙᲘᲡ!

ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲡ ᲘᲝᲠᲦᲝᲑᲐᲡ!

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲛᲘᲯᲘᲠᲘᲗᲝᲓᲐ,
ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲯᲘᲠᲘᲗᲝᲓᲐ,
ᲙᲘᲔᲕᲨᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲯᲘᲠᲘᲗᲝᲓᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲠᲤᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ: „ᲭᲘᲢᲐ“, –
ᲕᲘᲡᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ? ᲠᲐ ᲯᲘᲑᲘᲗᲐ?
ᲮᲐᲜ ᲣᲯᲘᲒᲠᲝᲓ, ᲮᲐᲜ ᲯᲘᲒᲠᲘᲗᲐ,
ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲐᲥᲔᲗ, ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲘᲥᲘᲗ,
ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲝᲛᲘᲗ, ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲚᲘᲥᲜᲘᲗ
ᲐᲛ ᲯᲘᲑᲒᲘᲠᲛᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲯᲘᲑᲒᲘᲠᲗᲐ
ᲯᲘᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲘᲭᲕᲠᲘᲢᲐ,
ᲒᲕᲐᲬᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲒᲕᲬᲧᲕᲘᲢᲐ.
ᲐᲦᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲓᲘᲚᲡ:
„ᲛᲔ ᲛᲝᲕᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲐᲓᲘᲗ!“
ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲐᲙᲐᲜᲙᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲚᲔᲕᲡ,
ᲗᲣ ᲛᲘᲡ ᲯᲐᲒᲚᲐᲒᲡ ᲘᲝᲠᲦᲝᲑᲐ
ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐ „ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲐᲡ“.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲑᲠᲘᲧᲕ ᲘᲜᲙᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲡ
ᲐᲠ ᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲢᲝᲛ,
ᲠᲝᲛᲪ ᲐᲤᲠᲘᲜᲓᲔᲡ ᲐᲠᲐᲛᲘᲝ,
ᲘᲡ ᲐᲚᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲝ
ᲓᲐ ᲞᲐᲜᲩᲣᲠᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ,
ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲝᲡ!

ᲣᲙᲕᲐᲜᲢᲐᲕᲘ ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲢᲐᲝᲓ?

ᲧᲝᲧᲚᲝᲩᲘᲜᲐ ᲛᲐᲢᲠᲐᲑᲐᲖᲝ,
ᲠᲝᲪᲐ ᲒᲘᲡᲛᲔᲜ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲔᲑᲠᲐᲖᲝᲑ,
ᲓᲐᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡᲐ,
ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲘᲮᲝᲛ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲪᲐ.
ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲭᲙᲣᲘᲗ, ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ
ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲑᲐᲢᲝ-ᲡᲐᲙᲕᲐᲢᲐᲝᲡ,
ᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲣᲠᲡ – ᲣᲙᲕᲐᲜᲢᲐᲕᲘ
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲕᲘᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲢᲐᲝᲓ.

ᲐᲮᲚᲝᲐ ᲨᲐᲛᲘ!

ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲯᲐᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ,
ᲡᲐᲓ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲘᲗ,
ᲡᲝᲠᲝᲡᲘᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘ
ᲨᲐᲓᲘᲛᲐᲜᲔᲑᲘ?
ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲯᲘᲑᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲘᲕᲡᲔᲗ,
ᲒᲛᲐᲠᲗᲔᲑᲗ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲗ ᲐᲠᲝᲙᲐᲚᲘᲤᲘ-
ᲡᲖᲔ!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

«ქართლის ცხოვრების» იმ ცნობის საფუძველზე, რომლის თანახმად რევ მირიანის ძის მეუღლე – სალომე **«უჯარმელი»** სომეხთა მეფის ასული იყო, სომხეთის მხრიდან მეფისწულ თრდატისათვის, ანუ იგივე საურმაგისათვის მხარდაჭერას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელის სომეხ არშაკუნებთან სისხლით ნათესაობის ფაქტი განაპირობებდა. განსახილველ ეპოქაში იბერიის წარჩინებულ საგვარეულოებში წესად იყო მიღებული საკუთარი შვილების აღსაზრდელად მამა-მძუძეთათვის მიბარება. ხოლო მამა-მძუძეობის წესი, როგორც ამას თავის დროზე ი.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, **«იმ მთავარ დებულებაზეა დამყარებული, რომ მამის ღვიძლი შვილი თავის მამის ოჯახში და საგვარეულო სახლში არ შეიძლება ყოფილიყო, გაზრდილიყო და თვით ძუძუც კი ეწოვა. ის უეჭველად სხვა საგვარეულოს სახლში სწოვდა ძუძუს, იქ იზრდებოდა და როდესაც წამოიზრდებოდა, მხოლოდ მაშინ შედიოდა თავისი ღვიძლი მამის საგვარეულოსა და სახლში»**. იქვე დიდი მეცნიერი იმასაც დასძენს, რომ **«ბავშვი თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამც თუ არ იზრდებოდა, არამედ არც იბადებოდა. აქ მას ღვიძლი მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც მაშინ აგრეთვე ჯერ თავისი ქმრის ოჯახში არ იმყოფებოდა, არამედ თავისსავე საგვარეულოში რჩებოდა, ...ასეთ პირობებში, როდესაც ბავშვი დედის საგვარეულოში იზრდებოდა, მისი აღმზრდელი და მფარველი მამაკაცი დედის მახლობელი მამრობითი სქესის ნათესავები, დედის 2 – ძმა და სხვები იყვნენ, ისინი ამ ბავშვს აღზრდა-მზრუნველობის მხრივ მამობას უწევდნენ და სწორედ ამიტომ ღვიძლი მშობელი მამისაგან გასარჩევად მას «მამა-მძუძე» ეწოდა»** (105:152-153). აღნიშნულის მიხედვით იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მეფისწული თრდატი (საურმაგი) დაიბადა და აღიზარდა სომხეთში, დედის, ანუ არშაკუნთა სამეფო საგვარეულო სახლში. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, დედით არშაკუნ ქართველ მეფისწულს სომხეთის მხრიდან მძლავრი მხარდაჭერა ექნებოდა ქართლის სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში, მაგრამ ბაკურთან დაპირისპირებაში ძლეული ის იძულებული გამხდარა 363 წლის 26 ივნისის შემდგომ ხანებში დედასთან ერთად დროებით (ალბათ, 368 წლამდე) კახეთის ცენტრ უჯარმიდან კუხეთში, ქალაქ რუსთავში გადაბარგებულიყო. რომ თრდატ/საურმაგს გარკვეული სიახლოვე ჰქონდა დედულეთთან, ანუ სომხურ სამყაროსთან ამ აზრს არც ძველი ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ეწინააღმდეგებიან. კერძოდ, **«მოქცევაი ქართლისაის»** ერთი ცნობის თანახმად, თრდატ რევის ძის ზეობისას ქართლის მღვდელმთავრის ტახტზე **«ნერსე სომეხთა კათალიკოსისა დიაკონი იობ»** დამჯდარა, რომელიც **«ქართლის ცხოვრებაში»** საერთოდაც **«იობ სომეხი»**-ს სახელით იწოდება.

სამწუხაროდ, ქართული წერილობითი წყაროები არაფერს გვამცნობენ თრდატ/საურმაგის მეუღლის ვინაობის შესახებ, რომ მისით დაგვედგინა ბაკურ თრდატის ძის (დიდი ბაკურის) დაბადებისა და აღზრდის ადგილ-სამყოფელი. როგორც ჩანს, ბაკურის **«მძუძეთა»** სახელები იხსენიებოდა პალესტინის ქართველთა მონასტრის უძველეს წარწერაში, მაგრამ იქ საბოლოოდ ბაკურისა და მისი ძუძუმტის – გრი ორმიზდის სახელებიდა შემოგვრჩა. მართალია, ზოსიმეს (V ს.) ცნობით, ბაკურს თითქოს **«გვარტომობა არმენიიდან მოჰქონდა»** (31:270), მაგრამ ჯერ ერთი, **«იბერიის»** ცნების **«არმენიასთან»** აღრევის ფაქტებს ამა თუ იმ უცხოელი მწერლის უცოდინრობის მიზეზით ზოგჯერ სხვა წყაროებშიც ვაწყდებით ხოლმე და მეორეც ის, რომ დიდი ბაკურის მამას – თრდატს დედის მხრით ლეონტი მროველიც აკავშირებს სომეხ არშაკუნთა სამეფო საგვარეულოსთან. სხვა მხრივ, დიდი ბაკურის ეროვნული კუთვნილების საკითხში დიდად სადავო არაფერია: ის იბერიელი, ანუ ქართველია ამიანე მარცელინეს, გელასი კესარიელის, ტურანიუს რუფინუსის, სოკრატე სქოლასტიკოსის, იოანე რუფუსის (ბეით-რუფინის), კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თვალში; მხოლოდ ლიბანიოსი და გიორგი ამარტოლი არ უთითებენ მის ეროვნულ კუთვნილებაზე. უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხსენებული ბაკურის დიდი პაპები და ბებიები (მირიანი და ნანა, თრდატი და აშხენი) თავიანთი ქვეყნების პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლები იყვნენ; ხოლო მისი მკვიდრი ბებია – სალომე **«უჯარმელი»**, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მიმდევარი, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღმწერელი და პროპაგანდისტი გახლდათ (91:73-75 და შმდ.). ღმრთისმოშიში და წიგნიერი წინაპრების გარემოში გაზრდილ დიდ ბაკურს მოწიფულობისას თავადაც აღტაცებაში მოჰყავდა სხვადასხვა ჯურისა და რელიგიური მრწამსის მქონე განათლებული ადამიანები.

დიდი ბაკურის მშობლებს, როგორც იოანე რუფუსი იტყობინება, ჰყოლიათ კიდევ ერთი ძე – **«არჩილი»**, რომელიც ასაკით ძმაზე უმცროსი იყო და მოგვიანებით (423-438 წწ.), უკვე საკმაოდ ხანშიშესულს, მასაც მოუწია ქართლში მეფობა. იოანე რუფუსის ცნობითვე, დიდ ბაკურს ჰყოლია სულ მცირე ორი შვილი მაინც, რომელთაგან ერთ-ერთი – **«ბაკურდუხტი»** ცნობილი საეკლესიო მოღვაწის – პეტრე იბერის (409-488/91 წწ.) დედა გახლდათ.

ამრიგად, ქართლის ქრისტიან მეფეთა რიგი და ქრონოლოგია მირიანიდან ვიდრე დიდი ბაკურის ზეობამდე ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ასე გამოიყურება (რიგითი ნუმერაცია ჩვენია - ბ.ხ.): მირვან I (=მირეან / მირიან / მიჰრან / რევ) **«მართალი»** – გარდ. 338 წ. მირვან II (=მერიბან / რევ მირიანის ძე / ვაჩე) – 338-362 წწ. ბაკურ I – 362-368 წწ.

საურმაგ I (=მირდატ / თრდატ რევის ძე) – 368 წ. (ქართლის ერთპიროვნული მეფე); 369-377 წწ. (ნახევარი სამეფოს გამგებელი); 388-395 წწ. (ნახევარი სამეფოს გამგებელი). ასფაგურ I (=ასპაკურ / ვარაზ-ბაკურ / ვარაზ-ბაქარ) – 369-377 წწ. (ნახევარი სამეფოს გამგებელი); 377-388 წწ. (ქართლის ერთპიროვნული მეფე).

თავი II

დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის **«ბიზანტიური»** პერიოდი სამწუხაროდ, დიდი ბაკურის ყრმობის პერიოდზე ჩვენ ფაქტიურად არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს. მისი პაპის მამა, როგორც ვნახეთ, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი (მირვან I) იყო, რომელიც 338 წლის 2 .–ახლოს უნდა გარდაცვლილიყო. ამის შემდეგ სამეფო ტახტზე ადის დიდი ბაკურის პაპა რევ მირიანის ძე (ამიანე მარცელინეს **«მერიბანი»**; ჩვენი ნუმერაციით: მირვან II), რომელსაც მანამდე საუფლისწულოდ მამისაგან მიცემული ჰქონდა კახეთი და კუხეთი ცენტრით უჯარმაში. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, როგორც უკვე ითქვა, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (324-337 წწ.) დროს ქართლისა და სომხეთის მეფეები, მირიანი და თრდატი დამოყვრებულან: იბერიელ მეფისწულ რევს ცოლად შერთეს თრდატ სომეხთა მეფის ასული სალომე. რაკიღა იმ დროს თრდატ III ცოცხალი იყო, ქორწინებას 324-330 წლებს შორის პერიოდში უნდა ჰქონოდა ადგილი. სავარაუდოდ, რევ/მერიბანი IV საუკუნის დასაწყისში ჩანს დაბადებული, ხოლო მისი პირმშო თრდატ/საურმაგი იმავე საუკუნის 20-იანი წლების შუაგულში. ასეთი უხეში გამოთვლებით დიდი ბაკურის დაბადების თარიღი 350 წლის მახლობლად ან ყოველ შემთხვევაში, 50-იანი წლების I ნახევარზე მაინც მოვა (ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებისათვის იხ. 93:19-20; 21:111 შენ. 58). ქართლის წარჩინებულთა შორის იმ დროს მიღებული ტრადიციის მიხედვით, ის დედის საგვარეულო სახლში უნდა დაბადებულიყო და იქვე მამა-მძუძის მეთვალყურეობის ქვეშ აღზრდილიყო. სამწუხაროდ, პალესტინურ წარწერაში მისი აღმზრდელების (მძუძეთა) სახელები გადაშლილია, მაგრამ იქ მისი ძუძუმტის სახელი – **«გრი ორმიზდ»** იკითხება. ამ უკანასკნელის სახელის მიხედვითაც ვარკვევთ იმას, რომ დიდი ბაკური ერთ-ერთი ქართველი წარჩინებულის (სპასპეტის, სამეფო ეზოსმოძღვრის და ა.შ.) საგვარეულო სახლში აღიზარდა. მამისეულ სახლში დაბრუნების შემდეგ მეფისწულის აღზრდა-განათლებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო მის განათლებულ და ღმრთისმოშიშ ბებიას – სალომე **«უჯარმელს»**. 363 წელს ქართლის მეფე ბაკურ I-მა (მირიანის ძე) გარდაცვლილი ძმის სახლეულობას, ე.წ. რევიანებს მირიანის მიერ მათთვის სამემკვიდრეოდ მიცემული მამული შეუმცირა, კახეთი ჩამოართვა უჯარმიანად და კუხეთიდა დაუტოვა მფლობელობაში. მეფისწული საურმაგი (თრდატი) იძულებული გახდა დედასთან (სალომე), ცოლშვილთან და მისი სახლეულობის სხვა წევრებთან ერთად უჯარმიდან ქალაქ რუსთავში გადაბარგებულიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ 363-367 წლები დიდმა ბაკურმა სწორედ ქალაქ რუსთავში დაჰყო. 368 წელს მიიცვალა მეფე ბაკურ I (მირიანის ძე) და რომის იმპერატორის – ვალენტის (364-378 წწ.) აქტიური მხარდაჭერით ქართლის სამეფო ტახტს დიდი ბაკურის მამა, საურმაგი დაეუფლა. მას დაუპირისპირდა ბაკურ I-ის შთამომავალი – ასფაგური (ვარაზ-ბაკური), რომელმაც სპარსელთა მხარდაჭერით შეძლო საურმაგის მცხეთიდან გაძევება. რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე წერს, რომ შაბურ II-მ იბერიელებზე გამგებლობა **«ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი (ე.ი. რომაელთა) გადაწყვეტილებისადმი შეურაცხყოფა მიეყენებინა»**-ო (7:125). სპარსელთაგან 363 წლის ზავის პირობების დარღვევას იმავეთი უპასუხეს რომაელებმაც: **«იბერიის სამეფოდან გამოძევებული» საურმაგი «თორმეტი ლეგიონითა და ტერენციუსი-თურთ გაიგზავნა უკან. უკვე მდინარე კიროსს (ე.ი. მტკვარს) რომ მიუახლოვდა, ასფაგური შეევედრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო; იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ»**-ო, წერს ამიანე (7:130). ამიანე იქვე იმასაც გვამცნობს, რომ მხარეებს შორის საზღვრად მდ. მტკვარი დაიდო, საურმაგს სომხეთისა და ლაზების მოსაზღვრე მხარე ერგო წილად, ასფაგურს კი – ალბანეთისა და სპარსელების მომიჯნავე. იბერიის სამეფოს ასეთ გაყოფას ვალენტი კეისარმა მხარი დაუჭირა, სპარსეთის მეფე – შაბურ II კი, ამან ძლიერ აღაშფოთა (7:130-131). 377 წელს, ისარგებლა რა დუნაისპირეთის მხრიდან რომის იმპერიის საზღვრებში ვესტ-გოთთა ურდოების შეჭრის ფაქტით, შაბურ II-მ იბერიიდან ხელახლა გააძევა საურმაგი და ქვეყანა მთლიანად თავის ფავორიტს – ასფაგურს დაუმორჩილა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწორედ ამ დროს დატოვა ე.წ. რევიანთა სახლეულობამ სამშობლო და ბიზანტიას შეეხიზნა (10:23; 13:73-74 და სხვ.).

§1. დიდი ბაკური რომის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე მეფისწული ბაკურის ბიზანტიელთა სამხედრო სამსახურში ყოფნის ფაქტი პირველად 378 წლისათვის ჩანს წერილობით წყაროებში. მას ისევ ამიანე მარცელინე ახსენებს, როგორც ადრიანოპოლთან 378 წლის 9 აგვისტოს ვესტ-გოთების წინააღმდეგ გამართული

ბრძოლის აქტიურ მონაწილეს. იგი წერს, რომ **«მშვილდოსნები და ფაროსნები, რომელთაც მაშინ ვინმე ბაკური იბერიელი სარდლობდა..., ფიცხი იერიშით უფრო თავშეუკავებლად გაიჭრნენ წინ და უკვე მტრებს შეებნენ; მაგრამ რაკი უდროო დროს გაიჭრნენ წინ, ასევე უშნო უკან დახევით ბრძოლის დასაწყისი წაახდინეს»**-ო (7:144).

აღნიშნული ბრძოლა რომაელთა და მათ რიგებში მყოფი მოკავშირეების სრული მარცხით დასრულდა; იქვე ტრაგიკულად დაიღუპა თვითონ იმპერატორი ვალენტიც. როგორც ირკვევა, ბაკურს ამ დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო თანამდებობა სჭერია, იგი ხელმძღვანელობდა იმპერატორის კარის მცველი ჯარის ერთ-ერთ ქვეგანაყოფს – ე.წ. **«სკუტარიებს»**. როდის და რა ვითარებაში აღმოჩნდა იბერიელი მეფისწული რომის იმპერიის სამხედრო სამსახურში, ამის შესახებ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. ამ საკითხზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ რამოდენიმე ვარაუდის გამოთქმა:

1. ბაკური, ვითარცა სამეფო ტახტის მემკვიდრე, მამამისმა – მეფე საურმაგმა მისცა მძევლად 368 წელს ვალენტი კეისარს ქართლის მეფედ მის აღზევებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ;

2. ბაკური საურმაგის სახლეულობის სხვა წევრებთან ერთად კონსტანტინეპოლში მივიდა იმ დროს, როდესაც შაბურ II-მ პირველად გააძევა იბერიიდან მამამისი და ეს უკანასკნელი დახმარების მოსაპოვებლად რომაელებს ეახლა, ანუ 368 წელს;

3. ბაკურმა სამშობლო დატოვა 377 წელს, როდესაც სპარსელებმა საურმაგს იბერიის ის ნაწილიც წაართვეს, რომელიც მან 369 წელს რომაელთა დახმარებით დაიქვემდებარა.

ამიანე მარცელინეს ზოგიერთი ცნობის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბაკურმა სამშობლო 373 წლის წინარე პერიოდში დატოვა. ამას ირიბად შეიძლება მოწმობდეს ხსენებული ავტორის შემდეგი ცნობები: 373 წელს **«სკუტარიების ტრიბუნის»** თანამდებობას ჰფლობდა ვინმე **«ბარზ(ი)მერი»**, რომელიც 377 წელს ქალაქ დიბალტუმის მახლობლად გმირულად დაღუპულა ვესტ-გოთებთან შეტაკებისას (იხ. 7:143). ჯერ კიდევ ი.მარკვარტმა და შემდეგ გ.წერეთელმაც ამიანესეული **«ბარზ(ი)მერი»** პეტრე იბერის პაპის (მამის ხაზით) – **«ბუზმირის»** პიროვნებას გაუიგივა (97:20). პეტრეს ბიოგრაფ იოანე რუფუსის (ბეით-რუფინის) ცნობით, აღნიშნული პირი იყო დიდი ბაკურის ქალიშვილის – ბაკურდუხტის მეუღლის, ასევე **«ბუზმირ»**-ად წოდებული პირის მამა. მამამთილისგან განსხვავებით ბაკურდუხტის მეუღლეს იოანე რუფუსი იბერთა მეფედ აცხადებს თავის თხზულებაში. ს.ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ უფროსი ბუზმირის დაღუპვის შემდეგ სკუტარიების ტრიბუნობა ბაკურს მიენიჭა (7:92). შემდგომში დიდმა ბაკურმა უფროსი ბუზმირის ვაჟს თავისი ასული (ბაკურდუხტი) მიათხოვა ცოლად, რაც შეიძლება მოწმობდეს პირველდასახელებულ პირთა ოდინდელი სიახლოვის, ურთიერთნათესაობის ფაქტზეც. როგორც **«პეტრე იბერის ცხოვრების»** ტექსტის ასურული თარგმანიდან ვიგებთ, იბერიის სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არ ყოფილა და ამ ენდოგამიის არსებობის ფაქტს, სხვათა შორის, იოანე საბანისძის დაცული ცნობების მიხედვით ვიდასტურებთ უფრო გვიანდელი პერიოდისთვისაც (105:150).

ამიანე მარცელინე **«ბარზ(ი)მერს» «ომის ასპარეზზე გამობრძმედილ სარდალს»** უწოდებს. ჩანს, რომ ის ასაკით რამდენადმე უფროსი იყო დიდ ბაკურზე; 477 წლისათვის უფროსი ბუზმირი უკვე ცოლშვილის პატრონიც ყოფილა. იოანე რუფუსთან დაცული ერთი ცნობის თანახმად, უფროსი ბუზმირის ცოლი – **«ოსდუხტი»** იყო ფარსმან მეფის ღვიძლი და. ხოლო **«მოქცევაი ქართლისაის»** ცნობით, ხსენებული ფარსმანი თრდატ რევის ძის, იგივე საურმაგ მეფის დისწული გახლდათ. თავის მხრივ, **«ქართლის ცხოვრების»** მატიანე გვამცნობს იმას, რომ ფარსმანი ვარაზ-ბაკურის (ასფაგურის) ძე იყო.

შესაბამისად, პეტრე იბერის ბებია ოსდუხტიც ასფაგურ მეფის ასული და მეფე საურმაგის დისწული გამოდის და მაშასადამე, უფროს ბუზმირს ოსდუხტის სახით ცოლად ჰყოლია მირიან მეფის (=მირვან I) შვილთაშვილი, მეფეების – ბაკურ I-ისა და მირვან II-ის (=რევ მირიანის ძე/»მერიბანი») შვილიშვილი, მეფე ასფაგურის (=ვარაზ-ბაკურის) ასული, საურმაგ (=თრდატ რევის ძე) მეფის დისწული და დიდი ბაკურის მკვიდრი მამიდაშვილი.

ბესიკ ხურცილავა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲩᲛᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲐᲜᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ” – *ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ*

აშკარად ჩაუვარდათ 15 ნოემბრის ღონისძიება ინტრიგებსა და ნაძირალობებში გაწაფულ ნაცებს, რადგან მათ განზრახული ჰქონდათ არა საპროტესტო აქციის ჩატარება, არამედ სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც საპროტესტო აქციაზე მოწყობილ პროვოკაციას უნდა მოჰყოლოდა. დღეს უკვე საბოლოოდ გაიშიფრა ნაცებისა და ალასანიას მიერ მოწყობილი გადატრიალების სქემა – მოხდებოდა პროვოკაცია, რომლის აღსაკვეთად სათანადო ზომებს გაატარებდა პოლიცია. სააკაშვილისადმი ლოიალურად განწყობილი მოქრთამული დიპკორპუსი, ნაცების მიერ დაქირავებული არასამთავრობოები (კოუორიძეები, გიგაურები, ლომჯარიები და სხვები) წამსვე ატეხდნენ ყაყანს პოლიციის მიერ გამოჩენილ სისასტიკესა და უფლებების გადამეტების თაობაზე, რომლის **“აღსაკვეთად”** ირაკლი ალასანია გამოიყვანდა სამხედრო ქვედანაყოფებს, დარიბაშვილის მთავრობას გადაყენებულად გამოაცხადებდა და თავად დაეუფლებოდა ძალაუფლებას ახალი არჩევნების ჩატარებამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მმართველობას კვლავ ჩაიგდებდნენ ხელში საქართველოს მაოხარი და დამანგრეველი ნაციონალები. (დაწვრილებითი ინფ. იხ. მე-9 გვ-ზე).

მაგრამ ყველაფერი გამჟღავნდა, ალასანია მოხსნეს და დაპატიმრების საფრთხის წინაშე დგას, ნაციონალებმა კი იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს, ჩვეული უტიფრული შემართებით ჩაატარეს მიტინგი, რომლის მთავარი დევიზი **“არა ანექსიას”**, წარმოჩინდა როგორც **“არა ოცნების ხელისუფლებას”**! სწორედ ეს გახლდათ ნაციონალებისათვის ჩვეული მორიგი პოლიტიკური თაღლითობა, რადგან ოცნების ხელისუფდლების წინააღდეგ გამართულ მიტინგზე ისინი ფულითაც ვერ გამოიყვანდნენ ხალხს, რუსეთის საწინააღმდეგო აქციაში მონაწილეობისათვის კი მათ უხვად დააფინანსეს ადამიანები, თუმცა, 8.000 კაცზე მეტს მაინც ვერ მოუყარეს თავი.

ფული დახარჯეს, შედეგი კი ვერ მიიღეს!

არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ მთელი ეს ღონისძიებები ფინანსდებოდა აწგარდაცვლილი ბენდუქიძის ჯიბიდან, რომელსაც ათმაგად ანაზღაურებას პირდებოდნენ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ. ღონისძიება ჩავარდა, კახა ბენდუქიძემ იგრძნო, რომ ათეულ მილიონობით დოლარი წყალში გადაყარა, ინერვიულა და ინფარქტმა იმსხვერპლა კიდეც. თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც – ბენდუქიძე, უბრალოდ, თავიდან მოიცილეს ნაცებმა, რადგან, საკუთარი აქტივების გადასარჩენად, გამორიცხული არ არის, რომ იგი გარკვეულ პოლიტიკურ გარიგებაზე წასულიყო ოცნებისტებთან, რაც სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა სისხლის სამართლის დამნაშავე ნაციონალური მოძრაობისათვის. ამიტომაც მოიშორეს მათ კახა ბენდუქიძე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაციონალი დაშნაკები სისხლზე არიან დაგეშილები (გაიხესენთ ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარაკაციშვილი და სხვები), ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება!

მაგრამ, მოდით კვლავ 15 ნოემბრის აქციას დავუბრუნდეთ. მოხსნეს გუდას პირი გადატრიალების გამჟღავნებით გაწბილებულმა ნაცხროვის წევრებმა და სოფლის ავყია დედაკაცებივით ლანძღეს ივანიშვილი და მისი გუნდი. ამ საქმეში კი ყველას მაინც საქართველოდან მაწანწალა ძაღლივით გაგდებულმა სააკაშვილმა აჯობა, რომელიც უკრაინიდან სკაიპით ჩაერთო აქციაში.

“ჩვენ წინაშეა ორი დაპირისპირებული მოდელის საქართველო – ერთი, რომლისაც გვჯერა ჩვენ და მეორე – რომელიც უნდა ივანიშვილს”,– ამის შესახებ სააკაშვილმა განაცხადა, რომელმაც პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს მიმართა.

სააკაშვილის თქმით, ამ ორ ხედვას შორის დიდი განსხვავებაა. **“არასდროს ყოფილა ჩვენ წინაშე არჩევანი ასე ცხადი. ჩვენ წინაშეა ორი ურთიერთდაპირისპირებული მოდელის საქართველო. ერთი, რომლისაც გვჯერა ჩვენ და მეორე – რომელიც უნდა ივანიშვილს. ამ ორ ხედვას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, რადგან ერთი მხრივ, არის ღირსეული და, მეორე მხრივ, მიჯირყვნილი საქართველო. ერთის მხრივ არის საქართველო, რომელიც მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, მაინც იბრძვის დამოუკიდებლობისთვის და არის მეორე საქართველო, რომელიც ბაბაიას ეძახის დათვს და მორჩილად მოყვება მას ბუნაგში. ერთი მხრივ არის საქართველო, რომელიც მთელი მსოფლიოს გასაგონად საუბრობს ოკუპაციაზე, ჩვენს უფლებებზე, ჩვენს ლტოლვაზე თავისუფლებისკენ და მეორე მხრივ არის საქართველო, რომელსაც არ სჯერა, რომ რუსეთს აქვს დამპყრობლის გეგმები და აგრესიული ზრახვები ჩვენ და სხვა მეზობლების მიმართ. ერთი მხრივ არის საქართველო, რომელიც მიდის ევროპის გზით, რომელსაც სწამს, რომ მხოლოდ ამ გზას მივყავართ თავისუფლებისკენ, როგორც ეს სწამდა სულხან-საბა ორბელიანს, დავით აღმაშენებელს, ილია ჭავჭავაძეს და სხვა საზოგადო მოღვაწეებს და მეორე მხრივ არის საქართველო, რომელიც იმას, თუ რომელი გზით იაროს უთავმოყვარეოდ უთანხმებს კარასინს, კრემლის შიკრიკს”**,– განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის თქმით, ჩვენ საკმარისად ვნახეთ განვლილ ორ წელიწადში განსხვავება საქართველოს ამ ორ მოდელს შორის.

და ამას ამბობს ის სააკაშვილი, რომელიც მეთოდურად ახორციელებდა დასავლეთ საქართველოში სომხების მომრავლების დაშნაკურ გეგმასაც. საამისოდ მან დააანონსა ანაკლიის მახლობლად ნახევარმილიონიანი ქალაქის **“ლაზიკის”** მშენებლობა, რომლის მერადაც უკვე დანიშნული ჰყავდა პირწავარდნილი **“რიჟასომეხი”** ზურაბ ჯაფარიძე. ეს ქალაქი უნდა შევსებულიყო სირიის ქალაქ ალეპოდან დეპორტირებული სომხებით, რა პროცესს რუსებიც შეუწყობდნენ ხელს. სწორედ ამ ვერაგული გეგმის მოსამზადებლად გაავლო სააკაშვილმა სახელმწიფო საზღვარი მდინარე ენგურზე, როცა განაცხადა, რომ არაფრად გვჭირდება აფხაზეთის კურორტები, რადგან გაგვაჩნია შესანიშნავი კურორტი სვანეთში, სადაც მუდმივთოვლიანი ზონები არსებობენო. ძირძველი ქართული ტერიტორიების (აფხაზეთი და სამაჩაბლო) გასასხვისებლად სააკაშვილმა და მისმა ბანდამ პროვოკაციული ომი წამოიწყო რუსების წინააღმდეგ, მანამდე კი სამაჩაბლო კვლავ ძველი სახელი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) დაუბრუნა, შეუქმნა მთავრობა სანაკოევის ხელმძღვანელობით და სეპარატისტებს დამატებით ჩააბარა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი და ამ ტერიტორიების სამუდამო ანექსიის იურიდიული საფუძველი უბოძა მათ! ასევე, წინასწარ გაუმზადა **“სასაჩუქრედ”** სააკაშვილმა სეპარატისტებს ისტორიულად **“კოდორის ხეობად”** ცნობილი საკმაოდ მსხვილი რეგიონი (ემზარ კვიციანი წლების განმავლობაში რომ იკავდა 200 კაცით), რომელსაც სახელი გამოუცვალა და უწოდა **“ზემო აფხაზეთი”**, ხოლო, თავისი ვერაგული გეგმის განსახორციელებლად, ჯერ განაიარაღა ემზარ კვიციანის რაზმი და ხეობა თოფის გაუსროლელად ჩააბარა მოწინააღმდეგეს. და ყოველივე ეს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა საქართველოს პარლამენტის გვერდის ავლით, რაც თავისთავად მიუთითებს ამ დაშნაკის მიერ ვერაგული გეგმის განხორციელებაზე!

სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ზოგიერთ ტვინნაღრძობ ქართველს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია დაშნაკების ამ გეგმის სივერაგე და თავისი სიჩუმით ქვეცნობიერად უწყობს ხელს საქართველოს დამაქცევარი გეგმის განხორციელებას!

ყოველივე ამის ფონზე სავსებით ლოგიკურად გამოიყურება ამერიკელი სომეხი მილიარდერის კერკ კირკორიანის მიერ დაგეშილ-მოქრთამული ჩინოვნიკების გულისწყრომა სისხლის სამართლის დამნაშავე ნაციონალების დაპატიმრებაზე. მაგრამ რატომღაც ვერ ვიხსენებ ამერიკელთა გულისწყრომას სააკაშვილისა და ნაციონალების ზონდერთა თარეშზე, რომლებიც ისინი უდანაშაულო ახალგაზრდებს ხოცავდნენ ქუჩებში, დაუნდობლად არბევდნენ მშვიდობიან დემონსტრაციებს, იერიშით იღებდნენ ტელეარხ **“იმედს”**, ხელკეტებითა და ცოცხებით აუპატიურებდნენ პატიმრებს და როცა გირგვლიანის მკვლელებს იდეალურ პირობებს უქმნიდნენ საპატიმროში!

ვერ ისვენებს ეს არაკაცი, სანამ ხელბორკილებით არ ჩამოათრევენ საქართველოში და ვირის აბანოში არ გაამწესებენ სამუდამოდ!

რაც შეეხება აწგარდაცვლილ კახა ბენდუქიძეს, ქართველები ამბობენ: **“მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო”**.

კახა ბენდუქიძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სოციალურ ქსელში უამრავმა ცნობილმა თუ რიგითმა ადამიანმა გამოაქვეყნა პოსტი. ცხადია, მათი უმრავლესობა თანაგრძნობასა და მწუხარებას გამოთქვამდა, თუმცა იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ბიზნესმენის გარდაცვალებას თანამოაზრეებს ულოცავდნენ და გარდაცვლილის მიმართ სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდნენ, ზოგი კი ტრაგიკულ ფაქტს ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა **“ლუსტრაციისთვის”** იყენებდა.

რაც შეეხება კახა ბენდუქიძის ქონებრივ დეკლარაციას, ბოლოს იგი 2008 წელსაა შევსებული, შესაბამისად, მასალაში მოყვანილი მონაცემები 2008 წლისთვის არსებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

კახა ბენდუქიძეს ჰქონდა 5 სხვადასხვა ტიპის უძრავი ქონება, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში.

ბენდუქიძე ორ მიწის ნაკვეთს ფლობდა გრიგოლეთში, რომლის ღირებულებაც 2.515 000 დოლარს შეადგენს. დეკლარაციის მიხედვით, მის საკუთრებაში შედიოდა მიწის ნაკვეთი შეკვეთილშიც, რომლის ღირებულებაც 962.500 დოლარია.

რაც შეეხება მის ქონებას რუსეთში, ბენდუქიძეს მოსკოვში, გარიბალდის ქუჩაზე ორი სახლი ჰქონდა და მათი ღირებულება 810 000 დოლარს შეადგენს.

აქვეა ბენდუქიძის საბანკო ანგარიშებიც: 2008 წლის დეკლარაციის მონაცემებით, მას როგორც რუსულ, ასევე ქართულ ბანკებში ერიცხებოდა თანხა საკუთარ ანგარიშზე. რამდენიმე ანგარიში ჰქონდა გახსნილი **“თი-ბი-სი ბანკში”**, 85 დოლარი, 7791 ლარი და 19191 ევრო. Fortis bank,Nederlandsche Bank- ში დეპოზიტზე 2 500 000 დოლარი ჰქონდა. 806720 მოქნილი ანაბარი ევროში და 144 438 დოლარი მიმდინარე ანგარიშზე. მოსკოვის სამრეწველო სავაჭრო ბანკში 5 571 რუბლი მიმდინარე ანგარიშზე, 3 361 დოლარი მოთხოვნამდე ანაბარზე, ასევე ამავე ანაბარზე ჰქონდა 165 ევრო. საბარათე ანგარიშზე კი ჰქონდა 18423 დოლარი. 307 576 დოლარი და 371474 ევრო HSBH–ში.

რაც შეეხება მის მონაწილეობას საწარმო საქმიანობაში, ყოფილ მინისტრს მითითებული ჰქონდა, რომ ის იყო ჰოლდინგური კომპანია **“სამრეწველო ინვესტიციების”** აქციონერი, რომელიც კვიპროსზეა დარეგისტრირებული 2004 წელს. შპს **“ძირითადი ინვესტიციების”** პარტნიორი, დახურული სააქციო საზოგადოება **“არაპროფილური აქტივები ინვესტიციები სმი-ში”** და დახურული სააქციო საზოგადოება **“სამრეწველო პროექტების”** აქციონერი. აღსანიშნავია, რომ ესენი რუსული კომპანიებია.

2005 წელს კახა ბენდუქიძეს ქირავნობის ხელშეკრულებით გადაეცა დიღმის საცდელი მეურნეობის ტერიტორია, რომლის თანხაც 366 000 ლარს შეადგენდა.

ყოფილ მინისტრს დეკლარაციაში არ ჰქონდა მითითებული, მაგრამ მისი საკუთრებაა პრესტიჟული და ძვირადღირებული სასწავლებელი **“თავისუფალი უნივერსიტეტი”**, ასევე ვაკის საცურაო აუზი, რომელსაც **“ბენდუქიძის აუზს”** უწოდებენ. ამბობენ, რომ კახა ბენდუქიძეს საკუთარი ინტერესები ჰქონდა ტელეკომპანია **“ტაბულაშიც”**, რომლის ხელმძღვანელიც გიგა ბოკერიას ცოლი – თამარ ჩერგოლეიშვილია.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყნის გავლენიან ბიზნესგამოცემებში არ ფიგურირებს კახა ბენდუქიძე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დაბადებული 58 წლის ბიზნესმენისა და სახელმწიფო მოხელის ქონებად ლამის უკვე 1-1,5 მილიარდ დოლარს ასახელებენ სხვადასხვა წყაროები საქართველოში, დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ 2003 წელს, რუსეთიდან საქართველოში გადმოსვლის წინ, ბენდუქიძის პირად ქონებას რუსი სპეციალისტები 64 მილიონ დოლარად აფასებდნენ.

ასე რომ, კარგს ვერაფერს ვიტყვით იმ ადამიანზე, რომელმაც გაძვალტყავებულ საქართველოში ნაციონალების ხელდასხმით ასეულ მილიონობით დოლარი იშოვნა და დიდად არ აწუხებდა გადატაკებული მოსახლეობის ბედი.

ამიტომ, არაფერს ვიტყვი კახა ბენდუქიძეზე. გაცნობებთ მხოლოდ იმას, რომ ფართო საზოგადოების აზრით კახა ბენდუქიძის გარდაცვალება ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სიკვდილის უვერტიურა გახლავთ.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ,
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ

საკვირო საკითხავი

ვიოლინო

– დილა მშვიდობისა, ჩემო სოსო!

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, ერასტო ბიძია!

ასეთი მისალმებით ვიწყებ ყოველდილით **„მუშაობას“** ერასტო ბიძიასთან ერთად. მისგან დაქირავებული მაქვს მიწის პატარა ნაკვეთი, სადაც დგას ჩემი კომერციული ჯიხური **„შამადელი“**. ერასტო ბიძია უკვე იმდენად მოხუცებულია, რომ რაიმე საქმის დატრიალება აღარ შეუძლია. ჩემგან და კიდევ რამდენიმე მდგმურისაგან აღებული ქირა საკმაოდ უზრუნველყოფილად აცხოვრებს, გაცილებით უკეთ, ვიდრე საშუალო საწარმოს დირექტორი ცხოვრობდ თავისი ხელფასითა თუ მარცხენა შემოსავლით.

ერასტო ბიძია ათი წლის უკან გავიცანი ზონაში ყოფნისას. ერთი წელი გავატარეთ ერთად. ის აფერისტობისთვის იჯდა, თუმცა თვითონ იმ საქმეს აფერისტობად არ თვლიდა.

ერთ ზაფხულს სოხუმში ჩავიდა ნათესავებთან. იფიქრა, ერთი კვირით მზეს მივაფიცხებ ამ ჩემს დაბერებულ ძვალ-რბილსო. ამ დროს მისი ახლობლები, რომლებთანაც ჩავიდა, ბორჯომში მიემგზავრებოდნენ დასასვენებლად და ფრიად გაუხარდათ ერასტოს მისვლა.

– ერასტო, არ დაგვიწყო ახლა შენებურად, – უთხრა ოჯახის უფროსმა, – სასტუმროში კოტრიალს სხვაგანაც მოახერხებ. იყავი აქ შენთვის, შენც დაისვენებ და ოჯახსაც მიმიხედავ. ჩვენ ორ კვირაში ჩამოვალთ და, ალბათ, არც შენ წახვალ მანამდე.

ერასტომ თავპატიჟი დაიდო: ჯერ ერთიო, ერთი კვირით ვარ ჩამოსული და, მეორეც, რამე რომ დაიკარგოს, ხომ უნდა მოვიკლა თავი?!

მართლაც ბევრი იშალა, მაგრამ არ დააშლევინეს, ბოლოს დათანხმდა.

საღამოს მატარებელზე გააცილა მთელი ოჯახი და უკან ტაქსით მობრუნდა. ტაქსისტისთვის ფული რომ უნდა გადაეხადა, შეამჩნია საფულე დაკარგვოდა. მიხვდა: მატარებელში ბარგის ატანის დროს კარებში რომ გაიჩხირა, მაშინდელი ნამოქმედარი იყო, მაგრამ ვერცერთი ბიჭის სახე ვერ აღიდგინა. დარჩა ჩვენი ერასტო უფულოდ, თითქმის, უცხო ქალაქში. მთელი ღამე თეთრად გაათენა, აღარ იცოდა რა ექნა და რა ეღონა.

დილით გავიდა სადგურში, ხეზე განცხადება გააკრა: **„იყიდება სახლ-კარი, ხევის ქუჩა № 59-ში.“**

მთელი დღე სახლიდან არ გასულა. მუშტარს ელოდა.

საღამოხანს ჭიშკარს მსუბუქი ავტომანქანა მოადგა, საიდანაც ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა და ორმოციოდე წლის მამაკაცი გადმოვიდა.

როგორც თავად ამბობს, ერასტო მაშინვე მიხვდა, რომ ოჯახმიტოვებული კაცი და სიყვარულით დაბრმავებული გოგონა იყვნენ მისული. სადღაც გულის კუნჭულში ესიამოვნა კიდეც ასეთი მუშტრის სტუმრობა.

ერასტომ მათ აუხსნა, რომ თვითონ თბილისში ცხოვრობს და ეს სახლ-კარი საგარაკოდ ჰქონდა, მაგრამ ახლა, სიბერეში გაუჭირდა მისი მოვლა, თან ფული დასჭირდა, რისთვისაც იძულებულია გაყიდოს საკუთარი ხელით ნაშენებ-ნანოლიავები ადგილი.

მათ ბევრი არ უვაჭრიათ. ერასტომ 60 ათასად დააფასა და 50 ათასად მორიგდნენ, ოღონდ იმ წლის მოსავალი ერასტოს უნდა მოეწია. თან უთხრა, რომ ის ორ დღეში მოსკოვს მიემგზავრებოდა და ორ კვირაში დაბრუნდებოდა. სასურველი იყო, თუ მყიდველებიც მოისურვებდნენ, ამ ორ დღეში გადმოსულიყვნენ, თუ არადა მას ფასის ნახევარი მაინც უნდა მიეღო, რომ სხვა მუშტარი არ ეძებნა.

კაცი მზად იყო მაშინვე გადაეხადა თანხა და ერთ თვეში გადმოსულიყონ საცხოვრებლად.

ერასტომ მხოლოდ 30 ათასი გამოართვა. დანარჩენი, რომ გადმოხვალთ საცხოვრებლად, მაშინ მომეცითო.

მეორე დღესვე ჩაჯდა თვითმფრინავში და მოსკოვს ეწვია. ერთი მეგობარი ჰყავდა, აქსანა, რომელიც ავეჯის მაღაზიაში მუშაობდა. მის სანახავად გაეშურა. აქსანას ძალიან გაუხარდა ერასტოს დანახვა.

– ახლავე ვკეტავ სალაროს და მოვდივარ, სადმე გავიაროთ და მერე ჩემთან წავიდეთ. რა ხანია მენატრები. – უჩურჩულა მან.

ერასტომ შეაჩერა.

– ერთ საათში ისედაც მორჩები, – უთხრა ერასტომ. – მე კი მანამ ავეჯს შევათვალიერებ, თანაც დაგელოდები.

სალაროს დაშორდა თუ არა, ყური მოკრა ორი ქართველი მანდილოსნის საუბარს.

– ქეთი, როგორ მინდა ის **„ჟილაია“,** მაგრამ სამი ათასი მაკლდება და... ხომ არ დაგრჩა, რომ დამიმატო? თბილისში ჩასვლისთანავე დაგიბრუნებ.

– არა გო, მაგდენი არ მაქვს. ათასი შემიძლია მოგცე... თუ დანარჩენს სადმე ვიშოვით.

– რა იყო, ქალბატონებო, ფული არ გყოფნით? – მათ საუბარში ჩაერია ერასტო. – დაგიმატებთ! რამდენი გნებავთ?

– უი, არა, როგორ გეკადრებათ,! უცხო კაცს ფული როგორ გამოგართვათ? ვიშოვით ჩვენ სადმე. – უხერხულობისგან სახე აელეწა ავეჯის მსურველს.

– რა მოხდა, ქალბატონო? ქართველებმა თუ არ გავუმართეთ ხელი ერთმანეთს, სხვა ვინ მოგვხედავს? – ამოიღო ერასტომ ორი ათასი და მიაწოდა. – აიღეთ ეს ფული და მომეცით თქვენი მისამართი. რომ ჩამოვალ თბილისში, მოგაკითხავთ და დამიბრუნებთ.

– ვაიმე, ბატონო, როგორ დამავალებთ... ვინ ხართ ასეთი ღვთისნიერი. – ამბობდა ქალბატონი, თანა ქაღალდის ფურცელზე მისამართ უწერდა ერასტოს.

– მე აქ ვმუშაობ, ქალბატონო, ამ მაღაზიის დირექტორი ვარ... ვცდილობ, რითიც შემიძლია, დავეხმარო აქ ჩამოსულ ქართველებს... აქსანა! – გასძახა მოლარს. – მიხედე ამ ქალბატონებს, ჩემი ახლობლები არიან!

აქსანა ლამის გადაყვა ერასტოს **„ახლობლებს“.** მოწონებული ავეჯი, აქსანას მითითებით, მუშებმა საგულდაგულოდ შეფუთეს, მისამართი დააწერეს და თბილისში გასაგზავნად ვაგზლისკენ წაიღეს.

იმავე საღამოს ერასტო და აქსანა დაგომისში გაფრინდნენ დასასვენებლად.

ათი დღის შემდეგ ჩამოვიდა ერასტო თბილისში. დაურეკა ავეჯის მყიდველ ქალბატონს. მანანამ სახლში მიიპატიჟა კეთილისმყოფელი. მან კი თავპატიჟი დაიდო: დღეს ვერ მოვიცლი და ხვალ საღამოს მოგაკითხავთო.

მეორე დღეს დახვდნენ სამეფოდ გაშლილი პურმარილით და ერასტოს საპატივცემულოდ მოწვეული სტუმრებით. გაჩაღდა ქეიფი. ერასტოს სიკეთის მთესველობას ბარე თხუთმეტჯერ დაუსვეს ბეჭედი.

უკვე შეზარხოშებულ-შექეიფიანებულებმა ერასტოს გაუბედეს, რომ ავეჯის შეძენის მსურველნი ბევრნი იყვნენ სუფრაზე და, საერთოდ, ახლობლებში თუ მეზობლებში.

–ბატონო ერასტო! – თითქოს გაუბედავად, მაგრამ იმედიანად წამოიწყო თამადამ. – შენი სიკეთის ამბავი რომ მომიყვნენ, სიმართლე გითხრათ, ჯერ არ დავიჯერე. ვინ მოგცემს დღეს უცხოსა და უცნობს...

– უცხო რად ვიყავი, შე კაცო? ქართველები ვართ, რამ გაგვაუცხოვა?

– მაგრამ უცნობი ხომ იყავით, ჩემო ბატონო?.. და, იმას ვამბობდი, ვინ მოგცემს დღეს უცნობს კი არა და ნაცნობსაც ამდენ ფულს? ორი ათასს კი არა ორ შაურსაც არ გაიმეტებენ.

– ორ შაურს კი არა ორ კაპიკსაც. – ჩაურთო სიტყვა თამადის გვერდით მჯდომმა.

– რა თქმა უნდა, – გაგრძელა თამადამ. – ჰოდა, ჩემო ბატონო, ბატონო ერასტო, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს კაცი, ვიღაცაა, ნამდვილად დიდი ღვთისნიერი კაცი იქნება-თქო და ვნატრულობდი იმ დღეს, როცა შევხვდებოდით, გავიცნობდით ერთმანეთს და დავმეგობრდებოდით... აი, ეს დღეც დადგა... მე სმა-ჭამა და ქეიფი იმიტომ მიყვარს, რომ კაცს სუფრასთან თუ გაიცნობ, ჭიქა ღვინოს დალევ მასთან ერთად, ის კაცი უღალატოა და შეგიძლია დაიმედებულად ენდო მას ყოველგვარ საქმეში... ახლა აქ, სანამ თქვენ მობრძანდებოდით, ბატონო ერასტო, ამ ჩემმა ახლობლებმა და საყვარელმა ხალხმა, უკლებლივ ყველამ, ცალ-ცალკე გამიხმო განზე და მითხრა, ვის რა ავეჯი სურდა და მთხოვეს თქვენთან მეშუამდგომლა.

– რა თხოვნა უნდა, შე კაცო! მითხარით ვის რა უნდა და, როცა მექნება, გამოგიგზავნით.

– ჰოდა, ჩემო ბატონო, მეც ეგ ვუთხარი... იქნება მეც ქე მინდოდა რამე, მაგრამ სხვისთვის დათმობა ვამჯობინე. ავდექი მერე და, ვინც რა მითხრა, უბის წიგნაკში ჩავიწერე.

– ძალიან კარგადაც გიქნიათ, – უთხრა ერასტომ. – ახლა მომეცით ეგ უბის წიგნაკი, მე მაგას გადავწერ...

– როგორ გეკადრებათ!.. ჩვენ თვითონ გადავწერთ და მოგართმევთ.

– მაშინ, მე მანდ ფასებს მივაწერ, რა რამდენი დაგიჯდებათ და თქვენ ჩამომიწერეთ ვის რა და სად გამოვუგზავნო.

ნახევარ საათში ერასტოს ოთხად გაკეცილი, ერთ გვერდზე ჩამოწერილი ათი კაცის სია, ათასრვაასი ორმოცდაათიანი და ათასხუთასი ასიანი კუპიურები ედო ჯიბეში.

ბევრი ამგვარი საქმეები აქვს ჩადენილი ერასტო ბიძიას, მაგრამ ბინის გაყიდვამ გაყიდა და სამი წელიწადი ახეხინეს (აქედან ერთი ჩემთან ერთად) ვირის აბანო.

ამჯერად ვართ მე და ჩემი ერასტო ბიძია ჩემს მაღაზიაში და ვყვებით ამ და მის მსგავს ამბებს. იმ დღესაც ბევრი რამ მოვიგონეთ და ბევრ რამეზე ვიცინეთ.

– ასე იყო ეს ამბავი... – დაასრულა ერასტო ბიძიამ მოყოლა, რომ მაღაზიაში ახალგაზრდა, მაღალი, სათვალიანი ბიჭი შემოვიდა. ხელში ვიოლინო ეკავა. დახლზე განლაგებული საქონელი შეათვალიერა და ყურადღება ერთ ფეხსაცმელზე შეაჩერა.

– რა ღირს ეს ტუფლი? – მომმართა მან.

– სამასი.

– ორმოცდაორი ზომა გააქვთ? – მან კარგა ხანს ათვალიერა და მერე მითხრა მუდარით.

– ეგ სწორედ ორმოცდაორია.

– იცით რა? თან ასზე მეტი არა მაქვს. ამ ასს დაგიტოვებთ, ცალს წავიღებ, მეუღლეს მინდა ვანახო, თუ მომიწონებს, ორასსაც მოვიტან და მეორესაც წავიღებ.

ეს წინადადება ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ უცებ ვერ მოვიფიქრე და პასუხი დამიგვიანდა.

– თუ არ მენდობით, შემიძლია, კიდევ აი, ეს ვიოლინო დავტოვო. – მითხრა მან ისე გულწრფელად, რომ უარის თქმას, ალბათ, ყველაზე გულქვა ადამიანიც ვერ შეძლებდა.

ასიანი და ვიოლინო ერთად გადმომაწოდა და ცალი ფეხსაცმლით გაეშურა სახლისკენ.

ფული უჯრაში ჩავაგდე, ვიოლინო კი იქვე კედელზე მივაყუდე.

– ერასტო ბიძია, ამ ცხენს თუ მოგაცილებ, პარტია ჩემია. – განვაგრძეთ დაწყებული საჭადრაკო პარტიის თამაში.

ათიოდ წუთში ჩემი მაღაზიის წინ ახალთახალი **„მერსედესის“** მარკის ავტომანქანა გაჩერდა. უცხოურ სმოკინგში კოხტად გამოწყობილი, უცხოური შესახედაობის ვაჟი და ახალგაზრდა, თბილისურად ჩაცმული გოგონა გადმოვიდა.

ისინი მაღაზიაში შემოვიდნენ, ვაჟი ინგლისურად მოგვესალმა. გოგონამ გვითარგმა. ჭადრაკის თამაშს თავი ვანებეთ, სტუმარს ფეხის წვერებზე დავუდექი. საპატიო პიროვნება ჩანდა და მისი სტუმრობა ჩემს მაღაზიას პრესტიჟს შემატებდა. უცხოტომელმა შეათვალიერა ჩემი არც ისე ღარიბი დახლი. ხან რა გადმომაღებინა, ხან – რა. მაგრამ ყველაფერი უკან დამიბრუნა. ბოლოს ყურადღება ვიოლინოზე შეაჩერა. თარჯიმნის მეშვეობით ავუხსენი, რომ სხვისი იყო და არ იყიდებოდა.

– არა უშავს, ისე შეხედავს. – დამამუნათა გოგონამ.

ამაზე უარს როგორ ვეტყოდი. გადმოვიღე და მივაწოდე.

მან ყუთი გახსნა, ვიოლინო ამოიღო. კარგა ხანს ათვალიერა, მერე ხემი მოიმარჯვა, სასიამოვნოდ ააჟღერა, ცოტა ხანს უკრავდა, ისევ ჩადო ყუთში და რაღაც მითხრა.

– მაინც, რომ გაყიდოთ, რამდენს ითხოვთ? – მითარგმანა თარჯიმანმა.

– ვერ გავყიდი. სხვამ დატოვა და უნდა წაიღოს.

– მისტერ ბრაუნი ამბობს, რომ ეს ანტიკვარული ვიოლინოა და თუ მისი პატრონი დათმობს, ასი ათას გადაიხდის.

– მაშინ, სადაცაა მისი პატრონის მოვა და თუ დაგითმობთ, მოელაპარაკეთ. – ვუთხარი და ლამის ენაზე ვიკბინე, უცებ სხვა აზრმა გამიელვა.

– იცით, მას არ ცალია და აგერ სავიზიტო ბარათს გიტოვებს. – გოგონამ ბრაუნის ბარათი მომაწოდა. – სასტუმრო **„მეტეხში“** ცხოვრობს. თუ ამ ვიოლინოს პატრონი დათანხმდა, დაურეკეთ ან თუ საშუალება გექნებათ, ინახულეთ... ამ ვიოლინოში ის ას ათასს იძლევა. – თითქოს ნაფიქრალს მიმიხვდნენ, ყველაფერი კარგად აეწყო.

– დიდი სიამოვნებით! – ვუთხარი და ფრიად კმაყოფილი დავრჩი, რომ ბატონ ბრაუნს არ ეცალა.

ისინი წავიდნენ და ხელში ბრაუნის სავიზიტო ბარათი შემრჩა, რომელზეც ერთ მხარეს ინგლისურად, მეორეზე – ქართულად ეწერა:

„როლანდ ბრაუნი
ამერიკის საელჩოს თანამშრომელი,
სასტუმრო „მეტეხი“, ოთახი 666,
ტელ. 2 746 666“

ათასმა ფიქრმა დამრია ხელი. ერასტო ბიძიაც მიმიხვდა ნაფიქრალს. მან ფუტლარი გახსნა, ვიოლინო ხელში აიღო, აატრიალ-ამოატრიალა და დაფიქრებულმა, მრავალმნიშვნელოვნად და ყოვლისმცოდნე ტონით მითხრა:

– ეტყობა ეს სტრადივარიუსის ვიოლინოა და პატრონმა არც იცის, თორემ აქ მას არ დატოვებდა.

– მეც ასე მგონია და ამიტომაც უნდა გავისარჯო.

– იქნებ ის კაცი ასორმოცდაათად ყიდის ამას? – მითხრა მან.

– მაშინ ბედი არ გვქონია... რა ვიცი, ჩვენ ჩვენი ვცადოთ.

მალე ვიოლინოს პატრონიც მოვიდა.

– დიდი მადლობა!.. მეორეც მომეცით. – მითხრა მან და ორი ასიანი გამომიწოდა.

მეორე ცალი ფეხსაცმელი მივაწოდე. მან ვიოლინოსკენაც გამოიწოდა ხელი.

– იცით რა, თუ ძმა ხარ, ამ ვიოლინოს არ გაყიდით? – ვკითხე, თითქოს ვიოლინოს დიდი მოყვარული ვყოფილვიყავი.

– არა, არ ვყიდი... რატომ უნდა გავყიდო?

– იცით, ჩემი პატარა ძმა დადის სამეცადინოდ და ჩხუბში გაუტყდა... არადა, ვერსად ვიშოვე, ზუსტად ასეთი იყო.

– ვერა ვერ გავყიდი.

– იქნებ გაყიდო, ჰა? ოც ათასს მოგცემ! – ვუთხარი და თან დავფიქრდი, ნეტავ რა ღირს, იქნებ ძალიან ბევრს ვაძლევ?

– არა, არა, არ გავყიდი!.. მე თავად მჭირდება.

– მაინც, რომ გაყიდო, რამდენს დააფასებ?

– ალბათ, ორმოც ათასს.

– კარგი, ცოტა დააკელი, ოცდათათასს მოგცემ. – შევევაჭრე უკვე ვაჭრობაში გამოცდილმა.

– ჰო, კარგი, რახან აეგრე ძალიან გინდათ, დაგითმობთ. – თქვა მან დანანებით და თვალი ვიოლინოსკენ გაექცა.

იმ წუთას გავხსენი სეიფი, გადმოვიღე ბინის ასაშენებლად ნაგროვები ფული. იმდღევანდელი ნავაჭრიც დავამატე. ხუთი ათასიც ერასტო ბიძიას ვესესხე და ოცდაათი ათასი ჩავუთვალე ვიოლინოს პატრონს, თან დიდი მადლობა გადავუხადე.

– წავედით, აბა, ერასტო ბიძია! ვნახოთ ის პიჟონი უცხოტომელი. – მივმართე ერასტო ბიძიას, როგორც კი თვალს მიეფარა ვიოლინოს მფლობელყოფილი. სასწრაფოდ დავკეტეთ მაღაზია და მანქანაში ჩავსხედით, ვიოლინო სალონის უკანა სავარძლებზე ციმციმ დავავანეთ და მის ახალ პატრონთან გავეჩქარეთ სასტუმრო **„მეტეხისკენ“.**

„მეტეხში“, **“პალასსაც”** რომ ეძახიან, ათასი გვარისა და ჯილაგის ადამიანი ცხოვრობდა, გარდა ბრაუნისა. ამერიკის საელჩო კი ათონელზე ყოფილა, როგორც იქ მიმასწავლეს, მაგრამ არც საელჩოში გაეგოთ ამგვარი სახელისა და გვარის კაცის არსებობა.

– შეგვრჩა, ერასტო ბიძია, სტრადივარიუსის ვიოლინო. – სიმწრისგან ვიხუმრე.

– ეს ნაღდად არაა სტრადივარიუსის, მაგრამ ჩვენ კი გამოვდექით **„სტარივირიუსები“.** – აღშფოთებით ჩაილაპარაკა ერასტომ და მივხვდი, რომ ყველა თავისი ჩადენილი აფერისტობა და ცოდვები ერთიანად მოინანია საკუთარი თავისა და უფლის წინაშე.

ზურაბ ქობალია

“მიფიქრია სიკვდილზე... მე იმდენი ჩემიანი მყავს იქით, სულ არ მეშინია...” – *გურამ ფირცხალავა წავიდა*

ყველას მხიარული და უდარდელი ეგონა, სინამდვილეში დიდხანს და უსაზღვროდ იცოდა დარდი.

სამგლოვიარო განცხადებასა და ფოტოს დავხედე. რაღაც ძალიან დიდი შეუსაბამობა იყო მათ შორის. თითქოს ფოტოზე ასახული არტისტი სიცოცხლეს ასხივებდა, მისი ომახიანი ხმა და გამორჩეული იუმორიც კი თითქოს ფოტოზეც აისახებოდა და როგორ არ უხდებოდა ამ ყველაფერს წარწერა: გარდაიცვალა...

გურამ ფირცხალავას ნიჭსა და განსახიერებულ როლებზე ამჯერად არაფერს ვიტყვი – მთელმა საქართველომ იცის. მინდა, როგორც მოყვასზე ვისაუბრო... რა დროც უნდა ყოფილიყო და როგორ დუხჭირადაც უნდა ეცხოვრა იმ პერიოდში, კარს გაგიღებდა და ომახიანად შესძახებდა: მობრძანდით, ბატონო! მერე სუფრას აუცილებლად გაშლიდა, თუნდაც მწირს, აუცილებლად ჭიქასაც ასწევდა. ხშირად მიფიქრია, რომ თავისი სათაყვანებელი ფოთი არსებაში ჰქონდა გამჯდარი და იქაური სტუმარმასპინძლობა, ბებია-ბაბუასთან ნანახი და ნაგრძნობი კოლხური გულგაშლილობა და ხელგაშლილობა საგზლად მოჰყვებოდა...

ის მართლა ყველას უყვარდა. მარტო იმიტომ კი არა, ნიჭიერი და მომხიბვლელი რომ იყო, სიალალისა და კეთილი გულის გამოც. ვერავინ იტყოდა, მაწყენინაო. ყველას მხიარული და უდარდელი ეგონა – არავის აწუხებდა თავისი საწუხარით. სინამდვილეში დიდხანს და უსაზღვროდ იცოდა დარდი.

როცა გურამ ფირცხალავა რამეს მიამბობდა, ჩვეული რიხით ჰყვებოდა: **“ერთხელ დოდო აბაშიძე, სესილია თაყაიშვილი და რეზო ესაძე ჰყვებოდნენ, ვის რა ასაკიდან ახსოვდა თავი. დოდომ თქვა: კი ბატონო, ტოლსტოისაც ახსოვდა, მაგრამ მეც მახსოვს აკვანში ჩემი თავიო. ქალბატონმა სესილიამ თქვა, მე აკვნიდან არა, მაგრამ ძალიან პატარაობიდან მახსოვს ჩემი ცხოვრებაო. რეზო ესაძემ – დედის მუცლიდან მახსოვს ყველაფერიო... მე ჭაობები მახსოვს ფოთში ჩვენი და ჩვენი მეზობლების სახლების ირგვლივ. იყო მაგარი ქარი... მერე ქარსაფრებად ხეები დარგეს. ახლა ის ხეებიც მოჭრეს, შეშა არ აქვს ხალხს და იმიტომ. მოხუცი ქალები მთხოვდნენ, წურბელა დამიჭირე, ნენაო. მეც სიხარულით ვუჭერდი. ამიტომაც ყველას ბებიას ვუყვარდი”.**

მისი ნაამბობი საბჭოთა ჯარში მსახურობის პერიოდზე, შეიძლება ითქვას, ქართული იუმორის კლასიკად იქცა: **“ჯარში წასვლა ბევრს არ უნდოდა, მე კი მინდოდა. დედას ვეუბნებოდი, ჯარში აუცილებლად წავალ და არც გამაცილოთ-მეთქი. გაცილების დროს ტირილი იციან და მაგის ატანა არ შემეძლო. შეიძლებოდა, მეც წამცდენოდა ცრემლი. მარტო ჩემი და მოვიდა სადგურში. ჩემ წინ არ იტირებდა, მაგარი გოგო იყო...**

მურმანსკში მოვხვდი... ბევრმა ბიჭმა ვერ აიტანა იქაური კლიმატი, სიცივისაგან ტიროდნენ. ვამშვიდებდი ბიჭებს, რა იყო, მაცივარში არ შეგიყვიათ ხელი-მეთქი?

პირველად რომ პოსტზე დავდექი, მომცეს ავტომატი... იქ ხომ ასეა: დაღამდება და სულ ღამეა. გათენდება და სულ დღეა. ბნელა. ვიყურები აქეთ-იქით, “შპიონი” არ მოვიდეს საიდანმე. უცებ მთელი ქვეყანა განათდა. მერე ცოტა მიილია სინათლე და ისევ განათდა. ვიფიქრე: ან ააფეთქეს რაღაც და ახლა ხმას გავიგებ, ან სხვა უბედურებაა-მეთქი. ვიყურები დაძაბული და ვხედავ, მოედო ცას ცეცხლი. ვეცი ტელეფონს და ვყვირი:

– ტავარიშჩ ნაჩალნიკ კარაულა, დაკლადივაეტ პირცხალავა, ტაკოი-ტა პოსტ!

– ნუ ჩტო უ ტებია ტამ?

– ნებო გარიტ, ტავარიშჩ სერჟანტ!

– კაკ გარიტ?

– სილნო გარიტ! ჩტო დელატ?

– პატუში! – ასე არ მითხრა იმ ოხერმა? ვიფიქრე, არ სჯერა და მაშაყირებს-მეთქი.

– კლიანუს მამოი! - ვეუბნები.

– ტი ბროს! პატუში!

– კაკ?

– პადუი.

მერე მითხრა, – სკოლაში არ გივლიაო?.. თავში დამარტყა! – შავ-თეთრი წიგნი გამახსენდა, იქ თეთრი ხაზები იყო დახატული და ჩრდილოეთის ნათებააო, – ეწერა. აბა, რას მივამსგავსებდი. მერე შემრცხვა და ვიცრუე, ვიხუმრე-მეთქი...

ეს ამბავი თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებისას მოვყევი. ისე იცინეს, პროზის გამოკითხვა დაავიწყდათ”.

სხვათა შორის, მამამისიც ზუსტად 74 წლისა გარდაიცვალა. ამ ამბავს სულ სხვანაირად ჰყვებოდა: ცოტა უფრო ჩუმად და თვალებწყლიანი: **“დედა რომ მოუკვდებათ, ბიჭები მერე სხვანაირად იწყებენ ფიქრს. ახლა ხშირად ვფიქრობ დედაზე და ვწუხვარ, ისე არ ვეფერებოდი ბიჭობაში, როგორც ეკუთვნოდა. მოხუცს კი ვიკრავდი გულში... ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვჩერდებოდი და სულ გავრბოდი. ახლა ამასაც ვნანობ... უფრო ხშირად ვყოფილიყავი მასთან, რა იქნებოდა!.. მამა გულში ჩახუტებული ჩამაკვდა. 74 წლისას სარკომა გაუჩნდა... გარდაცვალების დღეს უთქვამს: გურამს არ უთხრათ, 9 საათზე მოვკვდებიო. ვერმიშელის წვნიანი მოითხოვა. გამიხარდა, იქნებ გადავრჩით-მეთქი. იმ საღამოს 9 საათზე ხელში ჩამაკვდა... მანამდე მეგობარი მომიკვდა, – ბენო. კინაღამ მოვკვდი, ისე ვიდარდე. მერე ძმა დავკარგე. ღვინო მშველოდა...**

მიფიქრია სიკვდილზე... ცოდვა ის არის, ვისაც ახლობლები არ ჰყავს იქ და თვითონ პირველი კვდება. მე იმდენი ჩემიანი მყავს იქით, სულ არ მეშინია... ეგაა, მეზარება სიკვდილი... ვერ ვიტან, შეცხადება რომ იციან. მინდა ვუთხრა ჩვენებს: “წივილ-კივილი არ დავინახო აქ!” ამბობენ, თუ სიკეთე გაქვს გაკეთებული, ძალიანაც კარგია საიქიოშიო”...

ძნელი წარმოსადგენია, რომ გურამ ფირცხალავა სააქაოს აღარ არის... მისნაირი ადამიანები თითქოს დაუსრულებლად უნდა ცოცხლობდნენ, მხიარულება და სიყვარული შეჰქონდეთ ყველგან...

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა...

ᲚᲔᲚᲐ ᲯᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ – 2014 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ „ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲘᲡ“ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ „ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ“ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲧᲝ!

საქართველოში ბევრს აინტერესებს კითხვა: რით აიხსნება თავდაცვის მინისტრი ალასანიას მოულოდნელი დემარში 4 ნოემბერს, რომელიც იმავე დღეს მისი გადაყენებით დასრულდა? ნუთუ გაეროში საქართველოს ყოფილმა ელჩმა – დიპლომატმა, რომელსაც აქამდე საჯაროდ არასოდეს დაურღვევია პოლიტკორექტულობა – ასეთი კატეგორიული და უსაფუძვლო განცხადება საქართველოს ევროატლანტიკური კურსის დალატის შესახებ პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობის მიერ მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შესყიდვის საქმის გამოძიების გამო გააკეთა, რომელიც კორუფციის ნიშანს ატარებს? თუ პროკურატურის მიერ საკვებად უვარგისი სურსათის შესყიდვის საქმის გამოძიების გამო, რასაც შედეგად 858 ჯარისკაცის ნაწლავური ინფექციებით მასობრივი მოწამვლა მოჰყვა? ნუთუ ალასანია იმდენად სულელია, რომ თავდაცვის მინისტრის სავარძელი თავისი მკვდარი პარტიის პოსტზე გაცვალა, რომლის ყრილობაც სპეციალურად 8 ნოემბრისთვის გამოაცხადა?!

საქმე ისაა, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა **აშშ**-სთვის ყველაზე უპატიებელი შეცდომა დაუშვა – საჯაროდ განაცხადა, რომ მისთვის მთავარი საქართველოს ინტერესებია და რომ მათ შელახვაში ყველა მხილებული მკაცრად დაისჯება, ვინც არ უნდა უმაგრებდეს ზურგს. ამასთან ღარიბაშვილმა განაგრძო პრეზიდენტ სააკაშვილის და წინა ხელისუფლების დანაშაულების გამოძიება, რაც არაერთხელ და და მკაცრად აკრძალა ვაშინგტონმა.

თუმცა, როცა ღარიბაშვილმა **ნატო**-ს მიერ კონტროლირებადი და ცე-რე-უს სკოლის კურსადამთავრებული საქართველოში პენტაგონის მთავარი დასაყრდენისა და იმედის – ალასანიას ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დანაშაულების გამოძიება გაბედა, სახდეპის მოთმინების ფიალა აივსო! საქართველოსთვის აშშ-მა ამოქმედა სახელმწიფო გადატრიალების კომბინირებული ვარიანტი: 15 ნოემბერს, 16:00 საათზე, **„ნაცმოძრაობა“** დაიწყებდა თბილისში **„მაიდანს“**, რომელიც საღამოს **„არაბულ გაზაფხულში“** უნდა გადაზრდილიყო! **„ნაცმოძრაობის“** აქციის შემდეგ, რომელიც პროვოკატორების გეგმით, უნდა გადაზრდილიყო მასობრივ არეულობებში, თავდაცვის მინიტრ ალასანიას ღამის განგაშზე ფეხზე უნდა დაეყენებინა დედაქალაქის გარეუბნებიდან – ვაზიანის ბაზიდან და კრწანისის ცენტრიდან – საჯარისო ქვედანაყოფები, რომლებიც ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ქალაქში ბრძოლის უნარ-ჩვევებში გაწვრთნეს და რომლებმაც ავდანეთი გამოიარეს (თბილისელებო, გახსოვთ ყოველღამიერი სროლისა და აფეთქებების ხმა თბილისში?!).

მეორე დილით კი – 16 ნოემბერს – ვაზიანისა და ალექსეევკის სამხედრო აეროდრომებზე უნდა დამჯდარიყო ორი ამერიკული ბორტი აშშ-ის საზღვაო ქვეითების და ნაციონალური გვარდიის ქვედანაყოფებით, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ თავდაცვის მინისტრ ალასანიას, რომელმაც **„დროებით ხელში აიღო ძალაუფლება კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მიზნით აშშ-ის №1 სტრატეგიული პარტნიორ – ქვეყანაში“**. ამერიკული დესანტის ფორმალური მიზეზი სავსებით საპატიო იქნებოდა – აშშ-ის საელჩოს შენობის დაცვა, რომელიც დედაქალაქის გარეუბანში, ჯ. ბალანჩინის ქ. № 11-ში მდებარეობს.

სწორედ მისიის, სახელწოდებით **„გადამწყვეტი მხარდაჭერა“**, დეტალების შეთანხმების მიზნით, ალასანიამ თავის დემარშამდე – ანუ 3 ნოემბერს – პენტაგონში მიავლინა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი კაპანაძე, რომელსაც პენტაგონის უმაღლესი ხელმძღვანელობა ელოდა: ნაციონალური გვარდიის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ჯოზეფ ლინგელი, თავდაცვისა და უშიშროების სააგენტოს ხელმძღვანელი, ვიცე-ადმირალი ჯოზეფ რიქსი, აშშ-ის ქვეითი ჯარების შტაბის უფროსი რეიმონდ ოდიერნო, აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე მარტინ დემპსი და საზღვაო ქვეითთა კორპუსის შტაბის უფროსის მოადგილე ჯონ პაქსტონი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა, მიუხედავად თავდაცვის მინისტრისა და მისი ყველა მოადგილის სკანდალური გადაყენებისა, არ შეწყვიტა თავისი ვიზიტი აშშ-ში და მთელი გასული კვირა განაგრძო პენტაგონში ყოფნა – გენერალ-მაიორ კაპანაძეს ძალიან არ უნდოდა ალასანიას ავანტიურაში ქართული ჯარის ჩარევა, რომელიც, იმ აპლოდისმენტების მიუხედავად, რომლითაც მინისტრი პენსიაზე თავდაცვის სამინისტროს ქალთა კოლექტივმა გააცილა, არ იბრძოლებდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და არ განაიარაღებდა პრემიერ ღარიბაშვილის ერთგულ ქართულ პოლიციას. ეს მისია დაევალებოდა ამერიკელ საზღვაო ქვეითებს.

მეორე დღეს კი – 17 ნოემბერს – საქართველოს პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდელი მარგველაშვილი, თავის ნაცმეგობრებთან – ბოკერიასა და მაჭავარიანთან მხიარული უქმეების გატარების შემდეგ სამსახურში გავიდოდა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებდა კომენდანტის საათთან ერთად, საქართველოს პარლამენტისადმი მოთხოვნით, დაემტკიცებინათ მისი ბრძანება, რაც მაშინვე შესრულდებოდა, რადგან კოალიცია **„ქართული ოცნებას“** იმ მომენტისათვის უმრავლესობას უკვე დაკარგავდა!

ალასანიას სასწრაფო გადაყენებით ღარიბაშვილმა ჩაშალა ეს ვერაგი გეგმა, თუმცა, საქართველოსთვის საფრთხეს არ გადაუვლია – ის მუდამ იარსებებს, სანამ ხელისუფლება მთლიანად არ დაეყრდნობა ქართველ ხალხს და არ აღასრულებს მის ნებას – არ მოაშორებს ხელისუფლებიდან ახლო მეგობრების გუნდს, რომლებიც დღეს არც კი მალავენ თავის თბილ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი – **„ნაციონალებს“, „რესპუბლიკელებს“, „თავისუფალ დემოკრატებსა“, „ახალი მემარჯვენეებს“** და **„კარალევა მარგოს“**– ანუ **„სააკაშვილის მეგობრების კლუბს“**, რომელიც სძულს ქართველ ხალხს!

შემდეგი სიურპრიზი სწორედ პრეზიდენტი მარგველაშვილისგან არის მოსალოდნელი, რომელსაც საქართველოში ზუსტი მეტსახელი **„კარალევა მარგო“** გამოუძებნეს და რომელსაც ღიად უჭერს მხარს უკვე ორი პარტია – სააკაშვილის **„ნაცმოძრაობა“**, რომელიც დღეს საქართველოს პარლამენტში 40-პროცენტიანი ფრაქციით არის წარმოდგენილი და ალასანიას პარტია **„თავისუფალი დემოკრატები“**, რომელსაც პარლამენტში 10-დეპუტატიანი ფრაქცია აქვს, რომელთაგან ნახევარს მაღალი საპარლამენტო თანამდებობები უკავიათ: ზურაბ აბაშიძე – პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ვიქტორ დოლიძე – ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი ცაგარეიშვილი – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, გედევან ფოფხაძე – ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ფრაქცია **„თავისუფალი დემოკრატების“** სამი დეპუტატი – ონის რაიონის მაჟორიტარი თამაზ ჯაფარიძე, თელავის მაჟორიტარი გელა სამხარაული და გედევან ფოფხაძე საპარლამენტო უმრავლესობაში დარჩნენ და არჩევანი კოალიცია **„ქართული ოცნების“** სასარგებლოდ გააკეთეს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი კომპანია, რომელმაც ქართული არმიისთვის კვების პროდუქტების მიწოდების მსხვილი ტენდერები მოიგო, იყო კომპანია **„Food Line Georgia“**, რომელიც საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭოს მდივნის – რესპუბლიკელი იმერლიშვილის ქმარს ეკუთვნის. იმ იმერლიშვილის, რომელმაც გასულ კვირას განაცხადა, რომ **„ალასანია მისთვის კვლავაც წარმატებული მინისტრია“...**

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილისა და სამოქალაქო ლიდერი ბიძინა ივანიშვილის, ასევე მათი ოჯახების დაცვის უსაფრთხოების ზომების სასწრაფოდ გაძლიერება.

P.S. “პროკურატურამ დაუწერელი წესები დაარღვია, როცა თავდაცვის მაღალჩინოსნები მინისტრის საქართველოში არყოფნის დროს დააკავა!” – გააკეთა მენტალიტეტით ქურდული განცხადება იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა, რომელსაც ეყო ჭკუა, ალასანიას სოლიდარობის სადემონსტრაციოდ არ გადამდგარიყო, მაგრამ რომელსაც არ ესმის – ალასანია ევროპიდან ერთი დღით ადრე – 3 ნოემბერს რომ დაბრუნებულიყო, ის ჯარს ალყას შემოარტყმევინებდა თავდაცვის სამინისტროს შენობას, მეტიც – სამხედრო ამბოხზეც წავიდოდა, მაგრამ მათ არ დააპატიმრებინებდა!

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქინფორმის მთავარი რედაქტორი

აუცილებლობით განპირობებული კომენტარები კუკური ფიფიას და სხვათა საგაზეთო პუბლიკაციებზე

ბატონო კუკური!

თქვენ ძალიან ხშირად ეხებით ჩვენს ნაშრომებს და მაღალ შეფასებასაც აძლევთ მათ, რაზეც მადლობის მეტი რა გვეთქმის. ეს ასე იყო გაზეთ **„ილორის“** 273-ე ნომერში ჩემს სახელზე გამოქვეყნებულ თქვენს ღია წერილში და ამავე გაზეთის 287-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილის, – **„სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და მეგრულ (იბერიულ) ენაში მათგან მნიშვნელობების მიღების შესახებ“** დასაწყისშიც. მაგრამ, შემდგომ ამისა ახლენთ შვიდტომეულში **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“,** თქვენის აზრით, თითქოსდა ჩვენს მიერ **„გამორჩენილი“** საკითხების თუ მონაცემების გამომზეურებას და მიმართავთ მათს შესახებ კრიტიკასა და თქვენეული მოსაზრებების წარმოდგენას, რასაც აგრძელებთ აღნიშნული გაზეთის მრავალ ნომერში.

ცხადია, თქვენი კრიტიკული ნააზრევის ბწკარდაბწკარ წარმოდგენა და დეტალურად განხილვა, აქ, შეუძლებელია, ვინაიდან მას ამ გაზეთის თითქმის მთელი წლის ნომერი დასჭირდება. ამიტომაც, ჩვენ მხოლოდ ცალკეული მაგალითების მოტანითა და სათანადო ობიექტური მონაცემების ჩვენებით შევეცდებით, შეძლებისამებრ მოკლედ გიპასუხოთ და დაგარწმუნოთ თქვენი შეხედულებების მცდარობასა და კრიტიკის სრულ უსაფუძვლობაში.

აი, რას წერთ თქვენ აღნიშნული გაზეთის 287-ე ნომერში წარმოდგენილი წერილის მეორე სვეტიდანვე:

„მართლაც, უსასრულოა ბუნების მიერ გაღებულ ბგერათა ხმიანობა. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ამ უკვე ათვისებული (აღქმული) და მეგრულ მეტყველებაში არსებული ლექსიკიდან ზემოხსენებულ ტიტანებსაც (ესე იგი, ჩვენ, მამანტი და ცირა ძაძამიებს. – მ. ძ.) გამორჩათ ერთეულთანხმოვნიანი ბგერებით გამოხატული ძირისეული ფორმები, რომელთაგან უნდა წარმოშობილიყვნენ სამეტყველო ბგერები და რომელთა სრულყოფილი შესწავლა კიდევ უფრო გაზრდიდა მეგრული ენის უზარმაზარ ლექსიკურ ფონდს.“ შემდეგ ასე აგრძელებთ:

„30 თანხმოვანი ბგერაა ე. წ. მეგრულ (იბერიულ) ენაში (სინამდვილეში, მასში 29 თანხმოვანია. – მ. ძ.). აქედან ზ, ს, შ და რ ბგერების წარმოშობაზე ზემოხსენებულ ავტორებს ჩამოყალიბებული აქვთ მწყობრი აზრი და შეხედულებები... აღნიშნული აქვთ გ და ზ ბგერების ხმაბაძვითი წარმომავლობა“ (აქ, ტექსტს, გასაგები მიზეზით, ვამცირებთ. – მ. ძ.), „ასევე ხაზგასმულია ღ, ყ, §, ჭ, ხ ძირისეული ფორმების ხმაბაძვითი წარმომავლობა, მაგრამ მითითებული არა აქვთ აღნიშნულ ბგერათა კომპლექსების გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობები და რის საფუძველზე მიიღეს მათ ესა თუ ის მნიშვნელობა. და კიდევ ხაზგასმული აქვთ, რომ ლ, ნ, ტ, ქ და ჯ ძირისეული ფორმების წარმომავლობა დასადგენიაო. ხოლო საერთოდ განხილული არა აქვთ ბ, დ, ვ, ჰ, თ, კ, მ, პ, ფ და პ ძირისეული ფორმები“.

აღნიშნულის მიხედვით, გამოდის, რომ თურმე მეგრულის 30 (სინამდვილეში 29) თანხმოვანი ბგერიდან, იგივე ძირისეული თანხმოვნური ფორმებიდან ანუ **„ბგერა-სიტყვიდან“** (როგორც თქვენ მათ, უკლებლივ, მოიხსენიებთ), თურმე, დადგენილი არ გვქონია 16 ძირისეული თანხმოვნური ფორმის წარმომავლობა.

ძალიან ცუდად გვქონია საქმე, ბატონო კუკური, ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაგრამ საბედნიეროდ ეს სულაც არ არის ასე.

ვიდრე აღნიშნულზე კონკრეტულ პასუხს წარმოვადგენდეთ, ბატონო კუკური, შეგახსენებთ შემდეგს:

ენის წარმოშობის საკითხისა და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას მიეძღვნა ჩვენი (იგულისხმება სხვა თანაავტორებიც) 3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 16 დიდი მონოგრაფია, აქედან: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული და 1 ოცტომეული. ამჟამად კი ვმუშაობთ „მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულზე (სავარაუდოდ, 25000-ტომეულზე, რომლის პირველი 1000-ტომეული, ანუ 600000-მდე გვერდი, ჩვენს მიერ წინასწარ მოძიებული მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის ექსტერნული წესით შედგენის ხერხის გამოყენებით, უკვე შეტანილი გვაქვს ჩვენს პერსონალურ კომპიუტერში.

ასეთ პირობებში, მხოლოდ ერთი რომელიმე (წიგნად თუ წიგნებად გამოცემული) ნაშრომის, გნებავთ, შვიდდტომეულის მიხედვით, ჩვენი ნაშრომების სრულად შეფასება, რასაკვირველია, შეუძლებელია; თუმცა, ენის წარმოშობის საფუძვლები შვიდტომეულშიც და მის წინამავალ ფუძემდებლურ ნაშრომებშიც სრულად და ნათლად არის წარმოჩენილი. ამიტომაც, მართალი გითხრათ, ძალიან მოულოდნელი და გამაოგნებელიც აღმოჩნდა ჩვენთვის, თქვენს მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული შეფასება და ბრალდებაც, და, აი, რატომ:

ჩვენს ნაშრომებში შესწავლილია და წარმოჩენილია არა მხოლოდ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის 37–ვე ბგერის წარმოშობის საფუძვლები, არამედ მსოლიოში არსებული 5445-ვე ენის (რასაც ენათმეცნიერები ითვლიან) უკლებლივ ყველა ბგერის წარმომავლობა ანუ წარმოშობის საფუძველი;

მათში, ასევე შესწავლილ-წარმოჩენილია არა მხოლოდ გამოკვლევის ობიექტის, – მეგრული ენის, არამედ ზოგადად ანუ საერთოდ ენის და მსოფლიოში არსებული ყველა ენის წარმოშობის საფუძვლები.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს მიერ, ერთობლიობაში ანუ ურთიერთ კავშირში, შესწავლილ-წარმოჩენილია საერთოდ სამეტყველო ბგერებისა და სიტყვების წარმოშობის მიზეზები, პირობები და მექანიზმი ანუ საფუძვლები, ასევე, – საწარმოთქმო ჩვევის ანუ საარტიკულაციო ბაზისის წარმოქმნა-განვითარების საფუძველი, ენის წარმოშობის საფუძველი და თვით ადამიანის, როგორც მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსების, წარმოშობის საფუძველი.

დიახ, ყოველივე ეს ჩვენ განხილული და შესწავლილი გვაქვს ერთობლიობაში, მათი ერთმანეთთან უშუალო და უცილობელი კავშირურთიერთობის პირობებში.

კიდევ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს მიერ წარმოჩენილია საგანთა ბუნებისთვის, და, კერძოდ, ენის ფენომენისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებები, რომელთაც განაპირობეს როგორც სამეტყველო ბგერებისა და სიტყვების, ასევე მთლიანად ენის წარმოშობა და განვითარება.

თქვენ კი, ბატონო კუკური, ჩანს, რატომღაც წარმოგიდგენიათ, რომ სხვადასხვანაირ საფუძველზე უნდა იყვნენ წარმოშობილნი სხვადასხვა ენის სამეტყველო ბგერები და თვით ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ბგერებიც კი; უფრო მეტიც, თქვენ მიგაჩნიათ, რომ მხოლოდ ერთ რომელიღაც კონკრეტულ ფიზიკურ რეალობაზე დამყარებით უნდა ჰქონდეთ მიღებული, ცალკეულ ბგერებს, მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობის მტარებლები არიან ეს ბგერები, ყველგან ანუ ნებისმიერ სიტყვაში, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი წარმოდგენილნი.

ცხადია, ამას ნიშნავს თქვენი ზემოთ მოტანილი განაცხადი, სადაც წერთ, რომ სიტყვა ბზუილის მიხედვით მისი ძირისეული ბზ თანხმოვნური ფორმის ხმაბაძვითი წარმომავლობა ავტორების მიერ ხაზგასმულიაო, რასაც შემდეგ ასე აგრძელებთ: ავტორების მიერ „ასევე ხაზგასმულია ღ, ყ, §, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ და ხ ბგერების ხმაბაძვითი წარმომავლობა, მაგრამ მითითებული არა აქვთ აღნიშნულ ბგერათა კომპლექსების გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობები და რის საფუძველზე მიიღეს მათ ესა თუ ის მნიშვნელობა“.

თქვენმიერი ამგვარი, უთუოდ მცდარი, წარმოდგენა არის მიზეზი იმისა, რომ თქვენ, მაგალითად, **ბ** ბგერის წარმომავლობას მხოლოდ და მხოლოდ ბმულობის გამომხატველ ხმიანობას უკავშირებთ და მიგაჩნიათ, რომ აქედან აქვს მას მიღებული გარკვეული კონკრეტული მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობის მატარებელია იგი ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ეს ბგერა მოცემული; რომ, ამგვარსავე საფუძველზე, მაგალითად, **თ** ბგერას მიღებული აქვს ნათლის გამომხატველი მნიშვნელობა და ამასვე გამოხატავს იგი ყველგან, სადაც კი ეს ბგერა გვხვდება; რომ, **ნ** ბგერა გამომხატველია წყლისა (რაც სრულიად მცდარია), და ა. შ..

ასეთი შეხედულების პირობებში, საკითხის მეცნიერულ განსჯაზე და ენის ფენომენისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებზე რომც არაფერი ვთქვათ (არც რა ითქმის), უბრალო ლოგიკური თვალსაზრისითაც კი, რა უნდა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ იგივე **ბ** ბგერა მრავლად გვაქვს სხვა, თანაც როგორც ხმაბაძვით, ასევე არახმაბაძვით სიტყვებში, როგორიცაა, მაგალითად: **ბაზი, ბზული ბარი, ბერი, ბირა ბორო, ბრელი, ბურდღა** და სხვა. რაღა მაინცდამაინც მხოლოდ და მხოლოდ ბუნა ‖ ბმა მოქმედებისას საგნის მიერ გაღებული და ადამიანის მიერ აღქმული ხმიანობიდან (თუნდაც **ბ** ასო-ნიშნის საგნის ბმულად ‖ ჩამოკიდებულად მოაზრების პირობებშიც, რასაც სიტყვის ეტიმოლოგიასთან არავითარი კავშირი არა აქვს) მიღებულად უნდა მივიჩნიოთ **ბ** ბგერა და რატომ?

თქვენ სხვაგვარ შეცდომებსაც უშვებთ, რაც უთუოდ განპირობებულია შემდეგი გარემოებების გაუთვალისწინებლობით:

მართალია, ჩვენ სიტყვათა ძირებად წარმოდგენილ თანხმოვან ბგერებს (ერთ თუ მეტთანხმოვნიან თანხმოვნურ სიტყვებში), თუ სიტყვათა ძირებში წარმოდგენილ თანხმოვან ბგერებს (თანხმოვან-ხმოვნიან სიტყვებში), ანუ, – ერთეულ თანხმოვნებს, თანხმოვან ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებს და ამათ ჯგუფებს ანუ განაერთებს, საერთოდ (ანუ, მიუხედავად იმისა, ხმაბაძვით სიტყვებთან არიან ისინი წარმოდგენილნი, თუ არახმაბაძვით სიტყვებთან), გარკვეული პირობით, „ძირისეული თანხმოვნურ ფორმებს“ ვეძახით (მსგავსად ენათმეცნიერებაში მიღებული ტერმინისა: „სიტყვის თანხმოვნური ძირი“), მაგრამ საკუთრივ „თანხმოვან ბგერებსა“ და „თანხმოვნურ ფორმებს“ შორის (ისევე, როგორც ხმაბაძვითი სიტყვებისა და არახმაბაძვითი სიტყვების ძირისეულ თანხმოვნურ ფორმებს შორის) არსებითი არსობრივი განსხვავებაც არის, რაც ჩვენს ნაშრომებში ნათლად არის წარმოჩენილი; ამასთან, მეგრულში, თითქოსდა, გვაქვს ერთბგერიანი სიტყვები, ანუ, – **ბგერა-სიტყვები**, როგორც მათ ჩვენ თავის დროზე ვუწოდეთ და როგორიცაა ფორმები: **გ)** (გავს), **კ)** (რკო), **ლ)** (ვარდება), **ტ)** (ცური, ჯიქანი), **შ)** (1. სველი; 2. ახსოვს) **ჩ)** (აჭამა), **ც)** (1. თელა; 2. 2. სცა, [პატივი] სცა]), **ძ)** (ძევს), **წ)** (წელს) და **ჭ)** (ნაწლავი, მაგრამ განა ესენი მხოლოდ ერთბგერიანი (თითობგერიანი) სიტყვებია? ცხადია, არა! ესენი არც ერთი არ არის მხოლოდ ერთბგერიანი სიტყვა. აქ წარმოდგენილ თანხმოვან ბგერებს, როგორც წესი, თან ახლავთ ემფატიკური (ემფაზიისმიერი, ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) ძლიერმახვილოვანი ნახევრადხმოვანი დეტერმინანტი) ბგერა.

მართალია, როგორც ეს ჩვენს მიერ იმთავიდანვე იქნა დადგენილ-წარმოჩენილი, ემფატიკური) ბგერის ან თუნდაც მისი ნაცვეთის გარეშე საერთოდ ვერ წარმოითქმება ვერც ერთი თანხმოვანი ბგერა და ვერც თანხმოვან ბგერათა ჯგუფი, მაგრამ სულ სხვაა ძლიერმახვილოვანი) ბგერის თანხლებით წარმოდგენილი თანხმოვანი ბგერები და სულ სხვაა უამისოდ წარმოდგენილი, თუნდაც იგივე, თანხმოვანი ბგერები.

ასე, მაგალითად: არაფერს აღნიშნავენ თანხმოვანი ბგერები, როგორიცაა: **გ, კ, ლ, ტ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, დგ, რზ** და სხვა, მაშინ როდესაც იგივე ბგერები ძლიერმახვილოვანი ემფატიკური) ბგერის თანხლებით აღნიშნავენ: **გ)** 1. გავს, 2. გარეული ქათამი; **კ)** რკო; **ლ)** ვარდება; **ტ)** ცური, ჯიქანი; **შ)** 1. სველი, 2. ახსოვს; **ჩ)** აჭამა; **ც)** 1. სცა (პატივი სცა), 2. თელა, ალვის ხე; **ძ)** ძევს; **წ)** წელს; **ჭ)** ნაწლავი, **დგ)** 1. დგას, **რზ)** 1. ანთია, 2. ძლებს; **რჩ)** 1 აფენია; 2. გაჭამა, **რჩქ)** ჩანს, და ა. შ..

როგორც ვხედავთ, **) ბგერის თანხლების გარეშე წარმოდგენილ თანხმოვან ბგერებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ანუ უამბგეროდ ისინი არავითარი იდეამტარებლები, მოტივირებულნი არ არიან, მაშინ როდესაც იგივე თანხმოვანი ბგერები,) ბგერის თანხლებით, გარკვეული მნიშვნელობის მქონენი ანუ იდეამტარებლები, იგივე, დეტერმინირებულნი ანუ მოტივირებულები არიან.**

შევადაროთ:) ბგერა გვაქვს მეგრულ, სვანურ, აფხაზურ, ადიღეურ და სხვა ენებში, მაგრამ არა გვაქვს ქართულ, ლაზურ და სხვა ენებში (მიზეზი ჩვენს მიერ ამოხსნილია).

ამრიგად, რაკი ქართულ ენაში) ბგერა საერთოდ არა გვაქვს, და მაშასადამე, არა გვაქვს თანხმოვანი ბგერები (ერთეული თანხმოვანი ბგერების თუ თანხმოვან ბგერათა ჯგუფების სახით)) ბგერის თანხლებითურთ, ამიტომაც,) ბგერის გარეშე წარმოდგენილი თანხმოვანი ბგერები არც არავითარ მნიშვნელობას არ გამოხატავენ; ისინი მნიშვნელობის არმქონე ბგერებია; ისინი იდეამტარებლები ანუ მოტივირებულები არ არიან.

ასეთ პირობებში, ბატონო კუკური, რამდენად საფუძვლიანია, რომ თქვენ მნიშვნელობას ეძებთ და, თითქოსდა, ნახულობთ კიდეც, ცალკეულ თანხმოვან ბგერებში? თუმცა ეს კითხვა, ახლა, უბრალოდ დავსვათ, ჯერ-ჯერობით აქ გავჩერდეთ, და, გავიხსენოთ შემდეგი:

როგორც ენათმეცნიერება გვასწავლის, **ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ ბგერა, იგივე ფონემა (ლათინურად) ანუ ფონეტიკური ერთეული), მორფემა, სიტყვა და წინადადება. ამათ შორის, ბგერა ანუ ფონემა წარმოადგენს უმცირეს ენობრივ ერთეულს, წინადადება კი, – უდიდეს ენობრივ ერთეულს.**

აქვე დავძინოთ: ენათმეცნიერებაში **ბგერად** იწოდება ბუნებაში მოცემული ანუ ბუნების საგანთა მიერ გაღებული ყველა სახის ბგერა, მათ შორის, ადამიანური სამეტყველო ბგერები. მაგრამ **სხვა დანარჩენი ბგერებისაგან განსხვავებით, სამეტყველო ბგერებს ფონემებს (ლათინურის მიხედვით) უწოდებენ**.

ენათმეცნიერული სწავლებისავე მიხედვით, **ფონემები მნიშვნელობის მატარებლები არ არიან (თუმცა მნიშვნელობაგანმასხვავებელ ანუ დისტინქციურ უნარს ფლობენ), მაშინ როდესაც მორფემები მნიშვნელობის მატარებლები ანუ იდეამტარებლები არიან.**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გარკვევით წერია: მნიშვნელობის მატარებელ უმცირეს ენობრივ ერთეულს წარმოადგენს მორფემა ანუ მორფოლოგიური ერთეული.

ასევე მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეულებია სიტყვა და წინადადება.

მორფემები ორი სახისაა: ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემები და გრამატიკული მორფემები ანუ აფიქსები.

აფიქსები, თავის მხრივ, ორი სახისაა: მნიშვნელობამცვლელი ანუ დერივატი აფიქსები და მიმოსახრელი აფიქსები, რასაც ფლექსიასაც უწოდებენ.

სიტყვის მნიშვნელობა ყოველთვის არის დაკავშირებული სიტყვის ძირთან ანუ ძირისეულ მორფემასთან, რის გამოც მას ლექსიკურ მორფემასაც უწოდებენ.

გრამატიკული მორფემები წარმოადგენენ საგრამატიკო საშუალებებს.

გრამატიკული მორფემები, იგივე საგრამატიკო საშუალებები, წარმოდგენილნი არიან აფიქსების (სუფიქსების, პრეფიქსების ინფიქსების) და სხვათა სახით.

დერივატი აფიქსები, ჩვეულებრივ, ცვლიან სიტყვის (მისი ძირისეული ფორმის) მნიშვნელობას ანუ ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ მას, საგნობრიობის შეცვლის მეოხებით (ასე, მაგალითად: **ქუდ-ი, მაგრამ: ქუდ-იან-ი, სა-ქუდ-ე, უ-ქუდ-ო, ნა-ქუდ-არ-ი... კაც-ი, მაგრამ: სა-კაც-ე, კაც-ურ-ი, უ-კაც-ურ-ი, კაც-ობ-ა, კაც-ობრ-ი-ობ-ა, სა-კაც ობრ-ი-ო...** და სხვა).

მიმოსახრელი აფიქსები სიტყვის მნიშვნელობას (საგნობრიობას) არ ცვლიან. მათ განეკუთვნება, მაგალითად, ბრუნვის ნიშნები (**კაც-ი, კაც-მა, კაც-ს** და ა. შ.)

ყოველივე ეს, ბატონო კუკური, თქვენთვის უთუოდ ცნობილია. მაგრამ, რატომღაც ყურადღებას არ აქცევთ იმ ფაქტს, რომ **ფონემები ანუ სამეტყველო ბგერები, – იქნებიან ისინი, ერთეული ბგერები თუ ბგერათა ჯგუფები, – როცა ისინი მორფემებად არ გვევლინებიან, არავითარი მნიშვნელობის მატარებლები არ არიან.** ასე, მაგალითად, სიტყვაში **წიგნი, წ** ფონემაა და არა მორფემა, ამიტომაც იგი არავითარი მნიშვნელობის მატარებელი არ არის და, ასეთ პირობებში, თქვენ მასში და მისთანებშიც დაბეჯითებით და დაჟინებით ეძებთ ხოლმე რაღაც მნიშვნელობას.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

“მიფრთხილდით, ძმაო, დღეს სისხლი მწყურია!” – *90-იანი წლების სისხლისმსმელთა ბანდა საქართველოში*

90-იანი წლების საქართველოში მოთარეშე ეს ბანდიტური დაჯგუფება კრიმინალური სამყაროს ისტორიაში არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც შევიდოდა, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეთა ჯგუფის სტატუსით. შეძრწუნებელი მოსახლეობა მას სისხლისმსმელთა ბანდას უწოდებდა. გამოძიების ოქმებიდანაც ჩანს, რომ ბანდის წევრები, რომლებიც თავდაპირველად, სხვადასხვა რაიონის, შემდეგ დედაქალაქის მცხოვრებთ ესხმოდნენ თავს, იარაღიდან ცეცხლის გახსნას ნამდვილად არ ერიდებოდნენ, აყაჩაღებდნენ არა მარტო მოქალაქეებსა და მათ ოჯახებს, არამედ ორგანიზაციებსა და სავაჭრო დაწესებულებებსაც. ხშირ შემთხვევაში, წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ასეთ დროს ბანდიტები უმოწყალოდ ხოცავდნენ ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობებოდა და ცოტათი მაინც ეცდებოდა მათი მზაკვრული გეგმის ჩაშლას. ბანდის წევრთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალებში 14 სხადასხვა დანაშაულის ეპიზოდი, 42 დაზარალებული პირისა და 8 მოკლულის გვარი ფიქსირდებოდა. თუმცა, აწოიკებული სოფლების მოსახლეობა გაცილებით მეტ მსხვერპლსა და გაუხმაურებელ ფაქტს ასახელებდა...

სამართალდამცავებისთვის თითოეული დამნაშავის ვინაობა იყო ცნობილი. მათზე ძებნაც გამოაცხადეს, მაგრამ ბანდას იმ დროისთვის ყველაზე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტები მფარველობდნენ. ქურდებს საკმარისი გავლენა და მჭიდრო კავშირები ჰქონდათ მთავრობის წევრ ჯაბა იოსელიანთან და ძალოვანი სტრუქტურების მაშინდელ ხელმძღვანელობასთან. ამიტომ, ბანდიტები წლების მანძილზე ხელშეუხებელი რჩებოდნენ და აუღელვებლად განაგრძობდნენ თარეშს. ავტორიტეტები და პოლიციის შეფები მათი ნადავლიდან მიღებულ ნაწილს ერთმანეთში ინაწილებდნენ. ერთხელ გამომძიებელმაც მითხრა პირად საუბარში, **“არც ერთი დამნაშავე არ მოიყვანეს მანამ, სანამ მათსა და ქურდებს შორის უკმაყოფილება არ მოხდა”,** – ამბობს ბანდის ერთ-ერთი წევრის მიერ მოკლული პოლიციელის მამა.

34 წლის კობა ჯაფარიძე პოლიციის ოპერატიული მუშაკი გახლდათ. თბილისში მდებარე კომერციულ დაწესებულებაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, ცხელ კვალზე აღევნებულ პოლიციელებსა და ბოროტმოქმედებს შორის შეტაკება მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, ჯაფარიძემ თავისი ტაბელური იარაღიდან მხოლოდ ერთი გამაფრთხილებელი გასროლა მოასწრო. იმწამსვე მას ბანდის წევრის – იმნაიშვილის მიერ ავტომატიდან გასროლილი ტყვია მოხვდა და სასიკვდილოდ დაჭრილი, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გამოძიების მასალებში დაფიქსირებულია წამების რამდენიმე ფაქტიც. როგორც ჩანს, ოჯახებზე ყაჩაღური თავდასხმების დროს, ბოროტმოქმედები მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიოდნენ. მუქარა და ცემა თუ არ გაჭირდა, სადიზმს მიმართავდნენ. მარტვილის რაიონის მკვიდრი ჯღარკავების ოჯახი სწორედ განსაკუთრებული სისასტიკის მსხვერპლი გახდა. ბანდა ოჯახს ღამის 3 საათისთვის დაესხა თავს. ხმაურზე გაღვიძებული ცოლ-ქმარი – გულნაზ და ომარ ჯღარკავები ორ ნიღბიან და ავტომატებით შეიარაღებულ ბოროტმოქმედს საძინებლის ზღურბლთან შეეფეთნენ. თავდამსხმელებმა ჯღარკავები ჯერ გაკოჭეს, პირი სკოჩით აუკრეს, ქმარს ცოლის თვალწინ წიხლებს ურტყამდნენ და იარაღით იმუქრებოდნენ; ფულს და ძვირფასეულობას ითხოვდნენ, მაგრამ ცოლ-ქმარი უარის ნიშნად თავს რომ იქნევდა, წამებაზე გადავიდნენ. ვიდრე ერთი თავდამსხმელი სახლს ჩხრეკდა, მეორე, ჯღარკავების დამორჩილებას ცდილობდა. გულნაზ ჯღარკავას გახურებული უოთი დაშანთვა რომ დაიწყო, ქმარი მაშინვე გატყდა და ბანდიტებს კომოდის იმ უჯრაზე მიუთითა, სადაც ოქროულობასა და შვილის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილ დოლარებს ინახავდა...

რამდენიმე თვის შემდგე, იმავე რაიონში მცხოვრები, ქაჩიბაიების ოჯახის დაყაჩაღებისას, ბანდიტებმა ოჯახის უფროსი – ნოდარ ქაჩიბაია მაშინ გამოასალმეს სიცოცხლეს, როცა მან საკუთარი სანადირო თოფით მათთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ერთ-ერთმა ყაჩაღმა – ქაშიბაძემ მას **“მაკაროვის”** სისტემის პისტოლეტიდან გულმკერდის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

მოგვიანებით, ყაჩაღებმა სისხლიანი კვალი დედაქალაქშიც დატოვეს...

ოფიციალური ცნობებით, ბანდა 1993 წლის აპრილში ჩამოყალიბდა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ სამეგრელოს მხარის მკვიდრმა რამდენიმე ამბიციურმა ახალგაზრდამ ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება ძარცვა-ყაჩაღობებითა და რეკეტით გადაწყვიტა. ეს იდეა, როგორც გაირკვა, წარსულში ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის ნასამართლევ 22 წლის გიგა გვილავას გაუჩნდა. ციხეგამოვლილი და შავ სამყაროში ფეხშედგმული გვილავა უბნელ ახალგაზრდებში უდავოდ სარგებლობდა ავტორიტეტით. მას მართლაც ჰქონდა კავშირი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან და არ ფარავდა, რომ ამ კავშირების გაღრმავებას ცდილობდა. ქურდული ორიენტაციისკენ ჰქონდა გეზი აღებული და ყოველივე ამის გამო, გარშემო მყოფი ახალგაზრდებისგან რიდსა და პატივისცემასაც გრძნობდა. ბანდის ორგანიზების შესახებ იდეა მან უახლოეს მეგობრებს გაანდო და მათაც გვილავა ერთხმად და ულაპარაკოდ აირჩიეს ჯგუფის ლიდერად.

ბანდა თავიდან 4 კაცისგან შედგებოდა, გვილავას გარდა მასში შედიოდნენ 22 წლის მერაბ ქარჩავა და ძმები – 20 წლის დავით და 18 წლის ვასილ წოწორიები. გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი - პისტოლეტები, ავტომატები და საბრძოლო მასალა, დაამზადეს ნიღბები და სამოქმედო გეგმის შედგენა დაიწყეს. რამდენიმე ოჯახის დაყაჩაღების შემდეგ (რასაც ორ შემთხვევაში შედეგად ადამიანის სიკვდილი, სხვა შემთხვევებში კი არაერთის სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა), ბანდას სამი ახალი წევრი – კოპალაძე, ქაშიბაძე და იმნაიშვილი შეუერთდა. ჯგუფი უფრო ორგანიზებული და **“მიზანდასახული”** გახდა. გადაწყვიტეს მხოლოდ, კერძო პირების დაყაჩაღებით არ შემოფარგლულიყვნენ და იერიში თბილისში არსებულ მსხვილ საწარმოებზეც მიეტანათ. ამისთვის თბილისში საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილას ქირაობდნენ ბინებს. წინასწარ ადგენდნენ გეგმებს, თუ რომელ ორგანიზაციაზე მიეწყოთ თავდასხმა, წინასწარ სწავლობდნენ ობიექტებს, ანაწილებდნენ როლებს – თავდასხმის დროს ვის რა მოქმედება უნდა განეხორციელებინა. მოქმედებდნენ შემდეგი გეგმით: ორგანიზაციაზე თავდასხმამდე მოქალაქეებისგან იტაცებდნენ ავტომანქანებს, რასაც ყაჩაღობის დროს იყენებდნენ, შემდეგ კი ქუჩაში ტოვებდნენ მათ.

1994 წლის აპრილ-ივლისის განმავლობაში ბანდამ ოთხი კომერციული დაწესებულებისა და ორი შემნახველი ბანკის განყოფილების დაყაჩაღება და სოლიდური ქონების გატაცება მოახერხა. ყაჩაღობებს მუდამ თან სდევდა სისხლის ღვრა და მსხვერპლი. თბილისში მდებარე ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაზე განხორციელებულ ბანდიტურ თავდასხმას შეეწირა ამავე მაღაზიის დირექტორის – 44 წლის ტარიელ ინანეიშვილის სიცოცხლე, ხოლო შემნახველი ბანკის დაყაჩაღებას თანამშრომელი ქალი – მარინა კილაძე ემსხვერპლა.

1994 წლის აპრილში, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, გვილავა და ბანდის დანარჩენი წევრები წერეთლის გამზირზე ჩაუსხდნენ გ. ჯაოშვილს კუთვნილ **“ვაზ 2106”**-ში და ელიავას ბაზრობამდე მიყვანა სთხოვეს. გზაში მათ მძღოლს ცეცხლსასროლი იარაღი დაანახვეს, უთხრეს, რომ დაუყოვნებლივ მოკლავდნენ, თუკი მანქანიდან არ გადავიდოდა. ჯაოშვილმა მითითებულ ადგილზე მისვლისას ავტომანქანა გააჩერა და უხმოდ გადავიდა იქიდან. ბანდიტებმა კი გზა განაგრძეს. გატაცებული მანქანით დღის 2 საათისთვის თბილისში მდებარე ერთ-ერთ მუნიციპალურ, საიუველირო სავაჭრო საწარმოს მიადგნენ. შეიარაღებულები და ნიღაბაფარებულები შეიჭრნენ მაღაზიაში. თავდაპირველად, დაცვის თანამშრომელი განაიარაღეს, წაართვეს ტაბელური იარაღი და მაღაზიაში მყოფ ხალხს უბრძანეს, არ განძრეულიყვნენ. ამის შემდეგ გვილავა მაღაზიის დირექტორის – ინანეიშვილის კაბინეტში შეიჭრა და მისი და ოთახში მყოფი სხვა პირების დამორჩილების მიზნით იარაღიდან უმისამართოდ გაისროლა. ტყვია იქვე მყოფ მაღაზიის თანამშრომელს – გ. ნოზაძეს მარჯვენა ბარძაყის არეში მოხვდა და სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. სწორედ ამ მომენტში გვილავამ შენინა, თუ როგორ წაიღო ზურგს უკან ხელი ინანეიშვილმა. იფიქრა, რომ დირექტორი საკუთარი იარაღის აღებას ცდილობდა და მაშინვე აღკვეთა მისი მოქმედება. ავტომატიდან ჯერით ესროლა რამდენიმე ტყვია და ადგილზე მოკლა იგი. ამასობაში ბანდის დანარჩენი წევრები მაღაზიის დახლებს აცარიელებდნენ. ოფიციალური მასალებით, სავაჭრო ცენტრიდან მათ 10 850 დოლარის ღირებულების ოქროს სამკაულები წაიღეს. მაღაზიიდან გასული ბანდიტები ისევ ჯაოშვილის ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. მანქანა მათ მოგვიანებით დიღმის მასივში მიატოვეს, მოხსნეს ნაწილები და გაიქცნენ. მეორე დღეს გაძარცული **“ჟიგული”** პოლიციამ იპოვა და ის კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ყაჩაღურმა ჯგუფმა თავდასხმა განახორციელა ტანსაცმლის მაღაზიაზე, სადაც ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს მაღაზიის ორი თანამშრომელი და სხეულის დაზიანება მიაყენეს ასევე მაღაზიაში მდებარე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მეპატრონე. წაიღეს 300 ათასამდე რუსული რუბლი, 270 დოლარი და ნახევარი საათით ადრე გატაცებული ავტომანქანა **“ვაზ 2107”**-ით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

1994 წლის ივნისში ბანდამ შემნახველი ბანკის განყოფილება დააყაჩაღა. საქმის მასალების მიხედვით, განყოფილებიდან მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება – 2 მილიონი რუბლი, 400 მილიონი კუპონი და 1.200 დოლარი გაიტაცეს. მიზნის მისაღწევად, მათ დაცვის პოლიციელების განიარაღება დასჭირდათ. ბანკის შენობაში წარმოებული გასროლის დროს ერთ-ერთი ტყვია მოხვდა მოლარე – მარინა კილაძეს, რომელიც მიღებული დაზიანების შედეგად მეოთხე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

იმავე თვის მიწურულს ბანდამ საბურთალოს რაიონში მდებარე კიდევ ერთი კომერციული დაწესებულება დააყაჩაღა, თუმცა თავდასხმის ფაქტს პოლიციის თანამშრომლები – ჯაფარიძე და ზარიძე შეესწრნენ. ბანდიტები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას, დაეყარათ იარაღი და გ. ჩაფიძისგან გატაცებული ავტომანქანით გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან. მოკლე მანძილის გავლის შემდეგ, იმავე რაიონში, მათ მანქანა გაუფუჭდათ და იძულებული გახდნენ გადამხტარიყვნენ და ფეხით გაქცეულიყვნენ. შეცვივდნენ უახლოესი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, იქიდან გაუხსნეს პოლიციის თანამშრომლებს ინტენსიური ცეცხლი. ამავე ბანდიტებმა საშიროება შეუქმნეს იქვე მყოფი მოქალაქეების სიცოცხლეს, სასიკვდილოდ დაიჭრა პოლიციელი ჯაფარიძე, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო კიდევ ერთმა სამართალდამცავმა და ეზოში შემთხვევით, სრულიად უდანაშაულო მოქალაქემ ავტომატიდან ნასროლი ტყვეებით, ასევე დაიცხრილა კორპუსის წინ მდგარი მსუბუქი ავტომანქანა.

შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგად, ბანდის წევრებმა პოლიციელებისგან თავის დაღწევა მოახერხეს. გავიდნენ ქუჩაში, იქ ერთ-ერთ მოქალაქეს იარაღის მუქარით, წაართვეს ავტომანქანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციის თანამშრომლებისგან თავის დაღწევის შემდგე, ბანდიტებმა იარაღის გასახვევად მანქანას უკანა საზურგის შალითა მოხსნეს, მანქანა ნაძალადევის რაიონში მიატოვეს და თავად ფეხით მიიმალნენ.

მორიგი დანაშაული ბანდის წევრმა გვილავამ 1995 წლის თებერვალში ჩაიდინა. ღამით, ქარჩავასთან ერთად მყოფს, ერთ სავაჭრო ჯიხურთან ორ უცნობ ახალგაზრდასთან მოუხდა შელაპარაკება. გვილავა და ქარჩავა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, გვილავამ უხეშად მიმართა უცნობ ახალგაზრდას, რომელიც სავაჭრო ჯიხურის პირდაპირ იდგა და დასაკეც დანას ათამაშებდა. ხან შლიდა, ხან კეცავდა მას და თან მეგობარს ესაუბრებოდა. ახალგაზრდამ გვილავას უხეში მიმართვა – **“შენ, ბიჭო, მაგ დანა შეინახე”** – ვერ მოითმინა და აგრესიულად უპასუხა. ყოველივე ამის გამო გაღიზიანებულმა გვილავამ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი **“ნაგანის”** სისტემის რევოლვერი აიღო და ახალგაზრდას, დამიზნებით ერთხელ ესროლა. 21 წლის ზურაბ გიგაურს ტყვია გულმკერდის არეში მოხვდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მან გულის მარჯვენა პარკუჭის გამჭოლი დაზიანება მიიღო და ადგილზე გარდაიცვალა. გვილავამ **“ნაგანი”** გიგაურის მეგობრისკენ – დავით შარაბიძისკენაც მიმართა – შენც მოგკლავო, დაუყვირა და ჩახმახს ხელი გამოჰკრა, მაგრამ ტყვია მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ გავარდა. ამით ისარგებლა არაბიძემ და გვილავას მივარდა, რათა მისთვის იარაღი წაერთმია. თუმცა, ზუსტად იმ მომენტში ქარჩავამ მიწაზე უკვე უსულოდ დავარდნილ გიგაურს ხელიდან დანა ააცალა და ის ზურგში ჩაარტყა შარაბიძეს. შარაბიძემ, როგორც ექიმებმა აღნიშნეს, სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება მიიღო, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მისი გადარჩენა შეძლეს. რაც შეეხება გვილავასა და ქარჩავას, ისინი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ და მიიმალნენ.

გვილავას დანაშაულებრივი ქმედების შემდეგი მსხვერპლი თავად ბანდის წევრი თემურ იმნაიშვილი აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით, დაკავებულმა ვასილ წოწონავამ სამართალდამცავებს დაკითხვისას განუცხადა, იმნაიშვილის მკვლელობის მიზეზი ბანდის ლიდერის ეჭვები იყო. მისი თქმით, გვილავამ ბოლო ხანს იმნაიშვილი გატაცებული თანხის არათანაბარ განაწილებაში შეამჩნია. გვილავა ეჭვობდა, რომ ის ჯგუფის დანარჩენ წევრებს ნაყაჩაღარი ფულის ნაწილს ხშირად უმალავდა. წოწორიას ჩვენებიდან:

– **“ჯგუფში გვილავა ყველასგან გამოირჩეოდა სიმკაცრითა და აგრესიულობით, ვინმეს რამე თუ შეეშლებოდა, არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა... იმ დღეს მერაბის ნაქირავებ ბინაში ვიყავით – ქაშიბაძე, იმნაიშვილი, გვილავა და ქარჩავა. ჩემი ძმა და კოპალაძე ჩვენთან იყვნენ. მე “ზალაში” ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი, გვერდით ოთახში ბიჭები ლაპარაკობდნენ. მაშინ გავიგონე გვილავას სიტყვები – მიფრთხილდი, ძმაო, დღეს სისხლი მწყურიაო. ვიფიქრე, წამლის ქვეშაა-მეთქი და სერიოზულად არ მივიღე მისი ნათქვამი.**

ცოტა ხანში თემურ იმნაიშვილი გამოვიდა, ანერვიულებული იყო. მას უკან მოჰყვა გვილავა, ხელში გადაჭრილი სანადირო თოფი ეკავა. იარაღი გადატენა, თემურს მიუახლოვდა და ესროლა. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად და უცებ მოხდა, რომ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. ამიტომაც არ დამიფიქსირებია, გიგამ რამდენჯერ ისროლა. თუ არ ვცდები ორჯერ ან სამჯერ... თემური იატაკზე დავარდა. როცა გავაცნობიერე, რაც მოხდა, სკამიდან წამოვხტი და გიგას დავუყვირე – რა ქენი-მეთქი? მან მიპასუხა – ვიცი, რასაც ვაკეთებ, შენ ნუ ჩაერევიო და იარაღი მეც დამიმიზნა. ეტყობოდა, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო... თემური გვერდულად იწვა იატაკზე, ღია ფერის მაისური ეცვა და სულ დასისხლიანებოდა. მაშინ გავიფიქრე – ალბათ, ტყვიები მუცელში მოხვდა-მეთქი და კიდევ ერთხელ წამოვიწიე მის დასახმარებლად, მაგრამ ამ დროს გიგამ მაგიდიდან სამზარეულოს დანა აიღო და თემურს რამდენჯერმე ზედიზედ ჩაარტყა მუცლის არეში”...

თემურ იმნაიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. გვილავა კი დანარჩენებთან ერთად იქაურობას გაშორდა და მიიმალა. მკვლელობის იარაღი, როგორც ჩანს, თან წაიღო, რადგან შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, ბინაში ვერც გადაჭრილი თოფი იპოვა და ვერც სამზარეულო დანა. **“არც ერთი იარაღი მას შემდეგ მის ან სხვის ხელში არ მინახავს”,** – წერდა ვასილ წოწორია.

სწორედ ძმები წოწორიები იყვნენ პირველები, ვინც პოლიციამ ამ ბანდიდან დააკავა, თუმცა ეს მხოლოდ 1997 წელს მოხდა. წინასწარ გამოძიებას მათ აღიარებითი ჩვენებები მისცეს და ჯგუფის დანარჩენი წევრებიც ამხილეს ჩადენილ დანაშაულებში. ბანდის ლიდერმა გვილავამ, რომელიც სამართალდამცავებმა ერთი თვის შემდეგ თბილისში დააკავეს, დუმილის უფლება გამოიყენა. თუმცა, ყველაზე მძიმე მუხლებით ბრალი პროკურატურამ სწორედ მას წაუყენა. მოგვიანებით დააკავეს ქარჩავა და კოპალაძეც. რაც შეეხება ქაშიბაძეს, მისი ადგილსამყოფელის დადგენა პოლიციამ ვერ შეძლო. როგორც ამბობენ, მან საქართველოს ფარგლების დატოვება და საზღვარგარეთ მიმალვა მოახერხა.

საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესი ძალზედ რთული და დაძაბული აღმოჩნდა.

პროკურატურამ დაკავებულ პირებს 8 სხვადასხვა მუხლით წაუყენა ბრალი. ბრალდებულებმა ნაწილობრივ აღიარეს დანაშაული, თუმცა სასამართლოში აღნიშნავდნენ, რომ პროკურატურამ მათ ისეთ ფაქტებში დასდო ბრალი, რაც არ ჩაუდენიათ. ზოგიერთმა დაშინებულმა დაზარალებულმა ოჯახის უსაფრთხოების მიზნით გამოძიებისთვის მიცემული მამხილებელი ჩვენება სასამართლოში შეცვალა და განაცხადა, რომ თავდამსხმელების ამოცნობა არ შეუძლია. თუმცა, ამის მიუხედავად, ბრალდების მხარემ საკმარისი მტკიცებულება წარადგინა სასამართლოში, განსასჯელთათვის ბრალის დასადასტურებლად. საბოლოოდ, ხუთივე განსასჯელი დამნაშავედ ცნეს. მათგან გვილავას ყველაზე მკაცრი სასჯელი – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ერგო. ქარჩავას – 19 წლით, დავით წოწორიას – 15 წლით, ხოლო ვასილ წოწორიასა და გურამ კოპალაძეს – 13-13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ განზრახ მკვლელობების, ყაჩაღური თავდასხმებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების გარდა, ბანდას დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების – ჰეროინის შენახვასა და მის უკანონოდ მოხმარებაშიც დაედო ბრალი.

განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულებმა საჩივრით შემდგომ ინსტანციას მიმართეს, თუმცა საკასაციო პალატამ განაჩენი უცვლელი დატოვა და რომელიმე მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემსუბუქებაზე მტკიცე უარი განაცხადა.

***P.S.* ბოროტმოქმედთა გვარები შეცვლილია.**

მეგი ცანავა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ **გიორგი ჯალადანიას**

ნახვამდის, თემურ...

14 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეოთხე შეხვედრა პოლონეთის ნაკრებთან გამართა და ანგარიშით 0:4 დამარცხდა.

ამ წაგების შემდეგ, ფაქტობრივად, საბოლოოდ დავემშვიდობეთ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის ოცნებას და... ნაკრების მთავარ მწვრთნელს – თემურ ქეცბაიას, რომლისთვისაც ეს ბოლო მატჩი იყო ეროვნული გუნდის მესაჭის რანგში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული სამსახურის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თემურ ქეცბაიასთან კონტრაქტის გაფორმების დღიდან – დღემდე, აღნიშნული ვადები უცვლელი იყო. კონტრაქტი 2015 წლის 12 სექტემბრამდე უნდა გაგრძელებულიყო. თუმცა პოლონეთთან მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ქეცბაიამ დაანონსა, რომ, რა შედეგითაც არ უნდა დასრულებულიყო შეხვედრა. ის მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებდა. ეს იყო ქეცბაიას ხელმძღვანელობით მეორმოცე მატჩი...

ეროვნულ ნაკრებში მოღვაწეობის დროს ხშირად იყო კრიტიკის საგანი ქეცბაიას **"ტაქტიკა"**. იყო დაპირისპირება ნაკრების ფეხბურთელებთან. უფრო ხშირად კი ქეცბაის რისხვის ობიექტები სპორტული ჟურნალისტები ხდებოდნენ. ამის მაგალითია, ისიც, რომ რამდენიმე ჟურნალისტმა ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბოლო მატჩისწინა *პრესკონფერენცია პროტესტის ნიშნად დატოვა.*

თემურ ქეცბაიას კარიერა დღემდე: ფეხბურთელი და მწვრთნელი, თემურ ქეცბაია 1968 წლის 18 მარტს გალში დაიბადა. 2010 წლიდან დღემდე იყო საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი. 1990-იანი წლებში საქართველოს ნაკრების წამყვანი მოთამაშე.

ფეხბურთელის კარიერა: საფეხბურთო კარიერა სოხუმის დინამოში დაიწყო. 1987 წელს პერსპექტიული ნახევარმცველი ქართული ფეხბურთის ფლაგმან თბილისის დინამოში გადავიდა. 1992 წელს კვიპროსულ კლუბში (ფამაგუსტას **"ანორთოსისი"**) გადადის, 1994 წელს კი – საბერძნეთში, ათენის **"AEK"** ირიცხება, რომლის შემადგენლობაშიც საბერძნეთის ჩემპიონი და ფანების კერპი ხდება.

1997 წელს ქეცბაიას წარმატებული თამაში საბერძნეთსა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ინგლისური **"ნიუკასლის"** სელექციონერებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა და თემური, როგორც თავისუფალი აგენტი, ჩრდილოინგლისური კლუბის წევრი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ფანების ფავორიტი იყო და მისმა გოლმა გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, კლუბი მას იშვიათად იყენებდა, განსაკუთრებით კი რუუდ გულიტის მწვრთნელობის დროს. 2000 წელს ქეცბაიას სენტ-ჯეიმსის პარკის დატოვება მოუხდა და ქვედალიგელ **"ვულვერჰემპტონთან"** 900.000-ად აფორმებს კონტრაქტს, თუმცა აქაც დიდხანს ვერ ჩერდება და 2001 წელს შოტლანდიური **"დანდის"** წევრი ხდება.

მწვრთნელის კარიერა: 2002 წლის ზაფხულს "ანორთოსისში" ბრუნდება მოთამაშე-მწვრთნელად, რომელიც 2008-2009 წლების სეზონში გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. 2009 წელს ქეცბაია პირეოსის **"ოლიმპიაკოსის"** მთავარი მწვრთნელი ხდება, თუმცა მხოლოდ 4 თვით.

2010 წლის 1 იანვრიდან თემურ ქეცბაია საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული 2010 წელი საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრებისთვის. გუნდს წლის მანძილზე არც ერთი თამაში არ წაუგია. 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებს საბერძნეთის, ხორვატიის, ისრაელისა და ლატვიის ეროვნულ გუნდები შეხვდა. ნაკრების წარმატებული სერიის კულმინაცია იყო ხორვატიის ნაკრებთან საშინაო მატჩი 2011 წლის მარტში, რომელიც საქართველომ ლევან კობიაშვილის გვიანი გოლით 1-0 მოიგო. მაგრამ მას შემდეგ ნაკრებში კრიზისი დაიწყო. საბოლოოდ, ქართველებმა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ მალტის ნაკრებს გაუსწრეს და ბოლოსწინა მეხუთე

ადგილი დაიკავეს. მიუხედავად წარუმატებლობისა, 2011 წლის 13 სექტემბერს ქეცბაიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალი 4 წლიანი კონტრაქტი გაუფრომა. თემურ ქეცბაიამ განაცხადა, რომ ნაკრების გაახალგაზრდავების გამო აღარ გამოიძახებდა ვეტერანებს ლევან კობიაშვილსა და ალექსანდრე იაშვილს.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, სადაც საქართველოს მეტოქეებად ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებები მოუწია, ქეცბაიას გუნდმა კარგად დაიწყო, მაგრამ ეს ციკლიც ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა. ციკლის მანძილზე ქეცბაიას კონფლიქტი მოუვიდა ნაკრების მცველებთან, ზურაბ ხიზანიშვილთან და ალექსანდრე ამისულაშვილთან, რომელებმაც ქეცბაიას ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადეს.

მასალა თემურ ქეცბაის კარიერის შესახებ მომზადებულია ვიკიპედიაზე დაყრდნობით.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ ბესლან ბუთბაზე თავდასხმელები დააკავეს

შსს-ს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე დააკავეს ბოროტმოქმედები, რომლებმაც თავდასხმა განახორციელეს ბესლან ბუთბაზე. 15 ნოემბერს აფხაზეთის პრემიერის ავტომანქანა, რომელიც ოჯახთან ერთად მგზავრობდა, სოხუმის ცენტრში გააჩერა **„ოპელის"** მარკის ავტომანქანამ, რის შემდეგაც მძღოლი და მგზავრი თავს დაესხნენ პრემიერს.

"ოპელში" სამი ადამიანი იჯდა, რომლებიც შსს-ში მიიყვანეს. თავდასხმის შედეგად ბუთბამ ტვინის შერყევა მიიღო, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ეზოში ორი პატარა ბავშვი თამაშობს.
– იცი, მე მალე ძამიკო მეყოლება.
– საიდან იცი?
– ამას წინათ დედაჩემი საავადმყოფოში იწვა და დაიკო მომიყვანა. ახლა მამაჩემი წევს და ძამიკოს მომიყვანს...

* * *

იყიდება მოხარშული ცოცხალი თევზი, აწყვია ქაღალდზე. ძიხო კითხულობს:
– თევზი ახალია?
– ახალია, ვერა ხედავ, ცოცხალია...
– ცოცხალი ჩემი მაროც კია, მაგრამ ახალი არაა!

* * *

– უცხოპლანეტელები შემომეჩვივნენ, – ბუზღუნებს უმმაყოფილო ლოთი, – რამდენჯერაც შევდე კარადაში არაყი, იმდენჯერ მომპარეს. სხვას ვის დავაბრალო, მე ხომ მარტო ვცხოვრობ...
– კარადა კარგად იკეტება?
– არა, სულ ღიაა.
– ეგ ხომ ფანჯარაა?

* * *

სტომატოლოგთან მძარცველი შევარდა ბინაში.
– ჩქარა, ფული!
– იცით რა, ყმაწვილო, – აუღელვებლად ეუბნება სტომატოლოგი, – მთელი ფული სალაროში მაქვს.
– აბა, ტყუილად მოვედი? – გაგიჟდა მძარცველი.
– ნაწყენი რომ არ წახვიდე, დაჯექი სავარძელში და სამ კბილს უფასოდ ამოგიღებ.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930**
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალადანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: **ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)**

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge